

825
1985

ISSN: 0763-7247



ජ්‍යෙෂ්ඨය

ශාරීරුලි පොලිටියික් වේරිනයුලු මර්ගාන් ප්‍රස්ථානයේ

පාරිවාසි

N° 7

PARIS

ඉංග්‍රීසෙහෙර 1985 OCTOBRE



„თავისუფლებავ შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, უროვნეული
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეწისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა !“ – ი ლ ი ა

თ ქ ვ ე ნ ი ჭ ი რ ი მ ე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი კირიმე!..

ბევრი რამ მითქვამს...რომ მეოქვა,
დავიმახინჯე პირი მე!..
ახლა არ გველევენ ენასა,—
სთქვით რამე, თქვენი კირიმე!

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსკერთ“, ახლაც ვცირი მე,
ნუ აჩქარდებით ! ნურც შიშობთ,
განმტკიცდით, თქვენი კირიმე !

ბევრი ვეცადე ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე,
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაპირის თქვენი კირიმე !

რაღა ვარ, განაწირი მე ?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმუება, თქვენი კირიმე !

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოდის—ერთად ვიცინოთ !
ვიცინოთ, თქვენი კირიმე !

(1905 წელი)

ა კ ა კ ი





გორბაჩოვის

30 გ ი ტ ი ს აფრან გ ა მ ა ს ტ ი რ ი ს ტ ი რ ი

უდავოა: ამ მომენტის ყველაზე ღიღმნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენას წარმოადგენს კრემლის ახალი პატრონის, მიხაილ გორბაჩივის გამიზნული შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან უენევაში 19 - 20 ნოემბერს.

მხოლოდ ის ფაქტიც კი, რომ კრემლის საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიზმა მასზე უფრო ადრე გორბაჩივის სახელმწიფო ვიზიტი გადაწყიტეს საფრანგეთში 2 - 5 ოქტომბრის ღღებში, აშკარად მოწმობს იმ დიდ ღირებულებას, რომელსაც ისინი ანიჭებენ ამ ეტაპზე საფრანგეთის მთავრობის პოზიციას, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის საკითხებში საერთოდ და კერძოდ ამერიკის მთავრობის სამხედრო ღონისძიების, ე. წ. *I.D.S.* (სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა)-ის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც ამ უკანასკნელ ხანებში მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების მთელი დიპლომატიური და საპროპაგანდო საშუალებები.

არავისთვის დამალული არ არის, რომ პრეზიდენტი მიტერანი უარყოფითად არის განწყობილი *I.D.S.*-ის მიმართ. გორბაჩივის ვიზიტის „ძალის თავიც“ სწორედ აქ იმარხება: უთანხმოების გაღმრმავება საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის. გორბაჩივის ვიზიტის შედეგად, თუ საფრანგეთის მთავრობა მთლიანად და ურჩევროვოდ გაიზიარებდა საბჭოთა მტრულ პოზიციას პრეზიდენტ რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ მიმართ, ეს უკვე დიდი კოზირი იქნებოდა გორბაჩივისათვის უენევაში პრეზ. რეიგანთან შეხვედრის დროს.

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ საფრანგეთის სოციალისტურმა მთავრობამ ცოლქმარ გორბაჩივებს განთქმული ფრანგული მასპინძლობა მოუწყო, მდიდრული და რაფინირებული. თავი არ დაუზოგავს, რომ საპატიო საბჭოთა სტუმრები კმაყოფილი დარჩენილიყენ საფრანგეთში სტუმრობით. სტუმრების საამებლად მასპინძლებება შეწყიტეს მათთვის ჩევეული საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის გმბა ისეთ კარდინალურ საკითხებშიც კი, როგორიცაა: ავღანეთი, პოლონეთი, აღამიანის უფლებები და ჰელსინკის ხელშეკრულება. კიდევ მეტი, გორბაჩივის ვიზიტის დღეებში საფრანგეთის მთავრობა



გამ აკრძალა ჭულა სტეპოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ცენტრი
ფესტაციები პარიზის ქუჩებში.

მიუხედავად ასეთი სამწუხარო დათმობებისა, კრაფულებით უნდა აღინიშნოს, რომ მიხაილ გორბაჩივმა თავის მთავარ მიზანს:
უთანხმოების ჩამოგდება საფრანგეთსა და შერიკის შეერთებული
შტატების შორის-ვერ მიაღწია. გორბაჩივის სირიოზის ხმა არ
გასჭრა: საფრანგეთი კვლავაც რჩება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავ-
შირის ერთგულ და საიმედო მოკავშირედ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, მ. გორბაჩივის დაწყებული ინტრიგები
ჯერ კიდევ მთლად დამთავრებულად არ ჩათვლება. დიპლომატიუ-
რი მოლაპარაკებები ორ მთავრობას შორის მხოლოდ იწყება და
სანამ კრემლი თავის მიზანს არ მიაღწევს ამერიკასთან ქიშკობა-
ში, მანამ ის ნაირ-ნაირ მომჩიბლველ დაპირებებს არ მოაკლებს
საფრანგეთის მთავრობას. ამიტომ ზედმეტი არ იქნება გავაფრთხი-
ლოთ ჩვენი შემფარველი საფრანგეთის ხალხი და მთავრობა: არ
ენდოთ მოსკოვის ხელისუფალთ, მათ სიტყიერ დაპირებებსა და
ხელმოწერილ ხელშეკრულებებს, რადგანაც ისინი არავითარ პატივს
სცემდენ წარსულში მათ მიერ გაცემულ თამასუქებს. ისინი საე-
რთაშორისო ხელშეკრულებებს იცავენ მანამ სანამ ის მათვის მო-
მგებიანია, ხოლო მაშინვე სანავე ჟუთში გადაუძახებენ, როგორც
კი იგი მათ ხელს აღარ აძლევთ და თანაც მისი დარღვევის პა-
სუხისმგებლობას მუხანათურად პარტნიორს გადააბრალებენ. ეს
ცბიერი პოლიტიკა მათ ტრადიციად გთხადეს და იგი ლენინთან
იდებს სათავეს. ლენინი კიდევაც ამართლებდა მას ცნობილი დევი-
ზით: მიზანი ამართლებს საშუალებებს.

მათი მიზანი უცვლელია: რუსული კომუნიზმის გაბატონება მსო-
ფლიოში. ამას ისინი აუც მალავენ. საშუალებები კი— ცრუობა, ვა-
რაგობა, ფლიდობა, ღალატი, კრიმინელობა, შანტაჟი, ომი...
ჟელაფერი მისაღებია ჭულაფერი გამართლებულია, როგორც სამ-
თავრობო საშუალება და ღონისძიება.

მათი ცბიერებისა და მოღალატეობის ერთი პირველი მსხვერპლთა-
განია ჩვენი სამშობლო—საქართველო. 1920 წლის აპრილში ბოლ-
შევიკური რუსეთის ჯარები პირველად შემოიჭრენ საქართველოში.

ახალგაზრდა სახელმწიფოს ქართულმა ლაშქარმა, მოიცავდა დებლად და სრულიად მოულოდნელად შემოკრილი მტრის ჯარი, მაშინ დაამარცხა, უკუაგდო საზღვრებიდან და დაუწყო წარმატებით დევნა. საბჭოთა რუსეთის მთავრობა დადგა მათ მიერ ახლად დაპყრობილი აზერბაიჯანისა და სომხეთის დაკარგვის საფრთხის წინაშე. ის ომს აწარმოებდა პოლონეთთან, სამოქალაქო მმშიც ის ჯერ კიდევ მთლად გამარჯვებული არ იყო, სამოქალაქო მისია-გან გამოწვეული ნგრევისა და მოშლილობის შედევად, არ გააჩნდა სათანადო სატრანსპორტო საშუალებები, რომ საქართველოს ფრონტზე დამარცხებული მისი ჯარებისათვის დროზე დამატებითი მხედრობა და საბრძოლო იარალი მიერველებია. ასეთ კრიტიკულ მომენტში ღენინის მთავრობამ ცბიერება იხმარა: საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლობის ცნობის, მეგობრობის და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის ხელშეკრულება შესთავაზა. გულუბრყილო საქართველოს მთავრობა სიხარულით შეხვდა ამ ცნობას და თავის მხედრობას მაშინვე ომის შეწყვეტა უბრძანა. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ადგილი ჰქონდა 1920 წლის 7 მაისს. ამ ხელშეკრულებით ღენინის მთავრობამ მოადუნა საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხლხის სიფრთხილე, თვითონ კი შეუდგა ფარულად მისი ჯარების თავმოყრის საქართველოს საზღვრების მახლობლად... და მის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცხრა თვის თავზე კვლავ მოულოდნელად და ომის გამოუცხადებლად შემოასია მისი ჯარები ჩვენს ქვეყნას, რომლებმაც ექვსი კაირის გაფორმებული ბრძოლების შემდეგ შეძლეს ამ პატარა ქვეყნის დაპყრობა. მას შემდეგ 64 წელი გავიდა, საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაშიც დღემდე დგანან რუსეთის საოკუპაციო ჯარები, მაშინ, როცა ლენინის მთავრობამ მთელ მსოფლიოში გაავრცელა ყალბი ცნობები, რომ თითქოს გარედან დაპყრობას კი არ ჰქონებოდეს აღვილი, არამედ თვით აჯანყებულ ქართველ ხალხს დაემხოს თავისი მთავრობა.

საქართველოს „გასაბჭოების“ ეს გარიანტი კრემლის ტირანებმა მას შემდეგ არაერთხელ გაიმეორეს დაუსჯელად, რის წყლობითაც დღეს საბჭოთა კაბშირი იქცა იმ ვეშაპად, რომელიც შთანთქმით გმუქრება მთელი დაცვილობის თავისუფლებას. თავისუფლება რომ გადაოჩეს და საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდეს, საჭირო და

აუცილებელია, რომ თავისუფლების ბანჭი მჭიდროდ, ურჯველფული იყოს შეკავშირებული, მისი შემადგენელი ერთეულები ტრაქტანტებისა არ წმოვენ ფლიდი და გაძიერა მტრის შეთქმულების ანგესზედ.

გორბაჩივის ყურთათვის უსიამოვნო აკორდები

ცოლქმარ გორბაჩივების ფეხთ ქვეშ მუდმივ გარდ-ჭავილები როდი იყო გაფენილი და არც წითელი ხალიჩები, მათი საფრანგეთში ვიზიტის დროს. დაცარიელებულ ქუჩებში გავლის დროს დაწყვლილის უსიამოვნო მარტოობაც უნდა ეგრძნოთ, ხოლო ზღაპრულ სასახლეებში მიღებების დროს მათი სმენისათვის გამაღიზიანებელი აკორდებიც მოესმინათ. არა მატო თავისუფალი საფრანგეთის პრესიდან, რადიოდან და ტელეხედვიდან ისმოდა რიგითი ფრანგების მამხილებელი სიტყვები საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაზე, არა ამედ აგრეთვე სტუმარს პირადათაც მიმართავდენ ხშირად გამოჩენილი და პასუხისმგებელი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები. აქ ჩვენი მკითხველების ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ორზე :

1. ფაკ შირაკ მა, რომელიც „რესპუბლიკელთა გაერთიანების“ დიდი პარტიის თავმჯდომარე და პარიზის ქალაქის თავია, მ. გორბაჩივს ქალაქის სასახლეში მიღების დროს სხვათა შორის განუცხადა : „...მე განსაკუთრებით მდელვარებით ვფიქრობ ჭელა მათ ბედზე, ვინც მათი აზრების გამო მოკლებული არიან თავისუფლებას და აგრეთვე ს.ს.რ.კ.-ის იმ ებრაელებზე, რომლებსაც ნებას არ აძლევთ დასტოვონ თქვენი ქვეყანა...ჩვენ ჩვენს თავს ვეკითხებით, თუ რა მიზნით აგროვებს საბჭოთა კავშირი იმ უზარმაზარ კლასიკურ, ქიმიურ და ბირთვულ იარაღის არსენალს დასავლეთ ევროპის საზღვრებთან, რომელიც ფართოდ აჭარებს მისი საკუთარი სახელმწიფო უშიშროების და მისი მოკავშირე სახელმწიფოების უშიშროების საპიროებებს...“

2. ფრანსუა ლეოტარმა, მეორე დიდი, ამჟამად ოპოზიციაში მყოფი „რესპუბლიკელთა პარტიის“ გენერალურმა მდივანმა, შემდეგი წერილით მიმართა გორბაჩივს :

„ბ. გორბაჩივს,

„ბ. გენ. მდივანო, თქვენი საფრანგეთში ვიზიტის შემთხვევაში თქვენ მიღებული უნდა ყოფილიყავით საფრანგეთის ეროვნული კრებულოს საგარეო საქმეთა კომისიაში; ამ კომისიის წევრი, მე ვწუხვარ, რომ ეს შეხვეძლა გაუქმებული იქნა და იძულებული ვარ წერილობით მოგმართოთ ის: რაც სიტყვიერად უნდა გადმომეცა. როგორც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ამჟამად ოპოზიციაში იმყოფება, მე არ მეკუთვნის გავწიო იმათი მაგიერობა, ვისაც აკისრიათ საფრანგეთის სახელმწიფოს პატრონობა. ჩემს განზრახვას არ შეაღვენს აგრეთვე, რა თქმა უნდა, თქვენი დიდი ქვეჭის საქმეებში ჩავერიო. მაგრამ, როგორც წარმომადგენელი იმ ერის, რომლის ისტორიული ურთიერთობა თქვენს ქვეყანასთან ყაველთვის მჭიდრო იყო, დაფუძნებული ურთიერთ პატივისცემასა და გაგებაზე, ჩემი მოვალეობაა თქვენ გაგიცხადოთ ის მღელვარება, რასაც საფრანგეთში იწვევს იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ს.ს.რ.კ.-ში იდევნებიან მათი პოლიტიკური აზრის, სარწმუნოების, თუ უბრალოდ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დატოვების სურვილის გამო.

შეუძლებელია, ბატონო გენ. მდივანო, ჩვენს ორ ხალხს შორის მეგობრობის გაღრმავება და განმტკიცება, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული თვითეული მათგანის ღრმა მისწრაფებები. ფრანგი ხალხი, რომელიც ტრადიციულად გამსკვალულია ადამიანის უფლებების დაცვით მთელ მსოფლიოში განუჩევლად, თქვენგან ელის „სამ შვიდობო უესტრი“ იმ პირების მიმართ, ვინც ჩვენთვის მახლობლები არიან. მე მხედველობაში მყავს უპირველესად პროფ. ანდრეი სახაროვი, ნობელის მშვიდობის ლაურეატი, რომლის ოჯახობასაც მე პირადად შევხვდი მოსკოვში 1984 წ. 18 მარტს, რომელიც მუდამ გადასახლებაში იმყოფება გორკში და, მოწვევილია მისიანებსა და დანარჩენ სამყროს.

მე მხედველობაში მყანან ისინი, ვინც ხანგრძლივ პატიმრობას იხდიან მხოლოდ იმისთვის, რომ მათ იწამეს ჰელსინკის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერს თქვენმა და ჩემმა ქვეყნებმა 1975 წლის 1 აგვისტოს: იური ორლოვი, ანატოლი შჩარანსკი, ანატოლი კორიაგინი, ალექსანდრ პოდრაბინევი და რამდენი სხვა.

რა საშიშროებას წარმოადგენ თქვენი ქვეჭისთვის მერაბ კოსტაგა, ბალის გაიაუსკასი, ფელიქს სვეტოვი, იგორ ოგურცევი,

მიხაილ გორგაჩოვის ვიზიტი საფრანგეთში

„გალერი სენდეროვი და სხვები?

— მე მხედველობაში მჭანან ყველა ის ებრაელები, რომლებსაც უარს ეუბნებიან თქვენი ქვეჭიდან გაზიზნაზე: ალექსანდრ ლერნერი, იდა ნუდელი, ნაუმ მეიმანი, ვლადიმირ სლეპოვი და სხვები.

— და ბოლოს, არა მღელვარების გარეშე, მე მხედველობაში მჭანან ის ფრანგები, რომლებიც ს.ს.რ.კ.-ში ცხოვრობენ აგერ 30-40 წელია, რომლებსაც ძალით საბჭოთა მოქალაქეობა მიაღებინეს და, რომლებსაც ვეღარ მოუხერხებიათ ვერასოდეს, ნახონ მათი სამშობლო: უან ტჰირანი და სხვები.

იმ განხრახვით რომ ხელი შევუწყო ჩვენი ორი ქვეჭის უკეთეს თანხმობას, ბატონო გენ. მდივანო, მოგმართავთ სულ უბრალოდ, რათა კეთილი ინებოთ გააკეთოთ ასეთი „მ შ ვ ი დ ო ბ ი ს უ ე ს ტ ი“ და ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

ფრანსუა ლეოტარი, დეპუტატი,
რესპუბლიკური პარტიის გენ. მდივანი.“

ჭ ი გ ი ე რ თ ი მ ი ს ა ჭ რ ე ბ ა ნ ი

საბჭოთა ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების ირგვლივ

როდესაც-1972 წელს— ედ. შევარდნაძემ საქ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა ჩაიგდო ხელში, როგორც ეს ახალი თანამდებობის ყელა პირს ახასიათებს, მანაც მოისურვა რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება, რათა საკავშირო პარტიული ხელმძღვანელობის ურადლება მიექცია და იმავე დროს თავისი მდგომარეობაც განემტკიცებია საქართველოში.

იმ დროს, ვ. მუავანაძის ცოლს, ვ. ტირასკევიჩს, რომელიც ცნობილი იყო, არა მარტო უდიდესი მექრთამეობით, არედ ზნეობრივი გახრმილობითაც, თავის დამქაშთა ვიწრო წრეში ცინიკურად განუცხადებია: „მე ოცი წლის მანძილზე იმ ხალხის დედოფალი ვიზე, რომელიც ორგზულად მეზიზღებოდა.“ თვით ვასილ მუავანაძეს ზედმეტ სახელად „ჭარჭარეს“ უძახდნენ.

საქ. კ.პ.ც.კ. პირველი მდივნის თანამდებობაზე დანიშნულს პირველი დღიდანვე ედ. შევარდნაძემ დაიწყო ბრძოლა იატაკვეშა ეპონომიკის, მექრთამეობისა და კორუპციის სხვა გამოვლენათა წინააღმდეგ. ამ კამპანიის შედეგად, მრავალი ადამიანი მოიხსნა თანამდებობიდან და მიცემული იქნა პასუხისმგებაში, მრავალს დიდი ხნის პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებათა შედეგად მართლაც მრავალმა იატაკვეშა საწარმომ შეწყიტა მოქმედება, მექრთამეობისა და კორუპციის სხვა მოვლენები არა თუ მოისპონ საქართველოში, არამედ მათ სულ სხვა ახლი ფორმებით დაიწყეს უფრო ფართო გავრცელება.

ამჟამად საქ-ში მექრთამეობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მანკიერ მხარეებს იმდენად აქვთ გადგმული ფესვები, რომ ადამიანს ვერც კი წარმოუდგენია ცხოვრება მათ გარეშე. რა ქნას ხალხმა? როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ადამიანებს, იცხოვრონ რეალური ხელფასით. ისინი იძულებული ხდებიან სხვადასხვა ხერხებს მიმართონ, რათა ცხოვრების ელემენტარული პირობები შეიქმნან.

როცა შევარდნაძემ ბრძოლა გამოუტადა საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს, მან წინასწარვე კარგად იცოდა, რომ ეს ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდებოდა, ვინაიდან მექრთამეობა და სხვა კორუპცია არა მარტო საქართველოშია, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც ფართოდაა გავრცელებული, ვინაიდან ისინი კომუნისტური ტიპის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

ამ პერიოდში საქ-ში გაუქმებული, დაკეტილი და აკრძალული იატაკვეშა საწარმოების მრავალი წარმომადგენელი სამუშაოდ მეზობელ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში გადაიხვეწა, სადაც ისინი ხსნიდნენ წვენების დამამზადებელ და იუველირული ნაწარმის სამქროებს, რესტორნებს, სტატუსებს, ლუდხანებს და და სხვას, რომლებიც, რასაკვირველია, სახელმწიფო, ოფიციალურ დაწესებულებათა სახელს ატარებდნენ და, ამავე დროს, სხვადასხვა ხერხების მეშვეობით, ამ დაწესებულებებში მომუშავე ხალხი პირადი გამორჩენისათვის სიყალებს მიმართავდა, აღურიცხავ, ე.წ. „მარცხენა“ პროდუქციას უშვებდა, კვების ობიექტებზე კი ფასებს

ამახინჯებდნენ. იმ დროს კომპარტიის სტავროპოლის სპეციალური კომიტეტის პირველ მდივნად, ს.ს.რ.კ. კ.პ. ცენტ. კომიტეტის მარცხელი გენერალური მდივანი, მიხეილ გორბაჩივი იყ. საქართველში ხალხი ამბობდა, რომ მ. გორბაჩივი სტავროპოლის მხარეში იატაკებები საამქროების გახსნას ხელს უწყობდა. იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ასეთ საწარმოში გამოვლინდებოდა „მარცხენა“ პროდუქციის გამოშვების ფაქტი, სტავროპოლის მხარის პარტიული, საბჭოთა, შინაგან საქმეთა, სახალხო კონტროლისა და სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკები ქრთამის აღებით ასეთ საქმეებს ჩემალავდნენ. სტავროპოლის მხარეში მომუშავე მრავალი ადამიანი ამბობდა, რომ ქრთამის სახით ეს მუშაკები უდიდეს თანხებს მოითხოვდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ვითარების შესახებ კარგად იცოდა თვით მ. გორბაჩივმაც.

თუ აქმდე ედ. შევარდნაძე ამ თავის უცმაყაფილებას მხოლოდ ვიწრო წერეში გამოთქვამდა, რათა ასე თუ ისე მაინც ერიდებოდა ამ საქმისთვის ფართო რეზონანსი მიეცა, როცა იგი 1978 წელს პოლიტიკურობში წევრობის კანლიდატად იარჩიეს, მან თავის გამოსვლებში უკვე სხვადასხვა დარგის საკავშირო მინისტრების გაკრიტიკებაც კი დიაწყო. ედ. შევარდნაძე საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მ. შოლოკოვის მფარველობაში იყ. როდესაც შევარდნაძე 1965-72 წლებში საქ. შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდა, მან შოლოკოვის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა და შემთხვევითი არ იყ, რომ შოლოკოვმა, რომელიც ბრეუნევის უახლოესი მეგობარი იყ, შევარდნაძის საქ. კ.პ.ც.კ. პირველ მდივნად დანიშვნაში გადამწყეტი როლი ითამაშა.

ერთხელ, ეს იყ 1981 თუ 82 წელი, როდესაც მ. შოლოკოვი თბილისში იმყოფებოდა, შევარდნაძემ მის საპატივცემოდ მშრომელთა დიდი დემონსტრაციაც კი მოაწყო.

ამ დროს ვითარება ისეთნაირად შეიცვალა, რომ პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნობილან მ. გორბაჩივი მოსკოვში, ს.კ.კ.ც.ც. კომიტეტის მდივნად იქნა გადაყანილი და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა დააკისრეს. 1982 წლის ნოემბრში გარდაიცვალა ბრეუნევი და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ც.კ. გენერალურ მდივნად იური ანდროპოვი დაინიშნა. ანდროპოვმა, მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე დაიწყო ხელ-

მძღვანელი კადრების გადახალისება და მის შედეგად მ. გორბაჩივს, რომელიც უკვე ამ დროისათვის პოლიტიკუროს ნაშტყილი გრი იყო, სოფლის მეურნეობის გარდა სხვა წამყანი დარგების ხელმძღვანელობაც დაკისრა.

ჯერ კიდევ ბრეუნევის დროს, მ. სუსლოვის სიკვდილის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში იდეოლოგიისა და პროპაგანდის ხელმძღვანელობა ანდროპოვს ჩაბარდა, ხოლო ამ უკანასკნელის გენ. მდივანად დანიშვნის შემდეგ ეს თანამდებობა კ. ჩერნენკოს ხელში გადავიდა. ც.კ. მდივნის ეს თანამდებობა, იერარქიულად მეორეა, გენერალური მდივნის შემდეგ.

ი. ანდროპოვმა, ძველი შულლის გამო, თანამდებობიდან მოხსნა შინაგან საქმეთა მინისტრი მ. შოლოკოვი და ბრძოლა გამოუცხადა და ფერა შოლოკოველს, რის შედეგადაც მრავალმა მათგანმა თავისი თანამდებობა დაკარგა. საფრთხის წინაშე დადგა აგრეთვე კიდევ ერთი შოლოკოველის, ედ. შევარდნაძის თანამდებობაზე და რჩენაც. გაშინ თბილისში გავრცელებული იყო ხეგები, რომ შევარდნაძეს ხსნიდნენ და, რომ მას ელჩად აგზავნიდნენ პოლონეთში, მაგრამ შევარდნაძემ, მისთვის ჩვეული მოხერხებულობით, შესძლო თანამდებობის შენარჩუნება.

1983 წელს გარდაიცვალა ანდროპოვი და იგი კ. ჩერნენკომ შეცვალა, რომლის დამოკიდებულება შევარდნაძისადმი ბევრად უკათესი იყო, ვიდრე ანდროპოვისა. ამის პარალელურად თავის პოზიციებს სულ უფრო იმტკიცებდა მ. გორბაჩიოვი. იგი უკვე პოტენციალურ ლიდერად ითვლებოდა. შევარდნაძემ იგრძნო გორბაჩიოვის პოტენციალური შესაძლებლობანი და მან მის „გუნდში“ გადასვლა მოახერხა. ამასობაში გარდაიცვალა ჩერნენკოც და ს.კ. ც.კ. გენერალური მდივანი მ. გორბაჩიოვი გახდა.

სულ ახლა ხანს კი გავიგეთ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად და პოლიტიკუროს წევრად დანიშნულია ედ. შევარდნაძე. ეს ამბავი მართლაც ჭერასთვის მოულოდნელი იყო, ვინაიდან სტალინისა და ბერიას შემდეგ უკვე აღარავის ეგონა, რომ კრემლში წამყან თანამდებობაზე კიდევ მოხვდებოდა ქართველი.

როგორც ეტყაბა, მ. გორბაჩიოვმა ამ საკითხს თავისებურად შეხდა და ერთდროულად „ორო კურდლის მოკვლა“ გადაწყიტა. ჯერ ერთი, წამყან თანამდებობებზე სხვადასხვა ეროვნებების წა-

ზოგიერთი მოსაზრებანი

რომადგენელთა დანიშვნით, მას სურს გააჩუმოს დასაფლატი, რომ
მელიც აცხადებს, რომ მრავალეროვან საბჭოთა კაცშიორი ჰქელ
ხელმძღვანელი თანამდებობა რუსებს უკავიათ. შეგახსებებთ: გარ-
და შევარდნაძისა, მაღალი თანამდებობა უკავია კრემლში გ. ალ-
ევს, ეროვნებით აზერბაიჯანელს, რომელსაც ამჟამად ს. კ. მინი-
სტრო საბჭოს თავმჯდომარის პირელი მოადგილის თანამდებობა
უკავია და პოლიტბიუროს წევრია.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრომიკო, ამჟამად უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომელსაც მართალია ოფიცი-
ალურ საბუთებში რუსი უწერია, ფაქტიურად იგი ბელორუსული
წარმოშობისაა. მაგრამ, მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ
გორბაჩივი ხელმძღვანელ ბირთვში შესაცავად სხვადასხვა ეროვ-
ნების ხალხს აჩხევს. რასაკვირველია, საბჭოთა ხელმძღვანელობა-
ში მრავალი წამყანი თანამდებობა კვლავაც რუსებს უკავიათ.
გორბაჩივი რუსებშიც და სხვა ეროვნების ხალხებშიც ისეთ თანა-
მშრომლებს აჩხევს, რომლებსაც ის მთლიანად ენდობა და საბჭო-
თა თანამედროვე ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილებაც აქვთ.
ისე, რომ გორბაჩივის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამ-
დებობაზე შევარდნაძის შერჩევა შემთხვევითი არ არის, ვინაიდან
მან იცის, რომ შევარდნაძეს კომუნისტური პარტიული თანამედრო-
ვე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, იგი კარგად ერკვევა საბ-
ჭოთა საშინაო პოლიტიკის საკითხებში და იმის ძალა შესწევს,
რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ნებისმიერ უბანს, საბჭოური გა-
გებით, წარმატებით უხელმძღვანელოს.

როდესაც შევარდნაძე საბ. კაეშირის საგარეო საქმეთა მინისტ-
რად დაინიშნა, მსოფლიო პრესის, რადიოს და ტელევიზიის მიმო-
მხილველ-კომერციატორები ერთხმად აღნიშნავდნენ შევარდნაძის გა-
მოუცდელობას საგარეო პოლიტიკის დარგში და მის დანიშვნას
ამ პოსტზე განსაცილებლად თვლიდნენ. გულახდილად უნდა ითქ-
ვას, რომ შევარდნაძის ამ თანამდებობაზე დანიშვნა მართლაც
მოულოდნელი იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი ამ მაღალ თანა-
მდებობას არ შეეფერება, არამედ მისი ქართული წარმოშობის
გამო. მაგრამ, ამევე დროს უნდა ითქვას, რომ, როგორც ეტყობა,
როდესაც გორბაჩივი შევარდნაძის კანდიდატურას იხილავდა, მან

კარგად აწონ-დაწონა ეს ვითარება და ბოლოს მაინც მეტყველებული დანიშვნის გადაწყვეტილება, ვინაიდან, ედ. შევარდნაძე მართვული ქართველია, მაგრამ გორბაჩივმა აღბათ გაითვალისწინა ის, რომ იგი საქართველოს კომპარტიის ც. კ. პირველი მდივნის თანამდებობაზე, კუველთვის განუხრელად ასრულებდა საკავშირო კომუნისტური პარტიული ხელმძღვანელობის ფერა ნებასურვილს, ხშირად ქართველი ხალხის საზიანოდაც კი. სწორედ საქმისადმი შევარდნაძის ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა მისი დაწინაურება ამ მაღალ თანამდებობაზე.

როცა გორბაჩივი შევარდნაძეს საგარეო საქმეთა მინისტრად ნიშნავდა, მან აღბათ გაითვალისწინა აგრეთვე მისი მოხერხებულობა და მოქნილობა, რაც ასე საქიროა დაპლომატიური მუშაობისათვის. დამეთანხმებით, რომ შევარდნაძემ, რომლის პოზიციებიც ძალზე შეირჩა ბრუნვების სიკვდილის შემდეგ, უდიდესი მოხერხებულობა გამოიჩინა, როდესაც მან არა თუ შეინარჩუნა საქართველოს კ.პ.ც.კ. პირველი მდივნის თანამდებობა, არამედ ანდროპოვ-გორბაჩივისადმი მტრულად განწყობილი შოლოკოვის ჯგუფიდან გორბაჩივის „გუნდში“ გადასვლა შეძლო, და, არა მარტო გადასვლა, არამედ ამ „გუნდში“ ერთ-ერთი ჭამცვანი პოზიციის დაცვაზე ბაც. ეს კი, რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის.

იმის მტკიცება, რომ ს. კ. საგარეო საქმეთა მინისტრად შევარდნაძე არ უნდა დაწინაშანათ იმის გამო, რომ მას ამ დარგში სათანადო გამოცდილება არა აქვს, ჩემის აზრით, არასწორია, ვინაიდან, თუ საბჭოთა ხელმძღვანელობის სპეციფიკას გავითვალისწინებთ, სრულებითაც არ არის საქირო, რომ კარგ ხელმძღვანელს საქმის უშუალო ცოდნა-გამოცდილება ჰქონდეს. მათი აზრით, კარგ ხელმძღვანელად ისეთი ითვლება, რომელიც მისდამი მინდობილობიერზე შეძლებს კომუნისტურ მოთხოვნათა განუხრელ განხორციელებას და მისადმი დაქვემდებარებულ მუშაკთა მაქსიმალურ გააქტიურებასა და მათი შრომისნაყოფიერების ამაღლებას. შევარდნაძე ასეთია და ეს კარგად იცის გორბაჩივმა. მან ისიც კარგად იცის, რომ შევარდნაძე პარტიულ მუშაობაში ძალზე კომპეტენტურია და მისი მოხერხებულობა და მოქნილობა ამ კომპეტენტურობასთან შერწყმაში მ. გორბაჩივს სასურველ შედეგებს მისცემს.



ჩემის აზრით, ერთ-ერთი არანაკლებმნიშვნელოვანი ფაქტურაზე უდირო რომელმაც განვითობა ედ. შევარდნაძის საჯარეო საქმეთი მიუხედავად იმისა, რომ დანიშვნა, რევიონალური ფაქტორიცაა. მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩივი რუსია, იგი რუსეთის სამხრეთი ნაწილის ისეთ რეგიონში ცხოვრობდა და მუშაობდა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება კავკასიასა და კერძოდ საქართველოს, რამაც აუცილებლად გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მის მსოფლმხედველობაზე და ამიტომ იგი ასე თუ ისე კავკასიელად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ კავკასიური მსოფლმხედველობა ბევრად განსხვავდება შიდა რუსული მსოფლმხედველობისაგან, უფრო ეფექტური და შედეგიანი საქმიანობითა და მოხერხებულობით. მე ვფიქრობ, რომ ამ მიზეზით მ. გორბაჩივი უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს კავკასიურ მსოფლმხედველობას, ვიდრე სუფთა რუსულს და ალბათ ამ ფაქტორმაც ერთ-ერთი გადამწვეტი როლი ითამაშა შევარდნაძის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისას.

ს. კ. საგარეო საქმეთა მინისტრად შევარდნაძის დანიშვნის ვაჟი ჭელაზე მეტი უკმაყფილება რუსებმა გამოხატეს, აქ საჩლევარგარეთაც კი. ისინი ძალზე არიან გაღიზიანებული იმით, რომ ს. კ. ამ ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე ქართველი დაინიშნა. რუსები ყველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ შევარდნაძე რუსულ ტრადიციებზე აღზრდილი კაცია, რომ მან თითქოს ქართული ენა ძალიან სუსტად იცის და მის ქართულს რუსული ელფერი გადაკრავს. სწორედ ამის შესახებ ცოტა ხნის წინ წერდა ნიუ-იორქში გამომავალი რუსული გაზეთი „ნოვოიე რუსკოიე სლოვო“. რასაკვირველია, ეს ჭელაფერი მონაცენი და მათი ფქრაზიაა. შევარდნაძემ რუსული ენა მხოლოდ მის შემდეგ დაიხვეწა, რაც იგი საქ. კ.პ.ც.კ. პირველი მდივანი გახდა რუსი ეროვნების ხალხი აგრეთვე თვლის, რომ შევარდნაძე თავისი განათლებითა და კომპეტენტურობით არ შეესაბამება მის ახალ თანამდებობას, მაგრამ ისტორიამ არაერთხელ გვიჩვენა, რომ სწორედ რუსი ხალხი არასოდეს არ გამოიჩინოდა განსაკუთრებული ორგანზატორული ნიჭით და ასეთი დამკაიდებულება მცირე ერის წარმომადგენლისადმი მხოლოდ მის შოვინისტურ გამოხტომაზე მიუთითებს.

ქართველი ხალხისთვის, რასაკვირველია, ერთის მხრივ, საამაფა, რომ მისმა წარმომადგენელმა ასეთი დიდი თანამდებობა მიიღო

საბჭოთა იერარქიაში, მაგრამ, მეორეს მხრივ, საჭირო და საჭირო არ არის, რომ ჩვენი ხალხის ეს წარმომადგენელი ამ მაღალ დოკუმენტების თანამდებობაზე ადამიანებისადმი მტრული, შავბნელი კომუნისტური მაფიის ინტერესების დასაცავად დაინიშნა.

საქართველოს, თავისი ისტორიის მანძილზე, მრავალი გამოჩენილი და წარჩინებული პიროვნება ჰყოლია, მათ შორის მისი მტრების მხარეზეც, რომლებიც ხალხისა და ერის ინტერესების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ედ. შევარდნაძე სწორედ ამ უკანასკნელი კატეგორიის ხალხს მიეკუთვნება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი არა მარტ თავისი მშობლიური ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გაიღაშერებს, არამედ ივი ისეთი სახელმწიფოს დიპლომატიური სამსახურის მეთაური გახდა, რომლისთვისაც ყველაფერი ადამიანური უცხოა და მხოლოდ იმისაკენ მიისწრაფის, რომ თავისი რეგრესიული არაადამიანური კომუნისტური სენი მთელ მსოფლიოს მოსდომის, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ საბჭოთა პარტიულ-მა მაფიამ სულ უფრო მეტად განიმტკიცოს თავისი პოზიციები, უკვე მსოფლიო მასშტაბით.

დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველი აპტიმისტურად უყრებს საბჭ. ხელმძღვანელობაში მომხდარ ცვლილებებს. ისინი იმდეს გამოოქვამენ, რომ შესაძლოა ახალმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ ლიბერალობა გამოიჩინოს. ზოგიერთი მათგანი იმასაც კი წერს, რომ კორბაჩოვის მოსვლით საბჭ. კავშირში მოსალოდნელია სერიოზული ეკონომიკური გარდაჭმები, ძირეული ცვლილებები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომ ბოლოს და ბოლოს დადგა პერიოდი, რომელიც საბჭოთა კომუნისტური სისტემის დასასრულის დასაწყისი იქნება. ღმერთმა ქნას! მაგრამ ისეთი პერიოდები, როდესაც დასავლეთელი მიმომხილველები საბჭოთა სისტემის დამსხვრევის საწყის პერიოდად თვლილნენ, მრავალი კაფილა და ოუდეს ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ კრემლის ახალი ხელმძღვანელობა რაიმე დათმობაზე წავია-ეს ძალზე მცდარი აზრია, ეს უბრალოდ პოლიტიკურ სიბეჭეს წარმოადგენს. პირიქით, სრულიად შესაძლებელია, რომ ისეთ პირობებში, როდესაც საბჭ. ხელმძღვანელობას განათლებული, გამოცდილი, მოხერხებული და კუუიანი



ხალხი ჩაუდგა სათავეში, მან დასავლეთის ქვეწები სულ პატარა ტკილი შეიძლება შეიჭანოს შეცდომაში და მათ საბჭოთა კავშირის საზოგადო გრაფიკული ხელსაყრელი პოზიცია გამოსტუოს.

ყაველ შემთხვევაში, თუ ისე მოხდება, რომ ჩემი ასეთი მოსაზრებანი არასწორი აღმოჩნდება, მე მხოლოდ კმაყოფილი დავტრჩები.

- - -

როდესაც მე 'თანმიერროვე საბჭოთა კომუნისტურ ხელმძღვანელობაზე ვლაპარაკობ, ამ მინდ მკითხველს ცრუ შთაბეჭდილება შეეჭმნას და ეგონოს, ვითომ საბჭ. კავ. დღევანდველი პარტიული ხელმძღვანელობა სუფთა წყაის კომუნისტები არიან და თავიდან ბოლომდე იზიარებდენ მარქსიზმ-ლენინიზმის ღოგმებს. დღევანდველი საბჭ. ხელმძღვანელები სულ სხვა ყიდის ხალხია. როდესაც ლპარაკია მ. გორბაჩივის, ედ. შევარდნაძისა ან სხვა რომელიმე საბჭ. ხელმძღვანელის კომუნისტურ მოღვაწეობაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ბრმად, თვალდახუჭულნი მისდევენ კომუნისტურ ღოგმებს. არავის კრემლში, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო ფენებში, უკვე დიდი ხანია აღარ სჯერა კომუნისტური მოძღვრებისა, ვინაიდან ის ხალხის ოვალში არა-ერთხელ გაკოტრებულა. დღევანდველი საბჭოთა ხელმძღვანელები იმიტომ ეჭიდებიან კომუნისტურ სხვადასხვა ლოზუნებსა და გამონათქვამებს, რომ კომუნისტური პოლიტიკური მიმართულების რაობები ახალით შეცვლა ძალაუფლებას დაუკარგავს მათ და ვინ იცის ეს მათთვის რით დათვარდება მაშინ.

ამიტომ ისინი თავიანთ მსოფლიო ჰეგემონისტურ პოლიტიკას მარქსიზმ-ლენინიზმს ამოფარებულნი ახორციელებენ. მათ ძირითად მიზანს არა მაინც და მაინც კომუნისტური იდეოლოგიის გფრ-ცელება წარმოადგენს, არამედ მისი გამოყენებით მსოფლიოს და პყრობა. დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, სამწუხაროდ, გავრცელებას პოულობენ ე. წ. მესამე სამყროს ქვეწებში, სადაც გაუნათლებელ და ღატაკ მასებს იზიდავენ ეს იდეები და სჯერათ, რომ კომუნისტური სისტემა მათ ბედნიერებას მოუტანს. მიუხედავად მრავალი ისეთი ქვეწის მაგალითისა, რომელმაც კომუნისტური წესწყაბილება დაამყრა და დღეს შიმშილობს, მესამე

სამყაროს ხალხებს თვალი მაინც ვერ აუხილეს და მრავალზე მაღალ
ნი მაინც განაგრძნობს კომუნისტური იდეების გაზიარებას მას უკეთეს
დღევანდელი საბჭოთა ხელმძღვანელებისათვის ძალშე ხელსაყრელია.
ისინი ფიქრობენ : არა მნიშვნელობა აქვს, ჩვენს პოლიტიკას ღენი-
ნურ-კომუნისტურს დავარქევთ თუ სხვა რამესო. მთავარი ის არ-
ის, რომ საბჭოელები ამ თავისი კომუნისტური იდეებით მრავალ
ჩამორჩენილ და, სამწუხაროდ, არა მარტო ჩამორჩენილ, ქვეყნას
იზიდავენ. ამიტომ დღეს, როდესაც საბჭოთა ხელმძღვანელები თა-
ვიანთ გამოსვლებში „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის“ – ვ. ლუ-
ნინის გამონათქვამებს იშველიებენ, – ეს თავიდან ბოლომდე სუფთა
წყლის თვალობაქცებაა. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი
ხანია, რაც აღარ სჯერათ კომუნისტური იდეებისა, თავისი ძალა-
უფლების შესანარჩუნებლად შიგნით, საბჭოთა კავშირში და გარ-
ეთ სხვა ქვეჭებზე ზემოქმედების გასაფაროთოებლად, მათვის და-
მახასიათებელი სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და სხვა
მეთოდებით დაწოლის გარდა, ისინი სულ უფრო მეტად აძლიერებენ
კომუნისტურ პროპაგანდას, როგორც შიგნით, ისე გართ, რითაც
ს. კ. მოსახლეობას გონიერად უხშობენ, ხოლო საზღვარგარეთის ხა-
ლხთა თვალის ახვევას ცდილობენ. ვიმეორებ: მიუხედავად იმისა,
რომ კომუნისტური იდეებისა აღარავის სჯერა კრემლის პატრონუ-
ლში, ჩვენ მათ მაინც დღესაც კომუნისტური ხელმძღვანელები უნდა
ვუწოდოთ, ან უფრო სწორად: კომუნისტური მაფიის ხელმძღვანე-
ლები. აღბათ ეს სახელი უფრო შეეფერება ს. კ. დღევანდელ უფ-
როსობას.

- . -

რაც შეეხება საქ. პარტიული მაფიის ახალ ხელმძღვანელს, უნდა
ითქვას, რომ კ.პ.ც.კ. პირველ მდივნად ახლახან დანიშნულ ჯუბერ
პატიაშვილის საქმიანობა არაფრით არ იქნება განსხვავებული მის
წინამორბედთა საქმიანობისაგან. ხალხი ისევე სიღუხვირებში დარ-
ჩება, სასოწარკვეთილებაში ჩაგარდნილი და გაოგნებული, იგი ისე-
თსავე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში დარჩება, როგორც ეს
აქმდე იყო, პარტიული ხალმძღვანელები კი ისევ და ისევ ცინიკუ-
რი აღტაცებით შეხვდებიან „სახალხო-სამეურნეო გაგმების შესრუ-

ლებას.“ პ. პატიაშვილის მოღვაწეობაში სი ახლე შეიძლება შემომარტინობა და მიაში მდგომარეობდეს, რომ მან დაიწყოს ცენტრული რეგიონის არტისტულ-სამეცნიერო-საბჭოთა-პროფესიონულ-კომერციულ ხელმძღვანელთა შეცვლა თავისი ადამიანებით, ვინაიდან საბჭოთა კავშირში წესად არის მიღებული, რომ, როდესაც პარტიული მაფიის ხელმძღვანელი იცვლება, ახალი თავის მხრივ ცვლის მაფიის ძველ წევრებს.

სულ მხოლოდ ორი თვეა, რაც პატიაშვილი საქ. კ.პ.ც.კ. პირველ მდივნად დანიშნა და ამ დროის მცირე მონაკვეთში მან უკვე მოასწრო ცენტ. კომიტეტის აპარატში ცვლილებების მოხდენა. მან ც. კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის თანამდებობებიდან „მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების“ გამო გაათავისუფლა სოლიკ ხაბერშვილი, რომელიც შევარდნაძის დროს რეგიონის პარტიული კომიტეტებიდან, სამინისტროებიდან, უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან ქრთამების ამკრები პირი იყო. ამით პატიაშვილმა თავიდან მოიცილა მისოვის არასასურველი პიროვნება, რათა ასეთი ქრთამების აკრება ახლა მის მიერ ნდობით აღჭურვილ პირს დაავალოს.

ცენტ. კომიტეტის მდივნებად და ბიუროს წევრებად დანიშნული არიან: ნ. ჭითანავა, აქამდე საქ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და გ. ანჩაბაძე, აქამდე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რიგითი მოადგილე.

წამყვანი თანამდებობების პირთა შეცვლა მიმდინარეობს, მაგრამ გინც არ უნდა დანიშნონ ამა თუ იმ თანამდებობაზე, ამით ხალხის ცხოვრება არ გაუმჯობესდება. გაუმჯობესდება მხოლოდ დაწინაურებული ადამიანების ცხოვრების დონე, რომელსაც მექრთამეობისა და კორუპციის მეტი საშუალება მიეცემათ.

საბჭ. კავშირში საერთოდ და მათ შორის საქართველოშიც ადამიანის თანამდებობა მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. რაც უფრო მაღალი თანამდებობისაა ადამიანი, მით უფრო მეტი ხელფასი აქვს და შემცირდება კულტურული რანგის ხელმძღვანელ პირზე, თვით პარტიის ც.კ. გენერალურ მდივანზეც კი. ისე რომ პატიაშვილი კი არა, ვინც არ უნდა იქნას საქ. კომუნისტური მაფიის ხელმძღვანელი, მექრთამეობა, თვალის ახვევა, სიყვალე, მიწერები, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და კომუნი-

1 - 3456
2156

სტური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სხვა მქანეობურებულები ვერასოდეს ვერ მოისპობა, ხალხის ბედი კი პრატისტუს შეუცვლელი,—მძიმე და აუტანელი, დარჩება.

გ უ რ ა მ გ ე ლ ი ვ ა ნ ი
ნიუ-იორკი, 4. 09. 1985.

ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა ბ ჭ. ს ა ქ. მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ბ ა შ ი

ჩვენი პროგნოზი, რომ შევარდნაძის დაწინაურებას და პატია-შვილის გახელმწიფებას საქართველოში არ უნდა მოყოლო მნი-შვნელოვანი ცვლილებები საბჭ. საქართველოს მმართველ წრეში, მთლად არ გამართლდა. ცვლილებები ამ მცირე დროში, პირიქით, მნიშვნელოვანია, თუმცა იგი შორსაა იმ მასშტაბებისაგან, როგო-რსაც დღილი ჰქონდა ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის და თვით ვასილ მუავანაძის გაძევების შემდეგ. პატიაშვილ-ნიკოლსკის მიერ უკვე მოხდენილი ცვლილები, რომელთა ზოგიერთ მაგალითს ქვემოდ აღვნისხავთ, თითქოს ზუსტად ამართლებენ ბ. გურამ გელოვანის აზრს: „...საბჭოთა კავშირში წესად არის მიღებული, რომ, როდე-საც პარტიული მაფიის ხელმძღვანელი იცვლება, ახალი თავის მხ-რივ ცვლის მაფიის ძველ წევრებს.“

—ამა წლის 7 ილისს საჯაროდ გამოცხადდა ჯუმბერ პატიაშვილის დანიშვნა საქ. ს.ს.რ.კ.პ.ც.-ს პირველ მდივნად.

— 17 აგვისტოს იქრიბება საქ. სსრ კ.პ.ც. კომიტეტის პლენუმი, რომლის ოფიციალური საინფორმაციო ცნობა, სხვათა შორის, იუ-წუბა: 1. სოლიკო ხაბერიშვილი „მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებების“ გამო განთავისუფლდა საქ. სსრ კპც მდივნისა და ბიუ-როს წევრობის მოვალეობისაგან. 2. გენერალ-პოლკოვნიკი არხი-პოვი სხვაგან გადაიჭანეს და მის ადგილას, ამიერკავკასიის სამ-ხედრო ოლქის ჯარების მთარსარდლად, დრიშული გენერალ-ლეიტენანტი კ. ა. კოჩეტავი შეფანილია საქ. ს.ს.რ.კ.პ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. 3. საქ. ს.ს.რ.კ.პ.ც.კ. მდივნებად და ბიუროს წევრებად არჩეული არიან: ნ. ა. კითანავა და გ. ა. ან-

ჩაბაძე, ხოლო ბიუროს წევრობის კანდიდატად—გ. დ. მგრიფაშვილი
(იხ. „კომუნისტი“ 1985 წ. 18 აგვისტო)



- საქ. სსრ კ.პ.კ. ბიურომ თავის მორიგ სხდომაზე : „პარტიული ეთიკის ნორმების უგულებელყოფისა და თავმდაბლობის გრძნობის დაკარგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის არასწორი გამოყენებისათვის, საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, კომუნისტური პარტიის წევრი, ამხ. თ. პ. გელეაშვილი გაანთავისუფლა თანამდებობიდან, მეცაცად დაგმო გაზ. „თბილისის“ რედაქტორი, რა თქმა უნდა, კომპარტიის წევრი, ამხ. თ. დ. იოსელიანი და გაანთავისუფლა თანამდებობიდან. („კომუნისტი“ 29.08.85)
- თეიმურაზ შალვას ძე ხაჩიძე დაინიშნა საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად. („კომუნისტი“ 12.09.85)
- საქ. სსრ კულტურის მინისტრად დაინიშნა ამხ. ვალერიან როსტომის ძე ასათიანი, დაბ. 1950 წელს, ხოლო მსუბუქი მრეწველობის მინისტრად—ამხ. ბერლა ზაქარიას ასული მაყაშვილი, დაბადებული 1937 წელს. („კომუნისტი“ 28.08.85)
- საქ ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის პლენუმია მდივნისა და ბიუროს წევრობიდან გაანთავისუფლა ამხ. ნ. მ. მუმლაური და მის ადგილას დამტკიცა ამხ. თ. გ. გიორგაძე, რომელიც აღრე მუშაობდა საბჭ. კავშირის აღკიც პასუხისმგებელ ორგანიზაციორად. („კომუნისტი“ 7.09.85)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნა პროფესორი ნოდარ სარდიონის ძე ამაღლობელი. („კომუნისტი“ 11.09.85) მაშ. პატიაშვილის ცოცხი უკვე შეეხო უნივერსიტეტსაც.
- ოთარ ჩერქეზია, დაბ. 1933 წ., მინისტრთა საბჭოს მოადგილობიდან დაწინაურებულია თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო ბეგლარ მახარაშვილი და ოთარ მელქაძე დანიშნული არიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად. („კომუნისტი“ 29.09.1985)
- ნუგზარ რაჟგენის ძე საჯაია, დაბ. 1941 წ., დაინიშნა საქ. ს.ს.რ. სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარელ. („კომუნისტი“ 21.09.1985)
- ივლისის პირველი რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე მომხდარი ცვლილებები, როგორც ხედავთ, უმნიშვნელო არ არის.

ა გ ვ ი ს ტ ო ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა დ ა დ ღ ე ვ ა ნ ჭ უ ლ ი შ ა მ ი ს ა მ გ ლ ი ვ ა რ ი ს



აგვისტოს ეროვნული აჯანყბილან **61** წელი გავიდა, დღეს ის ჩევნი ერის ისტორიის ერთ-ერთი და უკანასკნელი დიდმნიშვნელოვანი თარიღია. ჩევნ, აქ ემიგრაციაში, ტრადიციად გავხადეთ მისი წლისთავის აღნიშვნა ყველწლიურად. რას ემსხურება და რა უდევს სარჩულად ამ ჩევნს მოსაგონარ აღნიშვნებს? ჩევნი შეკრძილობები პატივსა და დიდებას მიაგებენ იმ ჩევნს თანამემამულებს, რომლებმაც მათი სიცოცხლე მსხვერპლად შეწირეს სამშობლოს განთავისუფლების წმინდათაწმინდა საკურთხეველზე და ფიცსა ვდებთ მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, რომ მათ თავდადებას უქმად არ ჩაუვლია, რომ ჩევნ ერთგული ვართ მათი საქმის და ვაგრძელებთ მას, რომ ჩევნ არ შევურიგდებით არც მათ ჯალათებს და არც მათ ჯალათთა პოლიტიკურ მემკვიდრეებს. აი, ამ გაგებით და მხოლოდ ამ გაგებით აქვს აზრი ჩევნს ყველწლიურ სამგლოვიარო შეკრძილებს.

როდესაც აგვისტოს იღების ერთგულებაზე ვლაპარაკობთ და ბრძოლის გაგრძელების ფიცსა ვდებთ, ეს ისე არ უნდა იქნეს გაებული, თითქოს ჩევნ ამ აღებულ მომენტში შეიარაღებული აჯანყბის მომხრე და მსურველი ვიყოთ. არა, სრულიადაც არა! აჯანყბა უკიდურესი საშუალებაა საოკუპაციო ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა მიმართოს ერმა, როცა გამარჯვების რეალური შესაძლებლობები არსებობენ და მისთვის გაღებული მსხვერთლიც დამღუპველი არ იქნება ერის მომავლისათვის.

სამაგიეროდ, ეროვნული და პიროვნული თავისუფლებისათვის სხვა, უსისხლო საშუალებებით ბრძოლა ერთი წუთითაც არ უნდა შეწყდეს. ვინც წინააღმდეგობაზე, ამა თუ იმ მოსაზრებით, ხელის აღებას ქადაგობს, ის ან დეზერტირი, ან მოღალატე, ანდა მტრის მიერ გაბრიფებული გულუბრწყილოა.

ვართ რა უწყვეტი ცივი მმის, ანუ უსისხლო წინააღმდეგობის

მტკიცე მომხრე, არ უნდა დავივიწყოთ ის უბრალო ფრინველული რომ ეროვნული განთავისუფლების საქმეში გამოუსადეგობის კრისტენი სტეს სწავლება: მტერმა მარჯვენა ჭაში რომ სილა გაგაწნას, მარცხნა მიუშვირეო. ისტორიული მტების მიმართ ჩვენს ეკლესი-ის მამებს არასოდეს ეს მცნება არ გამოუჟრებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს ქართველი ერის ხსენებაც აღარ იარსებებდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ დაპყობილ ერს მორალური უფლება აქვს ზოგელგვარი საშუალება გამოიყნოს, რათა თავი გაითავისუფლოს უცხო ერის მცყობელობისა და მათგან დანიშნულ ტირანებისაგან.

აქედან გამომდინარე, როცა ჩვენი ეროვნული განთავისუფლებისათვის წარმოებული მუდმივი და უწევები ბრძოლის ამა თუ იმ ეტ-აპერე უსისხლო წინააღმდევობის მომხრე ვართ, ეს სრულიად არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ, როცა ჩვენს ქვეყნაში ტირან ხელისუფლებისაგან მოთმინებიდან გამოსული პირი ან პირთა ჯაშუფი ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად ძალადობის აქტს მიმართავს და მით რეპრესიის მსხვერპლი ხდება, ჩვენ აქედან მათი ჯალათები გავამართოთ, ხოლო ის უბედური პატრიოტები გავამტკუნოთ და მათი ხსოვნა კი დავგმოთ. ეს იქნებოდა დიდი სიბრი-ზე ჩვენის მხრით.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ხალხი იქ ამჟამად მეტად თავდაჭერილად იქცევა და მიუხედავათ სულშემხუთავი მდგომარეობისა, ის არ მიმართავს ძალის ხმარებას, სისხლის ღვრას, მაგრამ ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მაინც ჰქონდა აღგილი ასეთ ორ კერძო, იზოლირებულ შემთხვევას:

1. ვლადიმერ უვანია. მან 1975 - 76 წლი. სამი თვითნუეთები ბომბი ააფეთქა: თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, რის შედევადაც, მისდა უნებურად, დაიღუპა ერთი რუსი მოქალაქე მანდილოსანი. უვანია შეიძყრეს. თვით საბჭოთა სასამართლო პაროდიაზეც აშკარა გახდა, რომ უვანიას ასეთ მოქმედებას, მეტად საპატიო და წმინდა მოტივები ამოძრავებდა: შევიწროებული დედა-ენის დაცვა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა. უვანია ზოგელ ღონეს ხმარობდა, რომ ბომბების აფეთქებას ადამიანის მსხვერპლი არ გამოეწვია. მაინც გამოიწვია, მაგრამ ეს მისი წინასწარი გა-



ნურახვით არ მომხდარა და, მაშასადამე, ვერცერთი სასამართლებულება თვით საბჭოთა კანონმდებლობითაც, უვანიას სიკვდილის უზრუნველყოფა არ მიუსჯიდა. უვანიას სიკვდილი მიესაჯა. საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ ის სამაგალითოდ სიკვდილით დასაჯა, როგორც საშიში დამნაშავე ქართველი პატრიოტი.

აյ აზრთა წინააღმდეგობას თითქოს არც კი უნდა ეჩინა თავი, ჟელა ქართველ პატრიოტს უნდა ეცადა, უვანია ჯალათის ხელიდან ეხსნა, სანამ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, შემდეგ კი მისი ხსოვნისთვის პატივი ეცა. დიდათ სამწუხარო, ემიგრაციაში ასე არ მოხდა: ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ერთი ფრთა, ტერორის წინააღმდეგობის მოტივით, გულცივად განზე გადგა და არავითარ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღო უვანიას სიცოცხლის გადასარჩევად. როცა ვლადიმერ უვანიას მკვლელობა გავიგეთ, ამ პოლიტიკური სახელმწიფო მკვლელობის დასაგმობად ერთი რეზოლუციაც, ან განცხადებაც არ გამოაქვეჭეს. კიდე მეტი. როცა უვანიას სულის სახსენებელი პანაშვიდი იქნა გადახდილი ჩვენს პარიზის ქართულ ეკლესიაში, ამ ვაპოლიტიკოსებმა პირი შეკრეს, რომ მას არ დასწრებოდენ.

2. თვითმფრინავის გატაცების ტრალიკული ცდა 1983 წლის 18 - 19 ნოემბრის დამით საქართველოში. ამზავი შედარებით ახალია, მაშასადამე, დაწერილებით ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ ის საბჭ. ხელისუფლებამ წევდიადითა და ბურუსით გარემოიცვა, რათა შემდეგ უკეთ მოექსოვა მისი სიყალბით სავსე ვერსიის ქსოვილი, შედეგი მაინც ვერ დაიმალა, რაც 15-მდე ადამიანის მსხვერპლში გამოიხატა. მათ შორის, თვითმფრინავის გამტაცებლებიდან სამი შიდვე, თვითმფრინავში მოჰქმდეს, ოთხ გადარჩენილს სიკვდილი მიუსაჯეს და ერთ ფეხმძიმე ქალსაც - 14 წლის პატიმრობა. ამ ტრალედის პასუხისმგებლობა მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებას და პირადად ეღუარდ შევარდნაძეს ეკისრება. იქნებ ამიტომაც იქნა ის საქართველოდან მოცილებული და სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად დაწინაურებული?

არის უტუარი ცნობები, რომელთა მიხედვითაც თვითმფრინავის გატაცების მომწყაბი ჯგუფის ჟელა წევრი იყო სამაგალითო ახალგაზრდა, კეთილად ზრდილი, კულტურული, ღვთის მორწმუნე, პატრი-

ოტი, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი. მათი მოქმედებისა მიზუნებული ტივები შეუძლებელია ვულგარული ანგარება ყაფილიყოს; სართო უკუჭევები და საპატიო ეროვნული და საყაცობრიო იჯენ და მაშინვე ფერლასათვის საცნაური გახდებოდა, თვითმფრინავის გატაცება რომ წარმატებით დაგვირგვინებულიყო, ესე იგი, როგორც ეს დაგეგმილი იყო, გატაცებულ თვითმფრინავს საბჭოთა ტერიტორია გადაელახა და ოსმალეთში დაფრენილიყო.

მარტო ის ფაქტიც ბევრის მეტჯელია, რომ თვითმფრინავის გატაცების ცდას ადგილი ჰქონდა იმ დღეებში, როცა თავს გასული ხელისუფალნი ქართველ ხალხს აიძულებდენ ზემით აღენიშნათ, საქართველოს სახელმწიფოს მოსპობისა და რუსეთის გუბერნიად გადაქცევის ორასი შლისთავი.

მაგრამ დავუშვთ ერთი შუთით, რომ იმ ახალგაზრდებს მართლაც ის ქვენა ზრახვები ამოძრავებდათ, როგორც ამას საბჭოთა ოფიციალური ვერსია იუშუბოდა, კერძოდ, თითქოს მათი სურვილი იყო საბჭოთა კავშირის დატოვება და კაპიტალისტურ დასავლეთში გასვლა, მაშინაც კი ჩვენს ეროვნულ ემიგრაციას ჰქონდა იშვიათი შემთხვევა, რომ საერთაშორისო ორგანიზმებისა და აზრის შინაშე დაეგმო საბჭოთა სპეცპაციო ხალისუფლება საქართველოში, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებისა და ჰელსინკის შეთანხმების მის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო აქტებს, ქართველ ხალხს უკრძალავს საზღვარგარეთ მოგზაურობას, რითაც ის მას უბიძგებს კრიმინალური დანაშაულის ჩადენისაკენ; ამავე დროს კი იგივე საერთაშორისო ორგანიზაციები და საზოგადოება განვევეწყო ისე, რომ მათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მოეთხოვთ პირატობისთვის მისჯილთა შეწყლება, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ დამნაშავენი ახალგაზრდები იჯენ და ეს იყო მათი პირველი და ერთადერთი დანაშაული.

არაფერი ამის მსგავსი! გარდა ჩვენი „გუშაგისა“, ემიგრაცია ხმაჩაკმენდილი და უმოქმედო დარჩა ასეთი ტრალედიის მიმართ, რომელმაც იქ მთელი ჩვენი ხალხი შეძრა და ააღელვა.

როგორც იყო, შეს მაისის ნომერში უურნალმა „ჩვენი დროშა“-მ ამ საკითხზე დაბეჭდა ერთი უცნობი ავტორის შერილი, რომელში



ეს მოკლული და მოსაკლავად გთწილული ქართველი ახალგაზრდულება ბი შეფასებული არიან კლასთაბრძოლის პოზიციებიდან და „წარმომადგენლები, როგორც „დამპალი კომუნისტური ელიტის“ წარმომადგენლები. ამის შემდეგ თავი როგორდა ვიმართლოთ იმათი გულდათუთ-ქული და გატანჯული მშობლებისა და ისტორიის წინაშე?!

ამ უკანასკნელ ტრომდე მიხეილ ქაგთარაძე მთლიანად იზიარებდა ჩვენს განწყობილებას სამშობლოში მიმდინარე თანამედროვე ამბებზე და მათში მონაწილე ადამიანებზე, მით უფრო გაგვაკვირვა და დაგვალონა მისმა მიღომამ „ივერიის“ უკანასკნელ 28 წლისათვეში, სადაც მას 180 გრადუსით გადაუყრავებია მთელი მისი ახლო წარსულის აზროვნება. აქ ჩვენ მხოლოდ ჩვენს მიერ ზემოდ აღძრულ ორი საკითხის შესახებ მოვიხმობთ : ვლადიმერ უვანიას შესახებ წერს: ეგზალტირებული ახალგაზრდა იყო ვ. უვანია... „მისი მოქმედება მიბაძვა იყო დასავლეთში გავრცელებულ მეთოდისა რომელიც დაშინებას ან პროტესტს წარმოადგენს. ასეთი რამ კი ჩვენში არ გამოდგებაო“ და სხვა ასეთი იწილობიშილო, რომელიც საბოლოო ჯამში მსხვერპლ უვანიას ხსოვნას ჩრდილაგს და არა მის ჯალათებისას. ასეთ შთაბეჭდილებას ვეღარ აქტუალურს მისი წინადადების უკანასკნელი სიტყვებიც: „...მწუხარებამ და თანაგრძნობამ მათქმევინაა.“ იქვე, 22 გვერდზე თვითმფრინავის გატაცების მცდელების შესახებ ვკითხულობთ: „ამ საქმეში საბჭ. რევიმის არა ადამიანურ მოქმედებას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი რომ ეს არასაქმაოდ მოფიქრებული ცდა მხოლოდ ცეცხლთან მოთამაშე და საბედისწერო საფათერაკო იდეით შეპყრობილ, რომანტიკულად განწყობილ ახალგაზრდათა აჩქარებული ნაბიჯი იყო. (ხგ. ჩ.) ...ამ ახალგაზრდებს არაფერი აიძულებდა, თვით შათ სიცოცხლეზე რომ არაფერი ვთქვათ, თავიანთი მშობლები ასეთ მდგომარეობაში ჩაეგდოთ. ამგვარი ჩისკის გაწევა გამართლებული იქნებოდა, საქმე რომ გვქმნოდა უაღრესად საჭირო, დიდი მნიშვნელობის მოქმედებასთან, როდესაც ქვეყნის საქმე მოითხოვს ამას. არაფერი ამისი მსგავსიც იმ უბედურთა საქციელს თან არ ახლდა. ხოლო ამ გვარი საქციელით თუნდ უსისხლოდაც რომ მიეღწიათ მიზნისათვის, მათი მშობლები ხომ მაინც პასუხისმგებელ მძევლებად რჩებოდნენ.“ ჩვენგან ხაზგასმულ სიტყვებში დაუზოგა-

ვად და უმართებულოდ შეურაცხვაფილი არიან თვითმფრინავულები გატაცების ცდის ავტორები. მთელ ამ გრძელ ტირადაში მოწოდებული ად გაზიარებულია ხელისუფლების ოფიციალური ვერსია, მასში იმტკიცის მდგრადი ადგილიც არ არის დათმობილი დანაშაულის შემასუბუქებელ გარემოებაზე. ნუთუ დღეს მათ საყედური იმაზე უნდა ეთქვათ, რომ მათ არ გაითვალისწინეს მათი მშობლების ბედი? მაშინ ხომ ანათემაზე უნდა ყოფილი ყენება გადაცემული აგვისტოს აჯანყბის ხელმძღვანელები?! საერთოდ პოლიტიკური აზროვნების დიდი სიღარუსე ამ სტრიქონებში. რა სამწუხაროა!

თუმცა სხვადასხვა მიღომით, მაგრამ მაინც ერთოვად დაუზოგავად დაგმეს ეს მამულს გონიერად თუ უგუნურად შეწირული ქართველები ჩვენი ემიგრაციის პოლიტიკური პარტიების ბეჭდვითმა ორგანოებმა.

საბენინეროდ, ჩვენს სამშობლოში ჩვენი ხალხი უფრო გონება-ფხიზელი გამოდგა. საფრთხეს არ შეუშინდენ და მასიურად საპროტესტო პეტიციებით მიმართეს ხელისუფლებას და მოითხოვეს, რომ სიკვდილისჯილებს სიცოცხლე შენარჩუნებოდათ. მიუხედავად შევარდნაძის მუქარებისა, ხალხმა მტკიცედ დაიცვა მოთხოვნა, რამაც, როგორც ჩანს, ნაყოფი გამოიღო. ხელისუფლება ყოფილი არ არიან გვერდის გამოუტხადებია. ერთიმეორის საწინააღმდეგო ხმებს კი ავტორელებს. ამნესტი ინტერნაციონალმა სულ უკანასკნელად გვაცნობა, რომ, მის მიერ მიღებული სარწმუნო ცონბების მიხედვით, უმაღლესი ზომა-სიკვდილით დასჯა, მათ შეეცვალათ 25 წლის უმკარგეს პირობებში პატიმრობით. ეს უაღრესად მძიმე სასჯელია, მაგრამ სიკვდილს მაინც სჯობია.

ეს მაგალითები საინტრიგანოდ არ მომიხმია, არამედ ჩვენი საზოგადოების გასაფრთხილებლად, რომ ის მეტი გულისყრით დაპევირდეს სამშობლოში მიმდინარე ამბებს და უკედ გაერკვეს იქაურ შავსა და თეთრში. თუ ჩვენ ზურგს შევაქცევთ კეშმარიტ პატრიოტებს და მათდამი მორალური მხარდაჭერის სურვილსაც კი არ გამოვამუღავნებთ, მაშინ აღარავითარი აზრი და მნიშვნელობა აღარა აქვს, არც 26 მაისის და არც აგვისტოს აჯანყბის წლისთავების აღნიშვნა-ზემებს.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენი ემიგრაციული უმრავლესობა მტკიცედ დგას ჩვენი ქვეყნის საოკუპაციო უძღვის ფლებასთან შეურიგებლობის პოზიციაზე, მაგრამ მათ შორის დაძრწიან შენილბული მტრის აგენტები, რომლებიც პატრიოტული საღლევრძელოებით ნდობას იხვევენ და სამშობლოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ყალბ, საბჭოთა დაზვერვაში შეთითხოვთ, კორებს ხალას კეშმარიტებად ასაღებენ და, ამრიგად, შეცდომაში შეცავთ, უკეთელად კეთილშობილი, მაგრამ გულუბრჭყილო, ზოგიერთი ჩვენი საზღვარგარეთელი მამულიშვილი. ამ დეზინფორმაციას ისინი მით უფრო ადვილად აღწევენ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი საერთო ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც წინ აღუდებოდა კაგებეს მიერ ჩვენ შორის წარმოებულ გამხრწნელ საქმიანობას და ამავე დროს უხელმძღვანელებდა მთელ ემიგრაციას სამშობლოს განთავისუფლების სამსახურში.

ნათქვამია: უპატრიონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრიონებიანო.

სოლიდარობა საქართველო

და ბოლოს ემიგრაციის საერთო ჯურადღება გვინდა მივაჭიოთ პარიზში ახლახან დაარსებულ დევნილ-შევიწროებულ ქართველთა კომიტეტზე „სოლიდარობა საქართველოს“ სახელწოდებით, რომლის შესახებაც „გუშაგი“ № 5 და 6 იუწყებოდენ და აგრეთვე, რომლის მოწოდება-მიმართვა ჯელას პიროვნულად დაეგზავნა და, მაშასადამე, ყველასთვის უკვე ცნობილია მისი მიზნები, რომ აქ მით ზედმეტად თავი აღარ შეგაწყნოთ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამჟამად ემიგრაცია ამაზე უკრთხეს სამსახურს ვერ გაუკეთებს სხვა რამეს ჩვენს სამშობლოს. საკვირველი და სამწუხარო ის არის, რომ ამდენი ხანი ქართულ ემიგრაციას ამდაგვარი რამ ჯერ არ ჰქონებია. გავიხსენოთ თუნდაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასობით დარჩენილი ქართველობა. რა ნუგეში, გამხნევება და პრაქტიკული სარგებლიანობა მოყენებდა ჯერ პირადად მათვის და შემდეგ საერთოდ ქართულ საქმისათვის, რომ ჩვენს უფროსებს ეფიქრათ და „სოლიდარობა საქართველოს“ მსგავსი რაიმე დამხმარე დაწესებულება დაეარსებინათ. მაგრამ, „მოვიკლათ წარსულ დღეებზე დარდი...“ ვიზრუნოთ

მომავალზე და გვახსოვდეს ხალხური სიბრძნე: სჯობს ჭრიანთ ჭრიანთ
დრე არასოდეს.

წამოწყების ინიციატივა საქირო და აუცილებელია ჭელა კარგი
საქმისათვის, მაგრამ ის არ კმარა. მთავარია საქმე ფეხზე დალ-
გეს, გაძლიერ-გაღონიერდეს, ცხოვემჟაფელი გახდეს. ამისათვის ორი
აუცილებელი პირობაა: წამომწყებელვანელთაგან ენერგიული,
დაუღალავი და ერთგული უანგარო სამსახური, ხოლო საზოგადო-
ებისაგან მასიური და გულმხურვალე მხარდაჭერა.

პირველი გამოხმაურება გამამხნევებელია და მომავლისთვის უკუ-
თესობის იმედს იძლევა.

„სოლიდარობა საქართველოს“ კომიტეტი იმედოვნებს, რომ სათვი-
სტომოების გამგეობები, პრესის ორგანოები და სხვა არსებული
პარტიული და კულტურულ-საკულტო კოლექტივები საჯაროდ ვამოა-
მჟღავნებენ თავიანთ პოზიციებს. „გუშაგი“ კი თავის მხრით დარ-
წმუნებულია, რომ ესაა აგვისტოს მსხვერპლთა საქმის ერთგულ-
ბის ერთი თანამედროვე და მეტად სასარგებლო გამოვლინება.

გ უ შ ა გ ი

1924 წლის აგვისტოს დღეები

(მოგონებები. დასაწყისი იხ. „გუშაგი“ №6)

სანამ თხრობას გავაგრძელებდეთ მკითხველი უნდა გავაფრთხილოთ,
რომ პირველ წერილში („გუშაგი“ №6) გაპარულია შეცდომა. იქ,
სადაც იკითხება: 28 აგვისტოს დილის 10 - 11 საათი იქნებოდა
და სხვა (გვ.70 მე-3 სტრიქნი), უნდა იყოს: 29 აგვისტოს და სხ.

გამომაყლეს ჭიათურისაკენ ერთი სომეხი ახალგაზრდა. გზაში
მან მე მეგობრულად დაიწიყო ლაპარაკი. მითხრა: შენ დაგსჯიან
და შენი ცოდვა არ მინდა დავიდო, გაიქეციო. არ ვიცი გულწრფე-
ლი იყო თუ არა. ყაველ შემთხვევაში, გარშემო შეიარაღებული
კომუნისტები დარბოდნენ და გაქცევა უაზროდ ჩავთვალე. უთხარი:

„მე არაფერი ჩამიღენია ისეთი რომ დამსაჯონ“- თქმ. ჭამიშვანეს და შემაგდეს სანდრო წერეთლის სახლის გვერდით სახლში, ყალბულ უკვე ტავა აღარ იყო დაჭრილებისა. შედიოდნენ სახლებში და ჟელას იკერდნენ, ვინც ხელში მოხვდებოდათ. სხვათა შორის, იქ ვნახე პოეტი პაოლო იაშვილი, რომელიც თურმე მატარებლით სახლ-ში ბრუნდებოდა თფოლისიდან და იქ დაეჭირათ. ის განზე იდგა და იძახოდა: „მე არაფერ შუაში ვარ, არაფერი ვიცოდიო.“ იქვე იყო მისი ძმა ჭუნია, მაგრამ მას არ ეკარებოდა. მაშინ იქ პაო-ლო გადარჩა და გაუშვეს.

იქ იყო აგრეთვე ბიძაჩემი ნესტორ წერეთელი. მას არაფერში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა და სახლში იყო. როცა შეუვარ-დნენ სახლში და, რომ დაინახეს წარმოსადეგი კაცი, დაუჭერიათ. მალე ერთი ნაწილი გამოგვარჩიეს ამ სახლიდან და ჩეკაში გადა-გვიჟვანეს. მახსოვს საწყლომა ბიძაჩემმა ნესტორმა მითხრა: „შვი-ლო, მე ალბათ მალე გამიშვებენ და მოვახერხებთ რამეს და. შენც გამოგიჟვანთო.“ მამაჩემი იმით გადარჩა დაჭრას, რომ, როცა სახლში შეუვარდნენ, დამხობილი იყო, ქალიშვილს სტიროდა და დაანებეს თავი.

გზაში ჩეკისკენ ალექსანდრე ვაშაძემ შემართა ნაგანი ფეხზე და გვითხრა: „არ გაბედოთ გაქცევა თორემ ჩემ რევოლვერთან გაქნ-ბათ საქმეო.“ ის ერთი ჰირებული გიურ კაცი იყო და მისგან ჟელაფერს მოველოდი.

ჩეკაც სავსე დამხვდა, იქ იყო ექო წერეთელიც. დაიწყო დაკით-ხვები, ზოგ ტუსალებს სცემლნენ. გალახეს ბუკუტა. ასე უძახდით ჩემი სკოლის მეგობარს ლევან ფალავის. მაგრამ მას ჩვეულებრივი ღიმილი მაინც არ დაუკარგავს.

მე როცა შევედი დაკითხვაზე და ჩემი გვარი და სახელი უთხა-რი, ქუთაისის ჩეკის თავმჯდომარემ დამიღრიალა: ნაც. დემოკრატ! მოუბრუნდა ჭიათურის ჩეკის თავმჯდომარეს და უთხრა: „ხომ ხედავ, მე მოგწერეთ, რომ ეს ჭაწვილი დაგეკავებიათ, თქვენ არ ფერი ჰქენით და ახლა აჯანყდა მოგიწყესო.“ ჭიათურის ჩეკის თავმჯდომარე, მგონი გვარად ლომაძე, გაბუზლული იჯდა და არა-ფერს ამბობდა. გადავრჩი, არ გამლახეს.



მართლაც, ქუთაისში ყართულ გიმნაზიაში ეროვნული ტექნიკური რაზიულ ახალგაზრდობას დიდი ორგანიზაცია ჰქონდა. როცა სკოლა გავათავეთ, გამოსამშვილობებელი საღმო მოგვიწყეს, რომელსაც სავსე ხალხი, მოწაფეები და მასწავლებლები ესწრებოდნენ. შეუა წარმოდგენების დროს ჩეკა დაგვეცა, სკოლას გარს შემოერტყა. ერთმა ჩემმა ნათესავმა გადმომძახა: „თავს უშველე, ჩეკა დაგვეცა.“ მე წამს უკანა კარებიდან ეზოში გადავხტი და გავიქცი. არც ქუთაისის საღურზე მივსულვარ, „საღორიას ტჭ“ გადაეჭირი, პირველი სადგურიდან მატარებელი ავიღე და ჭიათურაში ჩამოვედი, იქაც დიდხანს არ დავრჩენილვარ, თფილისში წავიდი.

ჭიათურის ჩეკაში გადაგვარჩიეს, თურმე უკვე თფილისისაკენ გასაგზავნათ. მახსოვს, ჩემ ჯგუფში იყა ერთი ქამწვილი ვინმე შარაშიძე; ის საშინლად მამაცად იქცეოდა, როცა კომუნისტები გვარი გვარდიავლნენ, მან მრისხანედ შეუტია და გალანძლა ისინი.

ამოდენიმე დღის შემდეგ, ლევან ფალავა და მე შეგვიჯანეს დაკითხვის თაოახში. გვითხრეს: „თქვენ ახლა გაგიშვებთ, ასე გადავწყიოთო.“ მე მომმართა ჩეკის თავმჯდომარემ და მითხრა: „ეხლა თქვენ თავისუფალი ხართ, მაინც გაგიშვებთ, მიუხედავად რას გვიპასუხებთ, გვითხარით, რომ თქვენ მოაწყეთ ავანტიურამ.“ მე უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, ვხედავდი, რომ ეს კაცი კარგს მიშვებოდა, მაგრამ ამის თქმა მაინც არ შემეძლო. უთხარი: ამ პირობებში, როგორც მე ვარ, არ შემიძლია ამის შეფასება და მას უწოდო ავანტიურა-თქო. მან თავი ჩამიქნია და მითხრა: „ჩვენ კიდევ შევხდებით ერთმანეთსო.“ ლევანი და მე გარეთ გამოვედით: რა კარგი ყაფილა დილის მზე და თავისუფლება! სიხარულით გაბრუებული მოვედი სახლში.

იმ ღამეს, თუ მეორე დღეს ჭიათურიდან გაიჯანეს დაჭერილები; მათ შეუერთეს სხვადასხვა კუთხიდან კიდევ სხვები; ჩაიჯანეს ზესტაფონში და იქ რონდებში ტყიისმფრქვევლებით დახვრიტეს. ეს ხმა რომ გავრცელდა, ჩამოვარდა საშინელი გოლება მთელ მხა-

რეზე. მშობლებისა და ნათესავების მწუხარებას საზღვრულო კრება
ჰქონდა. ორი კვირის შემდეგ, ერთმა მილიციონერმა პიგვიტა
ბიძაჩემი ნესტორის საათი და გვითხრა: „ეს მან გადმომცა, ჩემს
ოჯახს მიუტანეო.“ ამ მისმა პატიოსანმა საქციელმა გვიაკვირვა.
გავრცელდა ათასნაირი ჭორი და ხმა; მოლიოდნენ ზოგნი და ტა-
ნისამოსსა და ფულსაც თხოულობდნენ. (ადამიანი გაუმაძღარი ცხო-
ველიც ყაფილა!)

რამდენი იყო ამ რონდებში დახოცილი? ვ. ჩუბინიძე „მოგონუ-
ბაში“ ასახელებს 86 კაცს, რომლის შედგენაც ადვილი საქმე არ
იყო, რადგან ხელისუფლება ფელავერს ფარულად აკეთებდა. გაზეთ
„კომუნისტი“ ცოტა ხნის შემდეგ გამოაცხადეს არასრული სია
დახვრეტილებისა. „კიდევ გამოვაქვეჭებთო“ და, ჩემის ცნობით,
სხვა სია არ გამოიცხადებიათ. ჩემის ცნობით იქ იყო 186 კაცი.
ეს ცნობა მოდის ძველი კომუნისტი მუშა გამზარდაშვილისაგან.
იგი კომ. პარტიამ დანიშნა ჭიათურაში იმის გამოსარკვევად, თუ
რა მოხდა და მან ეს რიცხვი მოიფანა. ვფიქრობ, რომ მას ჰქო-
ნდა უფრო ვრცელი ცნობები.

რამდენიმე თვის შემდეგ ნესტორ წერეთლის მეუღლემ, ოლიმ-
პიადამ მთხოვა, რომ თფილისში წავიყანო სერგო ოჯონიკიძესთან.
მე სახლში არ შევსულვარ, გარეთ უცდილი. ბიცოლაჩემი მას ენა-
თესავებოდა და კარგად იცნობდა. დიდი ხნის შემდეგ ის გამოვი-
და საშინლად აღელვებული. ცოტა ხნის შემდეგ მოახერხა და მი-
ამბო, რომ ოჯონიკიძე სისხლს აფურთხებს და მითხრა: მალე მო-
ვკვდებიო. ჩემს საჭედურზე, როგორ ჰქენი და ნესტორის სიკვდი-
ლზე ხელი მოაწერეო, მიფიცა და მარწმუნებდა: მე მაგაზე ხელი
არ მომიწერია და არც ვიცოდი ვის ხოცავდნენო.“ (თუმცა „კომუ-
ნისტის“ ცნობაში მისი ხელის მოწერა იყო.)

აქვე მინდა მოვიგონო აღექსანდრე ჯაფულთან საუბარი აქ ბრი-
უსელში 1932 წელს. მან მთხოვა, რომ როდესმე ეს მისი სტალი-
ნიან შეხვედრაზე, დამეწერა. გასრულებ მის თხოვნას.

აღექსანდრე ჯაფული ყაფილი დიდი შავი ქვის მრეწველი იყო.
1925 წ. იგი დაჭერილი იჯდა თფილისში. როდესაც ბოლშევიკებ-

მა გადაწყვიტეს, ჭიათურის შავი ქვა დაეთმოთ ამერიკელებისათვის ვის საწარმოებლად; რადგან თვითონ ვეღარ უძღვებოდნებ ხეირიანად, მოიწვიეს ყაფილი ქართველი მწარმოებლებიც, რადგან ამერიკელებმა პირობა მოსთხოვეს მოსკოვს, რომ ამ მათ მოქმედებაში: „ძველ მწარმოებლებს და მეპატრონებს უნდა ჰქონდეთ წილიო.“ ალექსანდრე ჯაფრი, როგორც ყაფილი ქართველი მწარმოებლების საზოგადოების თავმჯდომარე, სტალინმა თავისთან მიიწვია. იგი გამოიყანეს ციხიდან და მოსკოვში გაგზავნეს.

სტალინი მას კარგად იცნობდა ჭიათურიდან. „კარგად მიმიღო, როგორც ძველი მეგობარი, გამოაღო მაგიდის უჯრა, გამოიღო ქართული ღვინო ბოთლით, გამოიღო ვაშლი, გაჭრა შუაზე და ნახევარი მომაწოდაო.“ „ხომ ხედავ ამერიკელებთან ვაკეოებთ საქმეს და ოქენებ მოგება გინდათ და ჩვენც, ასე ერთად ვიმუშაოთო.“

დაუწყა გამოკითხვა თავისი ჭიათურელი ძველი ნაცნობებისა. უკითხებს: „როგორ არის ნესტორ წერეთელიო.“ როგორ არის და დახვრიტებსო. სტალინს უთქვამს: „რათ დახვრიტეს ნესტორ წერეთელი, რას იზამდა ის ისეთს, რომ დახვრიტესო.“ ალექსანდრეს უთქვამს: „ან სხვებმა რა დააშავეს, რომ ხერეტავთო.“ შევატჲე ეს ჩემი პასუხი არ მოეწონა და სხვაზე გადავიდა სალაპარაკოდ, მითხრა ალექსანდრემ.

ალექსანდრეს უთქვამს სტალინისთვის: „მომეცი რამე მოწმობა შენი ხელმოწერილი, რომ, როცა აქედან გავაღ, არ დამიჭირონ კიდევო.“ სტალინს დაურეკია ზარი, შემოსულა ვიღაც მხედარი, რომლისთვის უთქვამს: „რამდენჯერ ეს კაცი აქ მოვიდეს, ყველთვის შემოუშვითო.“ ეტყობოდა: მოწმობის მიცემა მისი ხელის მოწერით არ უნდოდა.

შემდეგ ალექსანდრე ჯაფრი უცხოეთში გამოუშვეს საქმეებზე და ის უცხოეთიდან უკან აღარ დაბრუნებულა. არ ენდობოდა სტალინის სიტყვას

პ თ ე ჭ ი ა



გიორგი ტოგონიძე : სამი სონეტი

გ რ ი გ თ ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

კარდუს ხატება აეკიდა ეტრატის ხაზებს,
ქალდეას სფინქსში ამოსული პალადას თვალი;
შენ: ქართულ გრძნობის საიდუმლო შორი საგზალი,
შენ: ქართულ სიტყის ჯადოქრება და სილამაზე.

მუსკის „ლილ ეო“, - შენ პარნასის გიხმობს ჩვენება
და, ოპიზარის ის მისნური სულის ფირები;
შენი ხვითოა ცხრათვალა მზის აქვარელები,
კარდუს „არალი“, და ნინოს ჯვრის წმინდა ხატება.

არ იცის ჭყნობა ქართულ გრძნობამ და სიბრძნის ზეცამ,
ვით უკვდავება მარადობის, ის არის ცეცხლი,
და, ეთაყვანეთ მის დიდებას ღვთიურის ფიცით.

ფრთებასხმულია შენი სული რუსთავლის საგზლით,
ყანწვისის სუნთქვამ შეგაერთა შენ ჯიაკონდას,
ქართული გულის სასოებამ: მინდია-ლონდას !

პარიზი, 6. 3. 1951.

ტ უ ლ უ ზ-ლ ო ტ რ ე პ

მდგმური იყავი ფრთაასხმული ლაჟვარდ ოცნების,
გრთავდა პალადა ცის შვენებით სათნო უფალი,
გრავნილ ფიქრებში გულს სწურავდი ფერთა ამალით,
რომ, ტრფობის ალში ამოგეცნო ვენერას ხმები.

უდარაჯებდი კურტიზანქებს ფუნჯის პარადით,
გულში კი ზრდიდი ფილისტერი ქვექნის გინებას,
ვერლენის სპლინის მდუმარებით, შენ გერვინება
ტიბროსის ზეცა და სფინქსები დაღლილ ელადის.



უსხივო ბედთან დუელში მყაფს მონმარტის კაფეს ფატრავდი ღამით, რომ აბსენტში ფაშატის ფლოქვით ჩაეხრჩო კერპი სულთა წყრომის ა - უტო - დაცე!

და, ღიონისე კაგალერი შენია მოგვი,
იზრდები მასთან პაემანში მხურვალე თასით,
ვით, ფიროსმანი ორთაჭალის მფარველ პარნასით.

1947.

სამუშაო კარტის №53066

აზიის ჰარპი, ის ვამპირი ქვესკნლის ამგიდე,
გამოექეცი შენ აფთარებს იმ ბნელ ღამეში;
დახრილ ბედი სგან შორს გრჩებოდა სიმწუხარეში
მტრისგან დაჭრილი მოელვარე ქართლის სიწმინდე.

დაგაქვს კარლუს ცა ფიქრის წყაროდ, ვით საღვთო ამინ;
შენს გზებს, დღეს ჯვარულს, სწვავს სკვითების ქოსა ჯალათი,
ცხელ სამუმივით კეთროვანი ორგულთ ღალატი
და, შურით სავსე საუკუნე სისხლიან ჯამით!

შავბნელი წლების ბალდახინი ნიამორებით
მიასვენებენ შენს ოცნების ჭლექიან დღეებს;
ცეკვავს დემონი და, საათის ქურდი ისრები.

მიჭები ვით ტჰე ოქროთ მშიერ შეშლილ ქიმერებს,
დგანან დარაჯად მანქანებთან ქარხნის რაჯები,
ქრისტე მაცხოვრის და კაცო ძმობის მაგინებლები.

გიორგი ტოვონიძე
პარიზი, 1953

გ ი ვ ა ბ ი ს ლ თ ც ვ ა

(ვიქტორ ნოზაძის სულის მოსახსენებლად)

სამებაო ყოვლად-წმიდა,
ყოვლად-წმიდა სამებაო,
გვინდა შველა, შველა გვინდა,
ო, გვაკმარე წამებაო...

შეგვიწყალე, საფარელო,
კეთილის და კარგის მცველო;
გვინდა შველა, შველა გვინდა,
სამებაო ყოვლად-წმიდა...

დაგვიხსენი, ო, უფალო,
ცოდვისაგან დაგვიხსენი,
მოგვაშორე ის უწყალო,
დიღი ცნება აგვიხსენი...

შეუფერ მოგვილხინე
და შეგვინდე ურჯულობა;
ო, წმიდაო, მოგვისმინე:
შენგან გვმართებს სულდემულობა... სამებაო წმიდავ, ამინ !

მოიხილე და განკურნე
უძლურება ჩვენად-ჩვენი;
წყლულზე ცვარი დაგვაპკურე,
მოსალბუნე, მომარჩინი...

ჰქმენ წმიდაო, ესე ჭალა,
სახელისა შენისათვის,
უსხეულო ცისარტყლავ,
აღუწერო ენისათვის...

შეგვიწყალე, სანატრელო,
გბლწრფლის და სათნოს მცველო;
გვინდა შველა, შველა გვინდა,
სამებაო ყოვლად-წმიდა...

გენუკვებით მუხლმოდრეკით,
შუბლზე ოფლით, თვალზე ნამით,
გიღაღადებო ზართა რეკით:
სამებაო წმიდავ, ამინ !

გ ი ვ ი შ ა მ რ ე ლ ი

ლ ა დ თ ბ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

ნ ი დ ა რ ლ უ მ ბ ა ძ ი ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს
წ ლ ი ს თ ა გ ზ ე

მხოლოდ სამს თუ ოთხს
ვიცნობ მოთხრობას
ქმნილს შენი ხელით.
შორს სამშობლოდან,
ძალიან შორს, სხვა ქვეყნაში,
სადაც არ თხრობენ
ქართული ენით,-
ვისიამოვნე...ვისურვე თანაც:

ვიცნობდე ამ კაცს, გულში ჩავიკრა
ვითარც ძმა ღვიძლი, და
ძმასავიოვე ვაკოცო თანაც.
ვერც გაგიცანი,
ვერც ჩავიკარი გულში ძმასავიო.
შორს წასულხარ სამუდამოდ
ხარონის ნაგით.
ვიცი ნამდვილად...აუცილებლად,

რომ შენთვის გალობს
ანგელოზთ ხორო, და
ამ ქვეყანაც შენთვის გალობას
ვიცი არასდროს ექნება ბოლო.
დილით, როდესაც
„მზე“ თავს ამოყოფს,
ნელი სრიალით დასავლეთს მიღის:
ბადიშის ხელში, სადმე ჭალაში
ზღვის პირს ქვიშაზე,
ატირებული ტირიფის ჩრდილში,
ან ზვინში თივის,
ანდა საღამოს,

ნათურას შუქზე უისუკიროები—
ქოხში, ოდაში თუ სასახლეში—
გოგიას სახლში
დაყფიავს „ძალია“...
სოფლის შარაგზას
აამტვერებს ხაბაკა „დიდრო“...
გურულ კილოზე აფუსფუსდება
ბებიაშენი...
იკამათებენ ბიძიები :
ილიკო და ილარიონი.
„უმაღური“ კი,
ტოვებს მაღლობით
მიღამოს სახლის.

1985 წ. სექტემბერი


არ დაბრუნდება

მსგავსად მდინარის—ხან ჩქარის და ხან ზლაზვნიას,
ჩემი სიცოცხლის ორმოცდა თვრამეტ წელმა განვლო.
მაგრამ ღმერთმა ამ წლებიდან ჩემს სამშობლოში
მხოლოდ ოდნავი თვრამეტი მარგო.
წელი ორმოცდა მიიწურა უცხოეთში ჩემი ცხოვრების
და ვინ იცის ძიღვევ იქნება. რამდენმა განვლოს.
როგორ მწყურია : კვლავ დანახვა ძველი ქუჩების,
მათი, რომელნიც სულ შორს წარსულში,
ბახვა ფულავამ ესმასთან განვლო.
მე ეს წყურვილი უნდა მოვიკლა როგორმა სხვა გზით...
რაც იყა, იყა...მორჩა, გათავდა...
მიიწურა და წარსულს მიბარდა...
არ დაბრუნდება არასდროს, არგზით.

15 იანვარი 1982.

ლ ა დ ო ბ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

ი ს ა კ მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი



ჯ ე რ ჟ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა რ დ ა მ ი კ ა გ ა ვ ს

სად არ ვიყავი, ეცვატორს ვავცდი;
მე ვნახე მეტკა და თაჯუმაგალი...
განა დავმდაბლდი ნახულით, განცდით,
ჩემ ქართველობით ვიყავ მაღალი !

*

წმინდა იორდანს ვერ დავჭაბულდი,
ნილოსის წყლიც მისვამს უმაღოს,
შვება ვერ ვპოვე კერპით და ბუდით;
აქლემის ზურგით განვვლე უდაბნო.

*

ცაში გაკიდულ გზებით ვიარე
და სინას მთაზე ღვთაებას მივწვდი...
ვერ მოვაშუშე გულს იარები,
რაღაც ვიცოდი შენ აღარ მიცდი !

*

მე ვნახე კრემლი...ტიბეტის მთები...
სემირამიდის ძველი ბაღები...
გამიჭალარდა მე გზებზე თმები,
მაგრამ მე მაინც არ დავიღლები.

*

მეფე მავზოლის ვნახე აკლდამა,
კუნძულ როდოსზე-მზის ღმერთის ძეგლი;
პირი იბრუნა ჩემგან სიკვდილმა:
ღმერთმა მისურვა სიცოცხლე გრძელი !

*

ვნახე ჩინეთის დიდი კედელი,
მარიხუანით შევხვდი ბევრ შეშლილს...
მე ვრჩები ჩემი ბედის მჭედელი,
ჩემს ქართველობას ვინ წაშლის ჩემში?

*

კეთრით დაჭმული კათმანდუ ვნახე,
ჰონკონგში მისვამს ბრინჯის არაფ;

ჯერ ჭელაფერი არ დამიკარგავს,
ჩემ ქართველობით ვრჩები ამაყ !

*

მე ეიფელის კოშკზე ავედი
და ძირს პარიზი ვნახე ნოხივით...
ჭელას სჯობია „მამალავითი“
დე, გავიხარო კვლავ მისი ხილვით !

*

ვნახე ქოხები...ცათამბჯენები...
პარამხანები საჭური სებით...
ნახულის განცდით მე ვჯიელდები,
ვრჩები ამაყ ქართულ ღირსებით !

*

მხოლოდ იმაზე მე გული მწყდება,
რომ დავრჩი ქვეჭად უცხოთ და მარტო...
და, როცა გულის ფეთქვა შეწყდება,
ჩემი ფიქრები ვისლა მივანდო ?!

*

მე მარად მგზავრის ბედი მერგუნა,
რაც კი გამაჩინდა დავკარგე გზებზე—
„დედა-სამშობლო“ და „დედა-ენა“—
/ებლა ვლოცულობ სამშობლოს მზეზე
და უცხოეთში ვლოცულობ შენზე ! /

*

ვიცი ჩვენ შორის დრო...მანძილია...
და გზებიც ჩვენი ერთმანეთს არ ჰვავს,
თუ შენზე ცრემლვა მე შემიძლია,
ჯერ ჭელაფერი არ დამიკარგავს !



მისი ლურჯაის დაკრული ტორი უნივერსიტეტი

„უნცრუათ გაბრიელი“, — ასე ეძახდნენ ამ ქვექილან აღრე წასულ შესანიშნავ პოეტსა და მამულიშვილს — გაბრიელ ჯაბუშანურს — თანა-ტოლი მეგობარი ლიტერატორები, მისი ტანმორჩილებისა და სუსტი ანაგობისა გამო. ამ კაცის ცხოვრების სიდურეშირისაგან დასწეულზე ბულ მკერდში დიდი სიყვარულისა და სიმართლის მატარებელი გული ძერდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა მკითხველი საზოგადოებისათვის; ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას არაერთჯერ უთქვამს: „წრფელი და ნამდვილი სიყვარულით მიყვარს შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე — გაბრიელ ჯაბუშანურიო.“

ამ წერილის დანიშნულება სულაც არ არის, ჯერ „ოქროს საწმისში, და შემდეგ იქიდან „გუშაგში“ გადმობეჭდილი: „ინვექტივა-მონუმენტის“ განხილვა, რადგანაც ყოველივე იმის შემდეგ, რაც პოემაშია გადმოცემული, სრულიად ზედმეტია მკითხველის ისედაც წამებული სულის კიდევ უფრო აფორიაქება კაცობრიობის ერტ-ერთი საძულველი და მყრალი დინოზავრის სახელის ხსენებით.

გაბრიელ ჯაბუშანურის სატრანსლარო და პატრიოტული ლირიკა უმდიდრესი ქართული პოეზიის მშვენებათაგანია. მაგალითისთვის:

მ შ გ ი დ ი ბ ი თ

მშვიდობით; მივალ; დე, არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი;
მწამს თავს გაიტანს და გაიმარჯვებს
ფხა ვაჟკაცური, მიზანი სწორი.

*

დაიქცენ ძველი აღათის ბჭენი;
ბინდი არ ბოჭავს გულს მარწუხივით;
გამჭვება ქალაქს სურვილი შენი
და დედაქემის ჩემზე წუხილი.

*

შევხვდები ბარში ვაჟკაცებს ნარჩევს,
მოვალ და ნათელს მოვიტან შორით;
მშვიდობით, ქალავ, დე, არხვატს დარჩეს

მისი ლურჯაის დაკრული ტორი

ჩემი ლურჯის დაკრული ტორი !



მირზა გელოვანისა და ლადო ასათიანის თანატოლი და სულიერი ძმა—გაბრიელ ჯაბუშანური, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში ბარისახოს საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა, გარდაიცვალა 1967 წელს და მშობლიურ მიწაში თან ჩაიყოლა ცხოვრებისაგან გაუხარელი გული, გული, რომელიც მისი სათაფანებელი ქვეჭისათვის იწვოდა.

გაბრიელ ჯაბუშანურის, როგორც პოეტისა და მამულიშვილის, სახეს მშვენივრად გაღმოვცემს მურმან ლებანიძე ქვემოთ ლექსში:

გ ა ბ რ ი ე ლ ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ ს

ძმაო გაბრიელ, წინ მიდევს წიგნი;
უნდა მოგწერო შთაბეჭდილება :
ვკითხულობ შენს წიგნს, ღამეა ირგვლივ,
ირგვლივ ღამეა და მეტირება.

რამდენი ტანჯვა, რამდენი ჯვარცმა,
ბეჩაო, სოფლის რა არ გინახავს;
ან კი იმედი ვით ვითხრას კაცმა,
თუ რწმენა, როგორც ძმა დაგიმარხავს.

ასე მგონია, შენ ხარ შიშველა,
სული ძლიერ გიდგას, ან კი რითი ხარ;
ტანთ გახვევია ქრისტეს ჯინჯველა
და ორი ძვალი ორ ძელს ჰკიდიხარ.

სეტჭამ დაპკრა და, რომ არ გადიღო,
(თუმც სეტჭა იგი ჭელას გვიშენდა !)
ან მე სად ვიყავ, ან ის სად იყა,
ჩვენ სად ვიყავით, როცა გიჭირდა !

ძმაო გაბრიელ წინ მიდევს წიგნი,
ამაღამ შენგნით არ მეძინება;
უნდა მოგწერო, ღამეა ირგვლივ,
ირგვლივ ღამეა და მეტირება.



მაგრამ მე ვიცი, როვორც ხევსური,
ვერ მოიწონებ ვაჟდაცის ტირილს;
შენც ხვალის დღეში უნდა შესცურო,
სარკმელში დაჩნდა ცისკარი დილის...

დამილოცნია შენთვის გზაშარა,
გული საშენოდ მხნეობას ყირის;
მე გამოვალე ჭელა ფანჯარა,—
მაშ, გამარჯვება!— გავყირე თბილისს.

გაბრიელ ჯაბუშანურის „ლურჯაის დაკრულ ტორს“ დიდი დღე
უწერია, ამიტომაც დღეს მას ეკუთვნის ჩვენი ფიქრები.

თანამემამულე

*** *** *** *** *** ***

ლ ი ტ კ რ ი ტ ი კ ა

თედო რაჭველიშვილი

დანიელ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“

ას-ოცდა-ხუთი წლის წინ დაიწერა „სურამის ციხე.“ დანიელ
ჭონქაძემ თავისი ეს მოთხრობა დასაბეჭდად მიუტანა იგანე კერძ-
სელიძეს, რომელმაც გულდასმით წაიკითხა და ხანგრძლივად მიმო-
იხილავდა მის შინაარსსა და იდეოლოგიურ ჩანაფიქრს. ბოლოს კე-
რძსელიძემ გადაწყიტა დაეხევდა თავის უურნალში. „სურამის ცი-
ხე“ „ცისკრის ორ ნომერში იბეჭდებოდა—1959 წლის დეკემბრისა
და 1960 წლის იანვრის ნომრებში. ამის შემდეგ დანიელ ჭონქა-
ძეს დიდხანს აღარ უცოცხლია: კიდევ ახალგაზრდა—30 წლისა —
გარდაიცვალა 1860 წლის 16 ივნისს. ის გარდაიცვალა ტუბერკულ-
ულოზით და შინაურებმა, იმის შიშით, რომ ჭრები სხვას არ გა-
დასდებოდა, ჭელა მისი ნაწერი და ნივთი დასწვეს. ვარაუდობენ,
რომ მას სხვა ნაწარმოებებიც ექნებოდა.

დანიელი, ასე ვთქვათ, უბრალო კაცი არ იყო. ის გამლდათ ღვ-
დლის შვილი და თვითონაც სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებუ-



ლი, სწავლობდა რა ჯერ ძაუგში (დღევანდელი ორჯონივი შემოსულიერობის სასწავლებელში და შემდეგ თბილისის სასულიერო სერინთ-რიაში, რომელიც ბრწყნვალედ დაამთავრა 1851 წელს.

იგი მასწავლებლობდა სტაგროპოლისა და თბილისის სემინარიებში, მაგრამ ის სულ სხვა მისწრაფებითა და სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. თუმცა სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა, მაგრამ ის იყო ნაჭევთა შთამომავალი, და ჭმა გლეხთა სოციალური ყოფა, მათი მძიმე ცხოვრება და განსაცდელი ასევე მძიმედ აწევა სულსა და ვონებაზე. დანიელ კონქაძის მთელი მსოფლმხედველობა სწორედ ამ საფუძველსა და წინაზრახვებზე შემუშავდა. ის გლეხთა ცხოვრებაში მხოლოდ სიდურეშირეს ხედავდა და ვერ ამჩნევდა ნათლის თუნდაც ოდნავ სხივს.

„სურამის ციხეში“ შემაძრწუნებელი ეპიზოდებია მოთხრობილი და ისეთი სიმძაფრითა და მხატვრული დახელოვნებით, რომ მისი წაკითხვა და ალქმა აუღლებლად შეუძლებელია! კონქაძემ შემოიღო ახალი უანრი ქართულ ლიტერატურაში, თხრობის ახალი სტილით. ის სავსებით დაეჭრდნო უბრალო ხალხურ, მარტივ კუთხურ ენას და ამით მისი მონაყოლი ამბები გულში ღრმად ჩაწვდა მკითხველს. ის არ ეძებდა მაღალფარდოვან სიტყვებსა და ფრაზებს, არამედ სწერდა იმ ენით, რაც იყოდა. „სურამის ციხე“ ქართლური დიალექტის შესასწავლად დიალექტოლოგს ეფექტურად შეუძლია გამოიყნოს. და ეს თავისებურობა ამ მოთხრობისა კიდევ უფრო ამძაფრებს შინაარსს და სავსებით იპყობს მკითხველს. ამიტომ დაიკავა კონქაძემ საპატიო ადგილი ქართულ ლიტერატურაში, რომლის პროზაული ნაწარმოებები რიცხობრივად და ხარისხობრივად დიდად ჩამოუვარდება ბრწყნვალე ქართულ პოეზიას.

„სურამის ციხე“ ნაღმივით გასკდა თავის დროს და ძირფესვი-ანად შესძრა ქართ. საზოგადოებრივი აზრი. მაშინდელი ფეთქების ექო დღესაც გრგვინვა-ჭუბილით გაისმის. სერგო ფარაჯანვი კინოფილმსაც კი ამზადებს სურამის ციხის სიუჟეტზე. თავის დროს კი ქართ. ინტელიგენციისა და მაღალი არისტოკრატიის წრეებში „სურამის ციხემ“ აზრთა ფართო სხვადასხვაობა გამოიწვია და ერთმანეთს დაუპირისპირდა დიდი ქართველი პატრიოტ-მამული შვილი. ანტონ ფურცელაძე მიესალმა „სურამის ციხეს“ და კონქაძეს მხარი დაუჭირა. ქართ. პრესის ფურცელებზე ის აღნიშნავდა, რომ

„სურამის ციხეში“ ბევრმა იცნო თავისი თავი როგორც სარტყელი
და თავს დაესხნენ საწყალ ავტორსო. როცა ან. ფურცელზე ჯე
სიტყვებს წერდა („ცისკრის“ 1863 წ. პირველ ნომერში) დ. ჭონქა-
ძე უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ სიცოცხლეში კუკიის ხილ-
თან უცემით მისთვის თავადებს და მას მტკვარში გადაგდებას
უპირებლენენ.

აღექვსანდრე ორბელიანი, რომელიც წოდებათა შორის მორიგე-
ბა-შერიცვების მომხრე იყო და მექადაგებელი, „სურამის ციხის“ წი-
ნააღმდეგ გამოვიდა. მან მრავალი კრიტიკული წერილი უძღვნა
ჭონქაძის მოთხოვნებას. ხოლო გრიგოლ ორბელიანს თურმე დიდი სა-
ჯელური უთქვამს ივ. კერძესელიძისათვის „სურამის ციხის“ გამო-
ქვეწებისათვის. ზოგმა თავადმა კი ამის გამო უარი განაცხადა
„ცისკრის“ გამოწერაზე!

რას ამბობდა თვით დ. ჭონქაძე იმ ნახევარი წლის მანძილზე,
რომელიც მას დასცალდა სიკვდილმდე „სურამის ციხის“ გმირებე-
წების შემდეგ? მას უთქვამს: საზოგადოება კარგად შეცვდა „სუ-
რამის ციხეს“, ზოგიერთი უვიცი მემამულის გარდაო (იხ. შალვა
რადი ანი: „ახალი ქართ. ლიტერატურა“, 1954),

მაგრამ განა გრიგოლ ორბელიანს უვიცი ეთქმის? სწორედ ის
გარემოება, რომ გრ. ორბელიანი უარყოფითად გამოხმაურებია ჭო-
ნქაძის მოთხოვნებას, ადასტურებს „სურამის ციხის“ იდეოლოგიურ
ნაკლსა და სუბიექტიურობას. გრ. ორბელიანი თვით გახლდათ გლე-
ხობის, საერთოდ მშრომელი ხალხის გულწრფელი და თავდადებული
მომხრე და მცველი. გავიხსენოთ მისი „მუშა ბოჭულაძე“ და მი-
სი მთელი სახელვანი ცხოვრება, რომელიც ასე დიდებულად აღ-
წერა ელგუჯა მაღრაძემ. და თუ დიდი ორბელიანიც საჯელურს
გამოთქვამდა, ამას ის სჩადობდა არა უვიცობით, არამედ სწორედ
რომ ცოდნითა და მიუდგომლობით.

ყოვლად დაუშვებელია ფიქრი მისა, რომ ფეოდალიზმის ხანაში
უსამართლობას არ ქონდა ადგილი. საქ. ფეოდალური ურთიერთო-
ბის ისტორია მოვითხოვბს მრავალ თავზარდამცემ ამბავს, რისი
უარყოფა და გაუთვალისწინებლობა შეუწყარებელია. მაგრამ, რო-
დესაც ისტორია განვებ მახიჯდება, ცალმხრივად და სიძულვილით
შუქდება ესა თუ ის ისტორიული მოვლენა— ეს უკვე სხვა ვითარე-

ბაა და სათანადო აწონდაწონას, გაანალიზებას მოითხოვს საჩვენებლი დღევანდელი აწმუნული ერთ დროს ხომ წარსულად იქცევა, რეაგირებული ნა უსამართლობა არ იქნება მომავალმა თაობებმა არ შენიშვნობისტორიის ფურცლებზე, ვთქვათ, ამ საუკუნის დიქტატორთა ბოროტოვებანი?

შალალირსეული და კეთილშობილური ლეგენდა ციხის მშენებლობის შესახებ საქ. მრავალ კუთხეში იყო შემორჩენილი, მაგრამ ბევრგან იგი დევლთაგანვეა დამახინჯებული და განზრახ გადაკეთებულ—სახეცვლილი. ასე იყო ჭონქაძის დროსაც. მან ლეგენდა ხალხში იპოვა, გადააკეთა, უკიდურესად გამძაფრა, აიყვანა კულმინაციამდე და შექმნა შემაძრწუნებელი მოთხოვნა—დედისერთა ზურაბის ციხის კედელში ამოქოლვის ტრაგიზმით. ეს კი კომუნისტი იდეოლოგებმა საუკეთესოდ გამოიყენეს საპროპაგანდო. მახსოვს ჩემს ბჟუშვილი—ოციანი წლების მეორე ნახევარში,—როგორი იყო რეაქცია, როცა მოზარდმაფურებელთა თეატრში სცენაზე, ანდა მუნჯ კინოფილმს ვუცქერდით უმანკო ბავშვები. ვტიროდით ცხარე ცრემლით, პირდაპირ ვბრაოდით, როცა ზურაბის დედა ციხის კედელში დატანებულ შვილს გულის გამგმირავი ხმით მიმართავდა: „შვილო ზურაბ, სანამდი?!“ და გვესმოდა განწირული, დაფეთხებული ჭავჭავილის გამოძახილი: „ვაიმე დედავ, ყულამდი“ და ბოლოს კი: „ვაიმე დედავ, გავთავდი!“ ჩვენი, ბავშვების შეულახავი გონება მძიმე დაწოლას განიცდიდა; ის, ასე ვთქვათ, იწამლებოდა სულიერად, მანინჯდებოდა გონებრივად, და ექცეოდა წარმოუდგენელი შიშის ქვეშ.

კომუნისტებმა ცამდე აამაღლეს დანიელ ჭონქაძე სწორედ იდეოლოგიური პროპაგანდის თვალსაზრისით და არა მისი მხატვრული ღირებულებისათვის, რაც ავტორს „სურამის ციხისას“ დიალაც ეპუთვნის. როდესაც ოცდაათიანი წლების შუაში ვერის ძველი სასაფლაო გააუქმეს, აიღეს საფლავის ქვები და მთელი არე აქციეს ე.წ. „კულტურისა და დასვენების პარკად“,— ამ დეკორატიულად მორთულ-მოკაზმულ ბაღნარში მხოლოდ ერთი საფლავის ქვა დატოვეს, რომელსაც ეწერა: „დანიელ ჭონქაძე, 1830 - 1860.“

ნამდვილი, ჭეშმარიტად პატრიოტული, მაღალიდეური და კეთილშობილური, შეურყნელი და შეუცვლელი ლეგენდა სულ სხვას მო-

გვითხრობს, და აი ისიც : ულმობლობითა და სისასტატიკით განსაკუთრებით სახელგანთქმული მტრის ურდღოები მოადგა. მცენტრის მეფეერისთავნი შეუდგნენ ერის დარაზმეას. ერთშე თუთ მოდის და, მაგრამ გულადი ერი შიშს არ ეძლეოდა. მეფის ირგვლივ იყრიბებოდნენ რაინდები და კაბუკი ვაჟკაცები იარაღში სხდებოდნენ. დედა თავის ერთადერთ ვაჟს მამულის დასაცავად გზავნიდა. ქალები ფერხულით აცილებდნენ ოშში მიმავალ ლაშქარს. შენდებოდა ციხეები, ხოლო დაკრეულ ციხეთა სწრაფად შეკეთებაც საჭირო იყო, თუ მტრერი ლაშქარს სძლევდა, ქვეყნა შიგნიდანაც სათანადოდ უნდა ყაფილიყო გამაგრებული. და აი, სამეფო ციხე, მთავარი იმედი ერისა, იშლებოდა და ფრიალო კლდეზე. მისი კედლების აგება არა და არ ხერხდებოდა.

მეფეს მოახსენეს, რომ კედლები უნდა დაეტანებინათ დედის-ერთა კაბუკი, თორემ ისე ციხეს ვერ ააგებდნენ. მეფემ გაგზავნა მაცნენი მთელს თავის სამფლობელოში და გამოაცხადა ეს ამბავი. სულ მალე ციხის ბჟეს მოადგა სამასი დედისერთა, მათთან იუნენ მათი დედებიც. ყველას სურდა თავი შეეწირა ქვექისათვის, მაგრამ მხოლოდ ერთის შერჩევა შეიძლებოდა. ყარეს წილი და სამას რაინდს გმირები ერთი კაბუკი, რომელიც მხიარული სახით მეფის წინაშე წარსდგა. ყველა მის ბედს შენატროდა. მეფემ, სამღვდელოებამ, ლაშქარმა, მშობელმა დედამ დალოცა ქმაწვილი და ისიც გულადად წარსდგა კალაოზთა წინაშე, რომლებმაც სწრაფად იწყეს ქმაწვილის დატანება ციხის კედელში. ქმაწვილის სახეს ლიმილი არ შორდებოდა. როცა ყლამდე აიჟანეს ნაშენი, უცბად მეფემ ბრძანა კედლის მოჩრდვევა, რაც სწრაფად იქნა ასრულებული. მეფემ ქმაწვილი წარუდგინა ერსა და ლაშქარს და ბრძანა :

„ვისაც ასეთი გულადი ძე, „და მიუთითა რჩეულ ქმაწვილზე“ და „ვისაც ასეთი რაინდები, და მიუთითა სამას დედისერთა კაბუკზე, „და ვისაც ასეთი დედები“, და მიუთითა სამას დედაზე, „და ვისაც ასეთი ლაშქარი...ასეთი ერი ჰყებს“ და მოავლო ხელი მის ირგვლივ დარაზმულ ლაშქარსა და ერს, „რაღად უნდა ციხე და მისი კედლები, შვილნ და ძმანო, ვეკვეთოთ მტრეს და შეწევნითა ღვთისათა გავიმარჯვებთ, მე გაგიძლვებით წინ !“ და, აღტანებული ერი და ერისთავნი დაიძრნენ მტრისაკენ, რომელიც სას-

ტიკად დამარცხეს და სამშობლოს მიწა-წყალზე არ გააძირდეს. აი, ბატონებო, ეს გახლავთ დიდებული ლეგინდა და სირამი დოკუმენტების ასეთ განძს, ხალხური შემოქმედების ასეთ თვალ-მარგალიტს უნდა მოვუაროთ, უმწიდესოდ და შეურყნელად დავიცვათ და ხელიხელ-საგოგმანებულად გადავცეთ მომავალ თაობებს. ესაა ჭელას მოვალეობა.

სურამის ციხის ირგვლივაც ასეთი კეთილშობილური და რაინდული სული ტრიალებდა ძველად! და ტრიალებს ახლაც-მის ნანგრევებთან.

ამდენად, უმართებულოდ მიგვაჩნია ჩინებული პოეტის მურმან ლებანიძის ნათქვამი: „ყველი ქართული ციხის კედელში დედის-ერთა ქართველი ვაჟი იყო დატანებული.“ მაღალფარდოვნ სიტყვაბსა და ფრაზებს, რომელიც ასე უფარს მრავალ ქართველ პოეტსა და მწერალს, დრამატურგსა და პუბლიცისტს, არ უნდა ვანაცვალოთ ქართველი ერის სახელოვანი და რაინდული ისტორია, და კეთილშობილება-ბანალურ სიცრუესა და სიმახინჯეს; არ უნდა შევლახოთ დიდებული სინამდვილე უცხო იდეოლოგიური სიმდაბლით და ჩვენს ისტორიას არ მივცეთ სრულიად შეუწიქარებელი განმარტება; არ დავიყვანოთ ჩვენი წინაპრების სულიერი განწყობა პრიმიტიულობამდე და ველურობამდე; ჩვენი წინაპრების საარაკო აღმშენებლობითი ნიჭი, გონიერება და სინატიფე, -უნიჭობისა, უგნურებისა და უშვერობის დონემდე.

გავიხსენოთ თუნდაც კრისტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა.“ მცხოვის აღმშენებელ დიდოსტატის მკლავი მოსკოვეს? და ეს მკლავი არის გჭოხატული ტაძრის კედელზე? და ეს იმიტომ, რომ კრისტანტინე არსაკიძეს ბრალდებად წაუყნეს: „რატომ კარგი აგიგია“-ო? ხალხური ლექსი ამას მართლაც ამბობს: „ხეკორძულას წყალი მისვამს მცხეთა ისე ამიგია, დამიზირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია.“ მაგრამ განა ხალხი, ან ცალკე მოქმედი თავისი ფანტაზიით შეცდო-მას არ უშვებს? კ. გამსახურდია უაღრესად განათლებული და ღრმად ჩახდული პიროვნება გახლდათ და ასეთი აბრუნდი როგორ დაემართა! საგალალოდ, მანაც თავის პირად ფრთაზიას მისცა გასაჭანი და შექმნა უსახური, შეურაცხმულელი და სრულიად უმა-

რთებულო ტრაგიზმი დიდოსტატის მარჯვენაზე.

მარჯვნის სიმბოლიური გამოსახულება ამა თუ იმ რჩევებთან ჰქონია ნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ მითითებას იმაზე, რომ არ მომარტილია შექმნას აღამიანის მარჯვენამ. ამ სიმბოლიკაზე უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს და სხვაგვარ განმარტებას იქ ვვ იპოვით. ნიკორწმინდის დიდებულ ტაძარზედაც აღამიანის მარჯვენაა გამოსახული, მაგრამ ხალხს არ შეუქმნია რაიმე ყალბი გადმოცემა, თითქოს ამ ზღაპრული ჩუქურთმებით მორთულ-მოკაზმულ ტაძრის ამგებს მარჯვენა მოსჭრეს. გალაქტიონ ტაბიძემ თავის „ქება-თა ქება ნიკორწმინდას“-ში დიადი ჰიმნი უძლენა ამ დიდებული ტაძრის შექმნელ მარჯვენას და დიამეტრალურად დაუპირისპირ და გამსახურდის.

ფრანგმა დიუბუა დე მონპერემ გასული სუუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში შემოიარა მთელი საქართველო, დაათვალიერა და აღწერა მრავალი ეკლესია, ციხე, კოშკი, სასახლე, საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობან; იყო ნიკორწმინდაშიც და მასზე შენიშნა გამოკვეთილი „მარჯვენაც“, მაგრამ მას არავითარი სხვა განმარტება არ მიუკია ამ სიმბოლიკისათვის, თუ არა ის, რაც მთელს განათლებულ ეკროპაში იყო მიღებული. მან დაათვალიერა და მოკლედ აღწერა ნიკორწმინდის აღმოსავლეთით ოთხი კილომეტრით მდებარე, ისტორიაში კარგად ცნობილი, ხოტევის ციხის ნანგრევები, და მის ერთს გადარჩენილ მთავარ გოდოლზე შენიშნა სიმბოლო: აღამიანის მარჯვენა ხელი. სწორედ აქ მიუთითებს, რომ ესაა სიმბოლო იმისა, თუ რა შეუძლია ააგოს აღამიანის ხელმა; თანაც დასძნეს: მრავალი ციხე-ეკლესია მინახავს საქართველოში ასეთი სიმბოლიური გამოსახულებითო.

ხოტევის ციხე აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თავის „გეოგრაფიაში“ და სხვათა შორის ამბობს, რომ ის იყო: „დიდი, დადაშენი.“ მისი აღება ადვილი არ იყო, რაც კარგად გამოსცადა იმერეთის მეფე ალექსანდრე მეოთხემ 1709 წელს.

რა გამოდის? ასეთი ფრიად მაგარი და მტკიცე ციხის აგებისას „მაღალსა გორას კლდესა ზედა“, მასში კერ დედისერთა ვაჟი დაატანეს, მერე როგორც იქნა ააგეს და ბოლოს მის ამგებს მარჯვენა ხელი მოსჭრეს? რატომ კარგი აგიგიაო და მოკრილი ხელის გამოხატულება ამოკვეთეს ციხის გოდოლზე? – შეუწყარებელი ფანტაზია!!

საქართველოს ციხე - ეკლესიები ქართველი ოსტატების მარჯვენითა ნაგები, რომელიც „დუმილით წამებენ და შმამალლად შალიგებენ“ ღვაწლთა და შრომათა მათთა“ (გიორგი მთაწმინდელი) ჰა სურა მის ციხეც მათშია შერწმული.

თელო რაჭველიშვილი
ვაშინგტონი, სექტ. 1984.

ერის წყალუხვი საუნჯე

იმედია, არავინ შემედავება ამ სათაურში, რაც მიკარნახა ბ. გიორგი პერევისელის მიერ შუშაგის მეოთხე ნომერში გამოქვეფუ- ბუმა წერილმა „წყლის“ ადგილი ქართულ მეტზელებაში“, რომ- ლის ერთი წვეთი წყლი ივანეს თუმანიანის ერთ წვეთ თაფლსაც გადასწონის თავისი სიტებოთი, რამეთუ ის იმ შოთა რუსთაველის მირონითა ცხებული, რომელსაც ამ სიტყებით უმღერის პოეტი გიორგი კაჭახიძე :

დაუნდობლად მტრებმა გდევნეს, შეგინახა ბრძოლით ხალხმა;
ბრწყნავს ვეფხისტყაოსანი ადრინდელზე მეტად ახლა !

და ეს მხოლოდ მისი გრძნეული სიტყოს წყლობით.

რახანია დაღვენილია სასმელი წყლის ქიმიური შემაღენლობა და სათანადო განსაზღვრებაც საყველთოოდ ცნობილია ფერა ჩვენგა- ნისათვის, მაგრამ თვით ლექსიკურ ერთეულთა პოლიმერაციკა ანუ მრავალმნიშვნელობა ხშირად სადაოს ხდის მათ მეცნიერულ განმა- რტებას, რის გამოც ხდება ის, რომ ყველი წვეთი თუ მარცვალი ერის წყლუხვი .საუნჯისა ხელახლა და ხელახლა მოითხოვს გაშუ- ქებას მიკროსკოპში სულ სხვადასხვა კუთხითა და განზომილებით, რათა უფრო სრულად მიუახლოვდეს ადამიანი ჭეშმარიტებას, უფრო სრულად ჩასწვდეს მის ქიმიურ შიგათავ - შედეგნილობას.

მეტისმეტად წყალუხვია შოთას საუნჯე, შიგ უხვად მიმობნეუ- ლი, ჯერ კიდევ იდუმალებით მოსილი, მარგალიტის ნიუარებით, რომელიც მომავალშიაც არაერთ თაობას აიძულებენ ჩაფინთონ ამ ზღვის ფსკერზე მათ ამოსაკრებად და გამოსაცნობად. ამიტომ არის მისასალმებელი ბ. პერევისელის წერილი წყლზე, რომელიც კვლავ ხელთამანს უგდებს საასპარეზოდ ცნობილ ენათმეცნიერებს. ამ სტრიქონების ავტორსაც ჰქონდა ბედნიერება დასწრებოდა სა-

ქართველოს მეც. აკადემიაში დიდი ზეგენიცევის ლექციების ფუნქციების ღსაც ბრწყნვალედ უტოლა ქართული ენის კორიფემ—ჟურნალის ნოლდ ჩიქობავამ იმ მხრივ, რომ, რასაც აკად. ზეგენიცევმა და მქანცველი ლექცია მოანდომა, ბატონმა არნოლდმა წამიერად მოიცავა საქმე დამში ჩევნოვის გასაგები ენით. იმ ლექციას ესწრებოდნენ საქ. ბრწყნვალე ენათმეცნიერები, რომელნიც, ჩემი აზრით, სიხარულით შეხვდებიან ამგვარ გამოწვევას, რადგან ეს ემსახურება ერის საუჯის დახვეწაა და სრულყოფის. აი, ამ მოსაზრებით ვგეძავ გამოვთქვა ჩემი მოკრძალებული აზრი წამოჭრილ საკითხებზე და, იმედია, კადნიერებაში არ ჩამომერთმევა ეს ნაბიჯი.

საერთოდ, ცნება რუსთველოლოგია თავისთავად გვეუბნება: მეცნიერების ეს დარგი იმისთვის არის მოწოდებული, რომ ეს მძლავრი წყლვარდნილი ჟაველ წამს რაღაც ახალ თავსატეხს სთავაზობს მკვლევართ, თუნდაც რეანახევარი საუკუნის მისაღმისიდან, რითაც ამ გრძელი შაირის შემქმნელი თავისი გრძნეული ნახელავითურთ კვლავ უტეხად დგას ერისა და ენის სამსახურში. ამას ჰქვია ტიტანიზმი, რასაც ამგვარ დასკვნას უკეთებს დიდი ილია :

„აი, გენიოსებმა რა იციან: ერთი უბრალო რამით უკვდავებას მოიპოვებენ ხოლმე!“ მაგრამდა, უბრალოცაა და უბრალოც!

როგორც ბ. პერევისელის წერილიდან ჩანს, დღემდე კვლავ ძნელლჩასაწვდომ ნიუარად რჩება, ერთი შეხედვით ადვილად ჩასაწვდომ-გასაგები ქართული ლექსიკური ერთეული-წყალი. ამის გამოა, რომ ქართულ განმარტებით ლექსიკონში მოცემული ერთ-ერთი განსაზღვრა ეჭვს ბადებს მასში და საპაეჭროდ გამოაქვს მას ეს საკითხი. გარევეულ წერტილში მას უკვე განაღდებული აქვს ბრწყნვალე მიღწევა, რის დასტურადაც მეც შევეცდები მოვიყანო რამდენიმე მაგალითი, და ეს აუცილებელიც არის, რამეთუ ბ. გორგი გაბედულად უკუაგდებს ერთ უკვე ჭეშმარიტებად აღიარებულ მტკიცებას. სულით და გულით ვულოცავ მას ამ გამარჯვებას და ვუსურვებ: ეს ერთი და სხვა მრავალი! ამ საკითხზე ჭვემოთ, ჯერ კი: ნაბიჯ-ნაბიჯ მივყევ წერილის ავტორის მსჯელობას აღძრულ საკითხებზე და ვნახოთ, რა არის, ჩემის აზრით, სარწმუნოდ მისაღები, და რა არის საკამათო.

ამ მიზნით ურიგო როდი იქნება, აქაც განმეორებით მოვიყანოთ საკამათო განმარტებები, რათა საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ნა-

თელი წარმოდგენა შეექმნას ჩვენს პოლემიკაზე. აი, რას წერის ულე
ამ საკითხზე ბ. პერევისელი: „...პირველ რიგში (ლექსიკონში ტერმინი
რვე ტომში) ახსნილია: „წყლი—უფერული, გამჭვირვალე სიოხე“,
რაც უდავოდ მირთებულია, მაგრამ იქვე ნათქვამია: „ძვ. ფერი,
ელვარება, მიმზიდველობა, შნო და ლაზათი.“ ამგვარი ურთიერთ-
გამომრიცხავი განმარტებებით დაეჭვებული წერილის ავტორი იქვე
დასძენს: „ე. ი. ძველ ქართულში წყლი აგრეთვე აღნიშნავდა: უფ-
რს, ელვარებას...და ამის დასტურად ლექსიკონში მოყვანილია „ვ.
ტ. „დან ლექსი: „...ნერა რასა იქს ქალიო ჩემი ლხინი და ჯავარი,
ჩემი სოფლისა წყლიო?“ აქედან გამოდის: ძველად ქართველებისთ-
ვის წყლი უფერულიც ყაფილა და ფერადიც. ასეთმა პარალექსმა
შემატიჭრიანა და გადავწყიტე საკითხის დაწვრილებით შესწავლაო.“

ჩინებულია! ამგვარი ცნობისმოყარეობისა და ინტერესის გარე-
შე ხომ ერთ წერტილზე გაიყნებოდა მეცნიერება! სასიხარულოა
ის ფაქტიც, რომ ბ. პერევისელი არ შემოიფარგლება მარტოოდენ
ქ. ვ. გ. ლექსიკონით და ამ ტერმინს მიმოიხილავს უცხოენოვან
წყაროებთან შედარებით, რაც მით უფრო სინტერესოს ხდის სა-
დაო საკითხს ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ენათა შედარე-
ბის საფუძველზე უფრო სრულყოფილად წარმოჩნდება ქართული ენის
თვითმყობადი ბუნება. აქ მე აღარ შევჩერდები წერილის ავტო-
რის განმარტებებზე და პირდაპირ დავსვამ კითხვას: რა შეიძლე-
ბა ითქვას ასეთ პარალექსზე? საკმაოდ ბევრი, ერისა და ენისათ-
ვის დიდი მარგი, და სწორედ ამად არის პარალექსმა მართლაც ვა-
რგი, რომ დასკვნა გაკეთდეს ჭეშმარიტი, ეგებ კარგი,—შოთას შა-
ირით რომ გამოვთქვა ჩემი საჭმელი. ამით არ გამოგრიცხავ პაე-
ჭრობის გაგრძელებას ქართველ მეცნიერთა მხრივაც, პირიქით, სი-
ხარულით მივესალმები, თუნდაც ჟური ამიწიონ სითამამისთვის იმ-
ის გამო, რომ ეგებ ვცდები.

ნებისმიერი ერის სულიერი განძი და საუნჯე—ენა გრიზომება
თავისი თავისთავადობის დამადასტურებელი სულით, საკუთარი ელ-
ურით. ამგვარად, განიცდის რა სხვა ენათა ცხოველმყაფე გავ-
ლენას, თვითონაც უშურველად სთავაზობს საკუთარ ლარებს. ასე
და ამნაირად კვებავენ და ასაზრდოებენ მსოფლიო ენები ერთმა-
ნეთს, მდიდრდებიან ერთიმეორის ხარჯზე და მით იძენენ მასულ-

დგმულებელ ხატოვანებასა თუ ნაირფერობას. ამით ის კურტაციული ქვა, რომ ეჭვი არ არის, ვეფხისტყოსნის ავტორი კავშირი და იმ დროის გაცრულებულ ენებს: ბერძნულს, სპარსულს, რომაულს, არაბულს, თურქულს და იგი არა მარტო დედამში კითხულობდა კაცობრიობის წიგნთა წიგნს—ბიბლიას,—არამედ თავისუფლად მეტაჟებდა კიდევაც მასზე. (ამას ნათელს მოფენს—ასე მსურს ვიწოდო— სანტა კატერინას მონასტერში დაცული, ჯერ კიდევ შეუსწავლელი პერგამენტის ფურცლები, რომელიც რამდენიმე წლის წინ იქნა აღმოჩენილი სინას მთაზე, ხუთენოვან წიგნთსაცავ-საგანძურში. ერთ-ერთია ქართულენოვანი ფოლიანტები, რომელთა შიგთავსი ჯერ კიდევ ელის თვისი გრძნეული უფლისწულის სასწაულებრივი კვერთის შეხებას.

ამ ვარაუდს გამოვთქვამ იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული ენების ქვექებმა, გარდა თალმუდის ენისა, რა თქმა უნდა საკმა ხანს იბატონეს საქართველოში და ეჭვი არ არის, თავისებური ბეჭედიც დაასვეს ქართულ ენასა და აზროვნებას. სწორედ ეს გარემოება მაბედვინებს ამგვარი აზრის გამოთქმას. გეორგიული როდია, რომ ქართულმა ენამ რომელიმე მათგანისგან ისესხა ეს მნიშვნელობა წყლისა, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ მან თვით გადაავლო თავისი წყლი უცხო ენებს, რის საფუძველზე გამოიძრწა ხატოვანი გამოთქმა: „წმინდა წყლის, რომელსაც მრავალ ენაში შეგვ ვდებით საზღვრულ ბრილიანტთან კავშირში. მოვიყვან რამდენიმე მათგანს.“

„წმინდა წყლის“— კარგი იქნებოდა, რომ ქთ. ლექსიკონის შემდგენელთ მოეცათ ამის განმარტებაც, თუნდაც იმის გამო, რომ უცხოენოვან ლექსიკონებში ამას ვკითხულობთ. მაგალითად, ვლადიმირ დალი თავის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ვგაძლიერს ამ გამოთქმის განმარტებას, რომელსაც დაბლა მოვიყვან, რომ არ გავიმეორო, და მაგალითად მოყვავს: „აღმაზ პერვო, ლუჩიშეი ვადი“—ე.ი. პირველი, საუკეთესო წყლის სამასი(ტ.1, გვ.218). ამ რუსულ გამოთქმას პირდაპირ ეხმაურება ინგლისურენოვანი *Of the first water*—პირველი წყლისა, რომლის შესახებაც კუნინის ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ : „წმინდა წყლისა, ძვირფასი ქვების შესახებ, განსაკუთრე-

ბით ბრილიანტებზე და იქვე იძლევა მაგალითს: „ბრილიანტი ჩის ტოი ვადი“. ანალოგიურ მაგალითს იძლევა დიდი ინგლისურ ლი ლექსიკონი: *Diamond of the first water* – პირველი, ე.ი. წმინდა წყლის ბრილიანტი. (მსჯელობის მოქლე გზით მოჭრის მიზნით აღარ მივმართავ ოქსფორდისა და ვებსტერის განმარტებით ლექსიკონებს)

რატომ გვჭირდება ბრილიანტზე ამდენი მსჯელობა წყალ-თან მიმართებაში, ნათელი გახდება შემდეგ და ამის გამო მივცემ თავს უფლებას ორიოდე სიტუა ვთქვა კიდევ ამ გამჭვირვალე თვალ-პატიოსანზე, რომელიც ძვირფას გამა-ქვათა მეუფედაა აღიარებული. როგორც უოლტერ შუმანის *Gemstones of the World* გვათვით-ცნობიერებს, ამ ძვირფასი გამის ბუნებაში არსებობს: უფერული, ჭითელი, ყვისფერი, ზოგჯერ მწვანე, ცის ფერი, მოწითალო, შავი ფერის ბრილიანტები. ჩვენებული ენით რომ გაგშიფროთ, არსებობს თეთრი წყლის, ქარვისფერი წყლის და ასე შემდეგ ვიშერივით შავიფერის წყლის ბრილიანტები. როგორც ამ წიგნის ავტორი გვამცნობს, სწორედ ეს სხვადასხვა ფერები აძლევენ დასაბამს ნაირფერ სახეობათა ბრილიანტებს, რომელნიც ერთმანეთისაგან „განსხვავდებიან სპექტრული აბსორბციის, ფლუორესცენციის ანუ ბრწყნავა-ნათების, ელექტრო გამტარობისა და სხვა თვისებათა მხრივ.“ (გვ. 70)

სწორედ ამ თვისებათა წყლობით, რაგინდ თეთრი იყოს ბრილიანტი, სინათლის სხივის გავლისას მის პრიზმში ცისარტფლასავით იირეკლება ნაირფერი სხივები. ასევე ასხივებს ნამდვილი, წმინდა წყლის ბრილიანტი სიბნელეშიც. სწორედ ასეთი ელვარება ახასიათებს წყლის ჭავლსაც ზღვაზე, მდინარეზე, თუ კი ის ანკარა და სპეტაკი ბრილიანტივით და მათი ნაირფერი ციმციმი იპყრობს აღამიანის ჟურალებას, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია მზეზე. ვფიქრობ, ამგვარმა დაკვირვებამ მისცა დასაბამი ვლადიმერ დალის განმარტებას წყლის თაობაზე, რაც ასე იკითხება:

„ვოდა— ვ დრაგოცენის კამნიახ, იგრა, ბლესკ, ჩისტოტა, ზნქ. ოტლივა, იგრა ცვეტოვ, ორნოსიტ. ტკანეი ი პიშეგო ტოვარა:

ალმაზ პერვი, ლუჩშეი ვოდი.“

ამის საფუძველზე წამოიშვა შემდგომ: ბრილიანტ ჩი სტოი ვოდი,

რომელმაც უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი სასაუბრო უნიტიული ამგვარად, სიტყვა წყალის ასეთი განმარტება არაორინგისტიკულს ესადაგება ძველქართულს: ფერი, ელვარება, მიზიდველობა, შნოდა ლაზათი, რაც უპირატესად ამ ტერმინის გადატანით მნიშვნელობაში ვლინდება ხატოვანად.

ზოგივე ზემოთ ქმულიდან ნათელია, რომ სიტყვათა ნაირფეროვნების დიდოსტატმა მინდიამ ზედმიშევნით იცოდა არა მარტო ქართული სიტყვერების საგანძურო, არამედ ბრწყნვალედ ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, რაც თავისთავად განაპირობებდა მათ გეთილმუფელ გავლენას სიტყაკაზმული ხელოვნების ფუტკრისებრ გამრჯელ მუშავზე (მისოვის ხომ მხოლოდ სიტყაა დიალი შენობის საშენი მასალა!).

თუ ქართულ საკამათო ობიექტს შევუდარებთ ვ. დალის მიერ მოცემულ განმარტებას, ვხედავთ, რომ რუსთაველს ბრწყნვალედ გაურტმევია თავი ამ ძნელი ამოცანისათვის, ეს კი აუცილებლად უნდა შევნიშნოთ: იმ ეპოქაში, ცხადია, ის რუსულ ენას ვერ დაესესხებოდა სიტყა წყლის ამგვარ მნიშვნელობას და მისი ძირები უნდა ვეძიოთ სხვა წყაროებში. (გამოვრიცხავ აგრეთვე ევროპულ ენებს ისტორიული ეპოქის მიზეზით და ამიტომ არ მივმართავ ინგლისურს.)

სწორედ ამის გამო, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული ძერების გამო მჭიდრო კავშირულ-თიერთობაში იმყოფებოდა ჩივ ქვეწებთან, გამორიცხული როდია, რომ თითონაც ახდენდა ამგვარ გამამდიდრებელ გავლენას სხვა

ქვეწებზე. ამ თვალთახედვით შეიძლება მიმოვიხილოთ ფრაზა:

ჩემი სოფლისა წყალი, რომელსაც, ჩემი აზრით, ბ. პერევისელი აძლევს სწორ განმარტებას, მაგრამ ვიდრე ამაზე ვიმსჯელებდე შეგიტან ერთ შესწორებას ავტორის ამ შენიშვნაში: „გამოდის, რომ რუსთაველს თინათინის სილამაზის გაღმოსაცემად ორი ერთი და იგივე მნიშვნელობის ეპითეტი უხმარია ერთსა და იმავე წინადადებაში: ჯავარი და წყალი, რაც ძნელად დასაჯერებელია! განა შესაძლებელია რუსთაველს ეთქვა: „ნეტა რასა იქმს ქალი, ჩემი ლხინი და ლაზათი, ჩემი სოფლისა ლაზათი“-ო? რა თქმა უნდა, არა! –დაასკვნის იგი.

წერილის ავტორის მიერ ასე სანთიანად მიგნებული მნიშვნელობა რომ არა სიტყვისა სოფელი, სავსებით მისაღები იქნებოდა რუსთვე



ლოლოგთა დღემდე არსებული ვერსია იმის თაობაზე, რომელ „სუსტატა“ ველს თინათინის სილამაზის გადმოსაცემად მართლაც ორი ურთის და იგივე მნიშვნელობის ეპითეტი უხმარია, ერთსა და იმავე წინადაღებაში : ჯავარი და წყალი, თუ კი „სოფელში“ ქვე- ყნას ვიგულისხმებთ. ცნობილია, რომ წყალ სინონიმთა ხმარება სიტყაკაზმულ მწერლობაში უაღრესად გავრცელებულია. ეს ხერ- ხი მიღებულია აზრის ემფაზისათვის. უცხოენოვან წყაროებს რომ არ მივმართოთ, მოვიყავანოთ ქართული მაგალითები: საღ-საღმათი, შნო და ლაზათი, კეთილი და პატიოსანი, მართლაც და კეშმარი- ტად და სხვა მრავალი. აღსანიშნავია ის, რომ ზოგჯერ საქმე გვაჩვის ტოლფას, ხოლო ზოგჯერ-არატოლფას სინონიმებთან.

ამრიგად, საბასეულ განმარტებაზე დაჭრინობით, რომ სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმისო, წერილის ავტორი მარჯვედ ხსნის ფარდას სოფელს, განმარტავს რა მას, როგორც სააქაო ცხო- ვრებას, სიცოცხლეს, რისი წყალობითაც მსაზღვრელი სოფელი თა- ვის საზღვრულ წყალიონ-ს ახლებულ გაგებას ანიჭებს და, ბ. პერე- ვისელის დასკვნა რომ მოვიშველიოთ : „ამიტომ, თუ რუსთველის ლექსში „სოფლის“ ადგილას „სიცოცხლეს“ ჩავსეამთ, აზრი არ შე- იცვლება და მიიღებს შემდეგ სახეს : ჩემი სიცოცხლის წყალიო... ე.ი. ის როსტევან მეფეს ათქმევინებს: თინათინია ჩემი სიცოცხლის წყალიო...“ (გუშაგი №4, გვ. 54). ამდენად, სავსებით სწორია წე- რილის ავტორის დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღებული მაგალითი სიტყა „წლის“ მეოთხე მნიშვნელობით უაღილოა და „ლექსიკოლო- გებმა სხვა მაგალითი უნდა მოძებნონ“ ახალი განმარტებითი ლექ- სიკონის შედეგნისას.

ბ. პერევისელის აზრის ზერელე გაზიარება რომ არ მომიხდეს, თავს ნებას მივცემ და მისი ნააზრევის დასტურად გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებასაც. როგორც საბა ვვარწმუნებს, სოფელი სხვა არაფერია, თუ არღა ხე სიცოცხლისა. თუ ეს ასეა, მაშინ არსნი სოფლისა არიან ფოთოლ-ფავილნი, დროებით გამოსხმულნი მის შტო- ებზე ანუ წლებზე, და სწორედ ისინი წარმოადგენენ ამ სიცოცხ- ლის ხის მარადიულ განახლების დაუშრებელ წყაროს. თქმა არ უნდა, როსტევან მეფემ ბრწყნვალედ უწყას, რომ ცხოვრება, წუ-



თისოფელი სიცოცხლისა და სიკვდილის გამუდმებული ცენტრის გამო ღამო ღამოდებს რუსთველი როსტევანის ბაგით ამ საბარეულო! რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭინაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა!

და ეს საბაღნაროც ხომ ამჭვერიული ანუ სააქაო ცხოვრებაა, სიცოცხლეა, ანდა რუსთაველის სოფელი. ეს მაგალითიც პირდაპირ აძლევს ხელს ბ. პერევისელის დასკვნას იმის თაობაზე, რომ „სოფლისა წყლიო“ უნდა იკითხებოდეს „სიცოცხლის წყლიო“: რაკი გაწყება სიცოცხლის ძაფი და წავა როსტევანის გამხმარი ყვავილი წუთისოფლის ქარვასლიდან, „სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, და ეს სხვა მისი საკუთარი სისხლ-ხორცი, წყლი მისი სიცოცხლისა. და აქაც ზუსტია ბ. პერევისელის დასკვნის წყრო, რომ წყალია ერთ-ერთი უპირველესთაგანი იმ უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი სამებისა, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სიცოცხლე დედამიწაზე. ეს სამებაა: ჰაერი, ურომლისოდაც შეუძლებელია სუნთქვა, ე. ი. სიცოცხლე და არსებობა; პური ჩვენი არსობისა, რაც თავისთავად ღალადებს მის დანიშნულებაზე და წყლი, ადამიანის სისაცისა და ცხოველმყაფელობის წყრო.

ამ ტერმინისადმი ასეთი მიღომაც ახლებურ შუქსა ჰფენს სადაც საკითხს, რის მიხედვითაც „სოფლისა წყლიო“ აიხსნება როგორც „სიცოცხლის წყლიო“ და ეს კი სრულიად გამორიცხავს რუსთველოლოგთა დღემდე არსებულ მტკიცებას იმის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, როგორც ბ. პერევისელი ბრძანებს: „წყლს თინათინის ფიზიკური სილამაზის აღმნიშვნელ, ე. ი. სახიერების ფუნქციას ანიჭებენ.“

გარდა ამისა, ინტერესს როდი იქნება მოკლებული, რომ ეს საკითხს სხვა განზომილებითაც მივუდგეთ, რაც უფრო მეტ ნათელს მოჰქონდება საპოლემიკო საგანს. აქ მე მხედველობაში მაქვს არა მარტო თვით პოემიდან ამოსაკრები მტკიცება, არამედ ხალხური სიბრძნის საუნჯეც, რომელიც ბიბლიურ წყაროთ სარგებლობს. ეს გახსავთ უკვდავების წყარო ანუ სიცოცხლის წყლი ბიბლიის მიხედვით „მა“ იმ ხა“ იმ“ (სიტყა-სიტყით თარგმანი: წყლი სიცოცხლისანი.) ამის ნათელსაყოფად მოვიშველიებ ქართული ხალხური თქმულება-ზღაპართა საგანძურიდან მხოლოდ თქმულებას ეთერიანზე,

რომელიც საფუძვლად დაედვა ზაქარია ფალიაშვილის განუშებულებელ თქერა—აბესალომ და ეთერის. სიჭარულის სევდით სიკვდილის პირს მისული აბესალომი, შეპტობილი გამოცოცხლების წურვილით მიმართავს ცხოვრების ეკალ—მურმანს : „უკვდავების წყაროს წყალსა მომიტანდე, შემასმევდე!“ მ. და განა უკვდავება არ არის თვით სოფელი, სიცოცხლე მარადი, რომლის ტრფიალნიც მეფისტოფელივით ჰყიდიან სულს სატანაზე? და მურმანიც ხომ ქართველი მეფისტოფელია.

ამ ელიქსირის ქართულ გამოთქმას შეესატევისება: ჩუსულად უვაია ვოდა, ინგლისურად ლაიფ უოთერ, რასაც მივყვართ ებრაულ გამოთქმამდე მა”იმ ხა”იმ და სხვა.

წყლის ასეთი მნიშვნელობაც ბ. პერევისელის წისქვილზე ასხამს წყალს, რის საფუძველზე „სოფლისა წყლიო“ უნდა იკითხებოდეს „სიცოცხლის წყლიო.“

როზა აბნერა შვილი
ბათ იამი, 18.04.1985.

„მარადი სობის კანონი“ და მ. ქავთარაძე

„ივერიის“ უკანასკნელ — 28 ნომერში გამოქვეყნდა ბ. მიხეილ ქავთარაძის გრცელი სტატია : „ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო“, რომელშიც სტატიის ავტორი დაწვრილებით არჩევს აშ განსვენებული მწერლის უკანასკნელ გაზმიანებულ რომან — მარადისაბის კანონს. ის რომ მარტო რომანის ლიტერატურული გარჩევით დაქმაყოფილებულიყო და მისთვის ჩვენი დღევანდელი ეროვნული პოლიტიკის საკითხები არ გადაება, რაც აღებულ თემას სრულებითაც არ ესაჭიროებოდა, მაშინ ეს ჩვენ თავს არ გამოგვადებინებდა. მხატვრული ნაწარმოების თვისება საერთოდ ისაა, რომ ის სხვადასხვა კრიტიკამ შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიგოს, და ხშირად — ურთიერთ საწინააღმდეგოთაც. სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის „მარადისობის კანონიც“ და ამიტომაც არის, რომ ის ერთსა და იმავე დროს მოსწონთ ბრევნევ-შევარდნაძებს აც და ქართველ მამულიშვილებსაც, მათ შორის — ჩვენს ემიგრაციასაც.

ვინცდან აღძრულ საკითხზე საკამათოთ ხელში კალტში გვთვალისწინებულ სანამ უშუალოდ სტატიის პოლიტიკურ საკითხებს შევეხებოდე, მანამ ნ. დუმბაძის რომელის ქავთარაძისეულ გარჩევასაც მინდა შევეხო გაკვრით. მ. ქავთარაძე დაწვრილებით იხილავს „მარადისმბის კანონს“ და იქიდან მოყვანილი მაგალითებით მკითხველს ნათლად უჩივენებს „თუ რამდენად არაკომუნისტურია კომუნისტი მწერლის ეს ნაწარმოები.“ მას უკვირს, რომ ავტორს ამან არ ავნო და, პირიქით, „მწერლისთვის მისაწდომ უმაღლეს მდგომარეობასაც მიიღწია.“ ამას მ. ქავთარაძე ხსნის იმით, რომ თვით რუსეთის კომუნისტური კადრი კარგად ხედავს კომუნისტური იდეოლოგიის გაკოტრებას და მისთვის მთავარი ამ „გაკოტრებული“ იდეოლოგიის დაცვა კი არ არის, „არამედ სხვა რამე.“ რა შეიძლება იყოს ეს „სხვა რამე“ თუ არა რუსეთის იმპერიისადმი, რუსების სხვა ხალხებზე ბატონობის იდეისა და საჭმისადმი ერთგულება? რომლის მთავარი მამოძრავებელი ბერკეტი ს.ს.რ.კ., ანდა, რაც ერთი და იგივეა, რუსეთის კომუნისტური პარტიაა. ეს რომ აშკარად ეთქვასტ. ავტორს, მაშინ მას ის დიდი შეცდომა აღარ მოუვიდოდა, რომელსაც უფრო ქვემოდ შევეხები.

რუსები უგუნურებად ან ბრიჭებად არ უნდა ჩავთვალოთ. ასეთები რომ იყენ, მაშინ ვერც ამ უზარმაზარ იმპერიას შექმნიდენ, რომელიც დღეს სამართლიანად შიშის ზარს სცემს თჯისუფლების მოყვარე მსოფლიოს. კრემლმა რომ ნოდარ დუმბაძე წყალობებითა და მათთვის საპატიო ორდენებით ააგსო, მარტო ამას მაინც უნდა ჩაეფიქრებია „ივერიის“ რედაქტორი და მისი პიროვნების შეფასების დროს უფრო მეტი ზომიერება უნდა გამოეჩინა, ის პატიოსანი მამულიშვილის ეტალონად არ უნდა გამოეცხადებია. ეს რომანის ავტორზე, რაც შევეხება „მარადისმბის კანონის“ გარჩევას, აქაც მე ბევრ ადგილებს განსხვავებულად ვკითხულობ, ყელას ჩამოთვლა შორს წავიდოდა, დავისახელებ მხოლოდ რამდენიმეს.

1. „მარადისმბის კანონი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, წერს სტატიის ავტორი, ... რომანის მთავარი გმირის ბიოგრაფიას უზომოდ მრავალი დამთხვევები აქვს ავტორის ბიოგრაფიასთან—იმდენად მრავალი რომ ის რაც არ ემთხვევა, უნდა ჩაითვალოს ნასე-



სხებ მასალად.“ მე კი მგონია, რომ ეს ნაწარმოები არაუზრუნველყოფილი ავტობიოგრაფიულ ხასიათისად. ბაჩანა რამიშვილში, როგორც არა რომანის მთავარ დადებით გმირში, უკევლადაა ჩაქსოვილი ავტო- რისათვის ძვირფასი იდები და ხასიათი-მისტრაფებები, მაგრამ ამიტომ იგი ავტობიოგრაფიულად ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება „ნასესხებ მასალას“, ეს სრულიად უადგილოდ უნდა ჰქონდეს ბ. მიხეილს ნახმარი. მე მგონია, რომ ამ რომანში ნასესხები არაფერია, იგი მთლიანად ნ. დუმბაძის თხზულება და ფანტაზია. ამ რომანს უთულდ აქვს მჭიდრო კავშირი საბჭოთა საქართველოს რეალურ ყაფასთან და თვით ავტორის ცხოვრებასთანაც და სწო- რედ ამიტომაც იგი სანტერესო და საჭირო წიგნია.

2. ბაჩანა რჩიშვილის კომპარტიაში მიღების სცენა. ეს ადგილი ვრცლად აქვს გადმოწერილი მ. ქავთარაძეს და იგი მართლაც მე- ტად საყურადღებოა, მაგრამ მე მას სხვაგვარად ავხსნიდი, ვინემ ეს ბ. მიხეილს აქვს ახსნილი. ჯერ ერთი, როცა ბაჩანა რამიშვი- ლი პარტიულ კომისიაზე და ბიუროს კრებაზე გამოცდას გადის, მისი პარტიაში მიღება უკვე გადაწყვეტილი იყა „მაღლა“. მაშა- სადამე, რაც არ უნდა თქვას და რა პასუხიც არ უნდა გასცეს მან დასმულ კითხვებზე ამ ფორმალური რიტუალის დროს, აღარა- ვითარი გავლენა აღარ ექნება მის პარტიაში მიღების ბეღზე. აკი რაიკომის მდივანი თავიდანვე უუბნება კრებას: „მე მგონი ბევრი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო, ჩვენ ყველანი ვიცნობთ ბაჩანა რამიშვილს, იგი დღეს ჩვენი ოჯახის შევრი უნდა გახდეს.“ რაიკომის მდივნის ასეთი სიტყვების შემდეგ აღარაფერი მნიშვნე- ლობა აღარ აქვს პარტიაში შემსვლელის პასუხებს დასმულ კითხვე- ბზე, ვინდა გაბედავს მისი პარტიაში მიღების წინააღმდეგ გამო- ვიდეს. ჩემი ვარაუდით, სწორედ ეს სურს გვითხრას ავტორმა.

მეორე, რაიკომის კრებაზე მაინც აძლევს ვიღაც ბაჩანას ბანა- ლურ კითხვას: „რატომ შემოდიხარ პარტიაშიო.“ რა თქმა უნდა, ბაჩანა რამიშვილს გაზეპირებული აქვს ამ კითხვაზე გასაცემი პასუხი, ის, რაც საერთოდ მიღებულია, მაგრამ ბაჩანას ენა არ მოუბრუნდება პირში ამ მოფიქრებული ფრაზის სათქმელად და ჟელასათვის მოულოდნელად ამბობს: „მინდა რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაშიო.“ ასეთი ერეზიული პასუხის მი-

უხედავად მისი დაუბრკოლებლად კომპარტიაში მიღების თავზეც უდევ
კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემს მიერ ზემოდ გამოთქმული მარტინის
ბაჩანა რამიშვილის პარტიაში მიღება წინასწარ გადაწყეტილია
პარტიის უმაღლეს დონეზე, რის შემდეგაც არავითარი მნიშვნელობა აღმა
აღმა აქვთ ფორმალურ მხარეებს (ძველი პარტიის წევრების
კომისია, რაიკომის საერთო კრება და სხვა). იმათი ასესტობის
დანიშნულებაა მხოლოდ, რომ შექმნას მოჩვენებითი წარმოდგენა,
თთქოს კომუნისტური პარტია დემოკრატიულ წესზე იყოს აგებული.
სინამდვილეში, როგორც სხვა კულტურული, პარტიაში მიღებაც
ექვემდებარება მკაცრ ცენტრალიზმს—ზემოდან ქვემოდ. ღებულობენ
მათ, ვინც მათთვის სასურველია, იმდენს, რამდენიც მათ სჭირდებათ
და არა იდეალისტ კომუნისტებს. აი, ეს უნდა გვაჩვენოს
„მარადისობის კანონის“ ავტორმა ბაჩანა რამიშვილის პარტიაში
მიღების სცენაში.

ბაჩანა რამიშვილის პასუხმა: „მინდა რაც შეიძლება მეტი პატი-
ოსანი იყოს პარტიაში“, როგორც ჩანს, მეტად დააბნია ბ. მიხე-
ილ ქავთახაძე და აფსურდულ დასკვნამდე მიიჭანა. ამაზე დაწვ-
რილებით ქვემოდ ვისაუბრებ. აქვე კი ვიტჯი: ჩემი გაგებით, რო-
ცა ბაჩანა რამიშვილი, კითხვაზე: რატომ შემოდიხარ პარტიაში,
პასუხობს: მინდა რაც შეიძლება მეტი პატიოსანი იყოს პარტიაში,
ამით რომანის ავტორს სურს გაგვაგებინოს, რომ: კომუნისტურ
პარტიაში ბევრი არ არიან პატიოსანი ქართველები.

პარტიაში მიღების სცენიდან ბევრი რჩე შეიძლება გავიგოთ,
როგორც მწერალ ნოდარ დუმბაძის ისე მისი რომანის გმირის—
ბაჩანა რამიშვილის შესახებ. ბ. რამიშვილის პარტიაში შესვლას
სამი ძველი ბოლშევიკი ამოწმებს, ე.ი. ისინი მისი პარტიული ნა-
თლიები არიან და ერთი მათგანი თავმომწონედ აცხადებს: „ლენი-
ნის ცნობილი წერილის: კაფკასიელ ამხანაგებს-ის ადრესატები
ჩვენ ვიყვათ“—ო. ცხადია რომ ეს ძველი ბოლშევიკი გვამები,
არამც თუ ჩვენი სამშობლოს დაჭრობაში მონაწილეობდენ, არამ-
ედ აგრეთვე მორალური პასუხისმგებლები მაინც არიან ათასობით
უდანაშაულო მსხვერპლისა, „გასაბჭოებიდან“ ომის დუჭუბამდე,
და მათ შორის თვით ბაჩანა რამიშვილის მშობლებისაც.

მიუხედავად ამისა, ნ. დუმბაძე მონური პატივისცემითა, მორი-



დება-მორჩილებითა და, შეიძლება ითქვას, პატივისცემითაზე უსაფრთხოების მიმართ. ამის ნათელსაყოფად მოვიხმოთ რომანიდან

მათი დიალოგი ბაჩანა რამიშვილთან :

„- ამხანაგო რამიშვილო, მაინტერესებს ამდენხანს რატომ არ შემოდით პარტიაში? – ადრე არ მღებულობდნენ, ბატონო. – რატომ?

– მშობლები მყავდა რეპრესირებული...

– მშობლების გამო წყვნა ხომ არ გაქვთ პარტიის მიმართ?

– მჭონდა... გამიარა ... დიდი ხნის შემდეგ ისევ გამიჩნდა... რეაბილიტაციის შემდეგ ... თურმა ტურიუბრალოდ გადავიტანეთ სიდუხ-ჭირე, დამცირება, უბედურება.

– ახლა სად არიან თქვენი მშობლები? – აღარ არიან!

– და თქვენ ახლა ასეთი გრძნობით შედიხართ პარტიაში?

– ... ადამიანები ხშირად ცდებიან ... შეცდომების გასწორება მომავალ თაობებს მოუწევთ ... ახლა მმართველობაში ჩემი თაობის ხალხი მოღის. მე ვალდებული ვარ მხარში ამოვუდგე მათ, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი შეცდომა არ გამეორდეს ...“

ამის წამკითხველს რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს ბაჩანა რა მიშვილზე? ძალიან ცუდი! მას გული კი არ აკლია, არამედ-ვაჟკაცობა... და გონიერებაც, რაღაცანაც ეშმაკების მხარეზე არ გადა-დიან მათი გაანგელოზების მიზნით. ბაჩანას აკლია ლირსებაც, რაც ასე დამახასიათებელია კომუნისტური რეჟიმის მსახურობათვის. ამათუ იმ მოსაზრებით მას გადაუწყვეტია კომპარტიაში შევიდეს და ამისათვის იგი მზადია ჭელა უნასი და ქვეწარმავალი გადაყლაპოს, საკუთარი წამებული მშობლების „ძვლებიც დატევიროს“ (ამ გამო-თქმას ესესხულობ მ. ქავთარაძისავან, მის მიერ სხვაგან სხვის მიმართ ხმარებულს, რომელიც აქ ზუსტად შეესატყისება.)

ასეთ კაცს აწე განსვენებული ვიქტორ ნოზაძე „დაკოდილს“ ეძახდა. ის, რაც ითქმის ბ. რამიშვილზე, ზედგამოჭრილია მწერალ ნოდარ დუმბაძეზეც.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ მთელ რომანში არსად არ გამოსჭვივის ავტორის ზრუვა-წუხილი დაპყრობილი სამშობლოს ბედზე. ვთქვათ, რომ აწყვაში ეს ვერ გაბედა, იმის შიშით რომ ნაწარმოებს არ გამოუცემდენ, მაგრამ ისტორიულ წარსულში ხომ მაინც

შეეძლო ექსკურსი გაეკეთებია და მით ეჩვენებია მისურულტექნიკის გმირის აჭმათი გამოწვეული გზლისტკივილი. ასეთ ჰქონლას მარტინ ბერძენიშვილის ხშირად მიმართავდენ და მიმართავენ დღესაც რეუმისისაგან აღა-გმული ჩვენი მწერლები. არაფერი ამის მსგავსი არც „მარადი-სობის კანონში“ და არც ნ. დუმბაძის სხვა ცნობილ ნაწარმოე-ბებში არ გვხვდება.

პოდა, ნ. დუმბაძე რაგინდ ნიჭიერი მწერალიც არ იყოს, მისი „მარადისობის კანონის“ ფილოსოფია იმის საბაბს არ იძლევა, რომ იგი ჩვენი საუკუნის დიდი ილიას სულიერ მემკვიდრედ გამოვაც-ხადოთ, როგორც ეს მიხეილ ქავთარაძეს მიაჩნია.

ნოდარ დუმბაძე ნიჭიერი მწერალია? დიახ, უდავოდ ნიჭიერია! მაგრამ, როცა ნიჭი კეთილობის საზეიმოდ ბოროტებისთან ბრძო-ლაში იფერფლება,—აი, მაშინ გვმართებს მის წინაშე დავემხოთ და თაყვანი ვცეთ.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

გიორგი წერეთელი

მამა გრ. ფერაძის გარდაცვალების 40 წლისთავი
(წერილი მეორე)

„გუშაგის“ წყლობით ჩვენი მიმართვა მამა გრიგოლ ფერაძის შესახებ გაგებული იქნა. მისი მიზანი იყო: 1. პატივი და მაღლი-ერება მიგევეო მამა ფერაძისადმი, რომელიც იყო პირველი სასულ. მწყმესი ჩვენი პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის, ამ ერთადერთი ქართული საეკლესიო დაწესებულებისა ჩვენი ქვექის საზორებს გარედ. 2. გამორკვევა და დადგენა იმ გარემოებათა, რომელშიც მოხდა მისი დაპატიმრება პოლონეთში დამპტობელი გერმანელები-საგან და მისი ტრაგიკული აღსასრული გერმანიის საკონცეტრაციო ბანაკში.

დიდი მაღლობა ბ. გიორგი ნაკაშიძეს, რომელმაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა და წერის სიძნელეებისა, შეადგინა მისი მოგო-ნებები იმ დროინდელ პოლონეთზე და ჩვენ გაღმოგვიგზავნა, თუ-მცა იგი სრული და უცილო არ არის მამა ფერაძის ტრაგედიის ზუსტად აღწერისათვის.

პირველ წერილში ჩვენ მოყლედ აღვწერეთ მამა ფერაძის ბიო-გრაფია და ბიბლიოგრაფია 1932 წლამდე, უურნალ „ჯვარი ვაზი-სას“ მიხედვით, რომლის მთავარ რედაქტორი თვით მ. ფერაძე



იყო და აქტიური თანამშრომელი – ილემაზ დაღეშეკელიანი. ეს როცხული ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს აგრეთვე აღნუსხვა მარტინის ფერაძის მწერესური მოღვაწეობისა ჩვენს სამრევლოში ისე, როგორც ის შემონახულა სამრევლოს არქივში: ნათლობების, ქორწინებების და დაკრძალვების ოფიციალური აქტები. იქიდან ვტყობილობთ, რომ მღვდლად კურთხევიდან (1931 წ. 24 მაისი) მოყოლებული ხანგამოშვებით გრძელდებოდა მისი მღვდლმსახურება 1939 წლის პირველ იანვრამდე. ამ თარიღითაა გატარებული მის მიერ შესრულებული ერთი ნათლობა. 1934 წლიდან მოყოლებული მის მიერ ხელმოწერილი აქტები შესრულებულია შობისა და აღდგომის პერიოდებში. წლის დანარჩენ დროს ის ვარშავაში ცხოვრიბდა, ანდა სამეცნიერო მოგზაურობებში იყო. 1934 წ. 16 აპრილს ხელმოწერილ ნათლობის აქტში პირველად გვხვდება მისი არქიმანდრიტის ტიტული. როგორც აღვნიშნეთ „ჯგარი ვაზისას“ გამოცემა შეწყდა 1934 წლში. ჩვენ ვიცით, რომ ის ამზადებდა შემდეგ ნომერს და, რომ ის უკანასკნელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ომის დაწყბებამ ამის ნება აღ არ მისცა.

განუწყეტელი მოგზაურობა პარიზსა და ვარშავის შორის, რასაც ემატებოდა ხშირი სამეცნიერო მიმოსვლა გერმანია-ინგლისი- მთა ათონი ართულებდა მამა ფერაძის ღვდელმსახურებას. ოთხ გვერდიან სამრევლოს ფურცელზე მას განმარტებული აქვს მისი ორმაგი მისია: რელიგიურ-მწერესური და სამეცნიერო. ის აღიარებს, რომ სამეცნიეროს ის ანიჭებდა უპირატესობას. მას ამით აღბათ უნიონი და გაემართლებია მისი სამრევლოს ხშირი და ხანგრძლივი დატოვება მისგან. უნივერსიტეტში სწავლება, წიგნების ბეჭდვა, სამეცნიერო მოგზაურობანი მას თავისუფალ დროს აღარ უტოვებდნენ, მაგრამ ფელაფერი ეს იყო ღმერთის, ეკლესიის და ჩვენი სკოლის სამსახურში.

მამა გრიგოლის ტრაგიკული ბოლოს შესახებ პროფესორი გ. ნაკაშიძე შემდეგ ცნობებს გვაწვდის:

მამა გრიგოლი თავისუფლებით სარგებლობდა 1942 წლამდე, თუმცა 1940 წლის დეკემბერში ბ. გ. ნაკაშიძესთან კერძო საუბარში ის უკვე ძლიერ შეშფოთებას ამჟღავნებდა მისი ბედის შესახებ. გესტაპომ ის დაპატიმრა 1942 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დღიდებს. გ. ნაკაშიძემ დაუყვანებლივ აცნობა კავკასიის კომიტეტს, რომელიც დაარსებული იყო გერმანიის საკუპაციო ხელისუფლების მიერ. მეორე დღესვე გ. ნაკაშიძეს აცნობეს, რომ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე იყო გესტაპოში, სადაც მას გარ-

კვევით ურჩიეს, რომ ამ საქმეზე არ ეზრუნა და თანაცლება უარის მაღალი ხარისხის გამოყენება ბერლინიდან უსაფრთხოდ ხდება. 1943 წლის ივნისში მიტროპოლიტ დიონისის ოფიციალურად აცნობეს მამა გრ. ფერაძის გარდაცვალება. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ პირადად აცნობა კავკასიის კომიტეტს და თანაც მიუთითა, რომ მ. ფერაძის ბიბლიოთეკა (ძვირფასი) გადატანილი იქნა ჭ. პრაგაში, ჰაიდრინის ბიბლიოთეკაში. (შეიძლება პრაგის უნივერსიტეტის ცენტ. ბიბლიოტეკაში?) კავკასიის კომიტეტის ახალი თავმჯდომარე (რომელიც დაინიშნა 1943 წ. ივნისში) გაემგზავრა ბერლინში და იქ მჭიდრა ქართულ სათვისტო-მოს შეატყობინა ეს სამწუხაორ ამბავი. მან აგრეთვე დამატებითი ცნობების გასაგებად მიაკითხა „ფერმინდუგშტაბს“ (საკონცენტრაციო ბანაკების ცენტ. სამართველო). ბერლინიდან ერთმა ქართველმა სპეციალურად იმოგზაურა პრაგაში აღნიშნული წიგნების ბეჭის გამოსარკვევად, მაგრამ მან იქ ვერსად მათი კვალი ვერ აღმოაჩინა.

მამა ფერაძის შესახებ ცნობები მომაწოდა აგრეთვე ერთმა პოლონელმა მღვდელელმა, მამა ფერაძის ყოფილმა მოწაფემ, რომლის მიხედვით : მამა ფერაძე პატრილოგიის მასწავლებლობა დაიწყო ვარშავის უნივერსიტეტში 1933 წელს; დაპატიმრების თარიღი მისთვის უცნობია; იცის, რომ თავიდან ის პატიმრობაში იყო პოლონერთში პავიაკის ციხეში, შემდეგ გადაიჭანეს *Mauthausen*-ში და ოფიციალურად ის გარდაიცვალა 1942 წლის 6 დეკემბერს 16 ს. და 45 წუთზე აუშვიცის საქ. ბანაკში.

დაგუმატებ ჩემი მხრით, რომ 1950-ან წლებში არაფორმალური გამოკითხვის დროს ვანო ბაქრაძემ, რომელიც ერთ-ერთი ქართ. ოფიცერი იყო პოლონერთის არმიის, გადმომცა, რომ მას მ. გრ. ფერაძის საქმის გამოძიების დროს დაავალეს საქმეში არსებული ქართული ლოკუმენტების თარგმანა. გერმანელებს ხელთ პქნდათ მ. ფერაძის დღიურების წიგნაკი, სადაც აღმოაჩინეს მისი საწინააღმდეგო ბრალდებები. მან არ ინდომა აეხსნა უფრო დაწვრილებით, შესაძლოა იმიტომ, რომ მას ფიცი დაადგინეს. მაგრამ, რა არ შეიძლებოდა გესტაკოსათვის საბრალდებულო ყოფილიყა? მისთვის მაგალითად საკმარისი იყო იმის გავება, რომ მ. ფერაძე სუფსილიებს ღებულობდა ინგლისის წრეებიდან 1930-იან წლებში, ჩვენი ეკლესიის მღვდლობისა და ბრიტიშ - მუზეუმის თანამშრომლობის გასამრჯველოდ; ანდა მისი მიმოწერა საქ. პატრიარქთან: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის საქ. საკათალიკოს საბ-



ჭობი გამოაგზავნა ევროპაში უმაღლესი ცოდნის მისაღებად და ჭობი საძლებელია, რომ მას მიწერ-მოწერით ურთიერთობა ჰქონდებოდეს სამშობლოს ეკლესიის მეთაურობან. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ზემოდნახსენებ სამრევლოს ფურცელზე, ზოგიერთ სამრევლოს წევრს, რომლებიც, როგორც ჩანს, მისი მღვდლობის ფუნქციებში იქრებოდნენ, ის ემუქრება, რომ მათ უჩივლებს კათალიკოსის ტახტის წინაშე.

მამა გრიგოლ ფერაძის მემორიალი


პირველ წერილში გამოცხადებულ მოწოდებაზე უკვე გვაქვს გამოხმაურება, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისად. ალბათ ეს იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ საცმაოდ ფართოდ არაა ცნობილი. ვიმეორებ: ჩვენი განზრახვაა ერთ-ერთ ჩვენს მხატვარს დავახატვიოთ წმინდა გრიგოლის ხატი და ის მამა გრ. ფერაძის სახსოვრად მოვათავსოთ ჩვენს წმინდა ნინოს საყდარში.

იმდენ მაქვს, რომ შემოწირულებების მოსვლა გაგრძელდება. მე მირჩევნია, შემომწირულები მრავალრიცხვანი იყნენ და მცირე ოდენობის. ყველ შემთხვევაში ჩვენი პატარა ეკლესიის სამრევლოს საბჭო გააკეთებს ასც საჭიროა, მაგრამ კარგი იქნება, რომ მამა ფერაძის ხსოვნისადმი პატივისცემა ფერი უკლებლივ გამოვამჟღავნოთ, ფერი მივიღოთ მონაწილეობა ამ უბრალო მაგრამ უაღრესად სიმბოლურ ძეგლ-მემორიალში.

დეკანოზი ილია მელია

ლევილის ქართული ბიბლიოთეკა

ამ ზეფხულის მიწურულში ადგილი ჰქონდა მეტად საჭირო თაოსნობას, სოფელ ლევილში, ქართულ მამულში ქართული ბიბლიოთეკის დაარსებისას. ამ მიზნით, სინციარივო ჯგუფმა, რომელ საც პროფ. გიორგი შარაშიძე თავმჯდომარეობს, აღნიშნულ მამულის სალონში მოიწვია კრება ბიბლიოთეკის საზოგადოების დამაფუძნებელი. კრებამ მოიწონა საინციარივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო იდეა, განიხილა და დაამტკიცა წესდების პროექტი და „ლევილის ქართ. ბიბლიოთეკის საზოგადოების“ გამგეობაში უცვლელად დამტკიცა საინციარივო ჯგუფი, შემადგენლობით: პროფ. გიორგი შარაშიძე, თავმჯდომარე; წევრები: ქართაშონი ლომინიკ ელიგულაშვილი, ბბ. თამაზ ნასყადაშვილი და კარლ ინასარიძე. ვუსურვოთ წარმატება.



ჩ ვ ე ნ ი გ რ ი შ ა წ ე რ ე თ ე ლ ი

ამოცალე ჩვენი გრიშას (გრიგოლი)
მისამართი ჩემი კარგი მეცნიერებ-
ის სიიდან. უნდო სიკვდილმა გაგ-
ვყრა ერთმანეთს.

მე მას საქართველოში არ ვიც-
ნობდი, აյ გავიცანი საფრანგეთში,
მაგრამ გაგონილით ვიცოდი, რომ
ჭიათურაში ის ეკუთვნოდა ახალგა-
ზრდა მარქსისტთა მოწინავე წრეს,
აქტიურად მოღვაწეობდა ჩვენი რა-
იონის დამოუკიდებლობის კომიტეტ-
ში, სადაც ის დიდი ნდობით სარ-
გებლობდა და ასრულებდა საპასუხ-
ისმგებლო დავალებებს. გრიშა მეტი-

სმეტად თავდაბალი იყო და არ უყარდა თავის თავზე ლაპარაკი.

გ. წერეთელი დაიბადა 1902 წელს სოფ. პერევისაში. გრიშას
მამა იოსები ადრე გარდაიცვალა და ობლების აღზრდა მარტი და-
აწევა ახალგაზრდა, ცხოვრებაში გამოუცდელ ქვრივს. სამ შვილში
გრიშა იყ ჟელაზე უფროსი. ობლობამ, სიღარიბემ, პასუხისმგებ-
ლობამ აღრე ჩააფიქრა ახალგაზრდა და დაღი დაასვა მის პირო-
ვნებას. ეცოდებოდა ჟელა გაჭირვებული, ბეღისაგან დაჩაგრული
და ფიქრობდა, თუ როგორ შეიძლებოდა მათი სიღუხვირის შემსუ-
ბუქება. მე მგონია რომ ამანაც მოახდინა გავლენა მისი პოლიტი-
კური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ ემიგრაციაში ჭიათურიდან
მოხვდა 13 შესანიშნავი ახალგაზრდა, ჟელა გიორგი ანთელიძის
და პეპელა წერეთლის საყარელი მოწაფეები. ორივე დიდი დამსა-
ხურებული პედაგოგი იყო. ამასთან —იშვიათი ეროვნული მოღვაწე-
ებიც, რის გამოც ისინი მკაცრად იდეგნებოდნენ კომუნისტური ხე-
ლისუფლებისაგან. ხშირ დაქრევებს რომ გაქცეოდა, ვ. ანთელიძე
გადასახლდა თბილისში და დაიწყო სამსახური კარუტოს დაწესე-
ბულებაში. იქაც დაპატიმრეს და აგვისტოს გამოსვლებმა ციხე-
ში მოუსწრეს. ის მზად პეტვით დასახვრეტად, მაგრამ დამკომ-
ის მიმართვამ გადააჩინა.

13 ჭიათურელი ახალგაზრდიდან, რომელთაც წილად ხვდათ ემ-



იგრანტობა, 7 სოციალ-დემოკრატი იყო. ამ 7-დან სამი შემთხვევა
ლაბაძე, სვიმონ ბლიაძე და გრიშა წერეთელი ისე იყვნენ შეკა-
ვშირებული ნდობითა და ხასიათით, რომ თითქოს შეფიცულები-
აო. სამივე მუყითად შრომობდა ქარხანაში და, ამავე დროს,
წუთს არ კარგავდნენ, რომ ფრანგული ენა, ისტორია, ლიტერა-
ტურა და საერთოდ ფრანგული კულტურა ღრმად და საფუძვლი-
ანად შეესწავლათ. სამივე დაქორწილდა და შექმნეს სამაგალი-
თო ოჯახები. ვასო ლაბაძე ტრალიკულად დაიღუპა 1977 წელს.

სიმონ ბლიაძესა და გრიშას შორის უბრობა ჩამოვარდა, სამწუ-
ხაროდ, ასეთ ჭაბუქობიდან განუშორებელ მეგობრებში.

გრიშა მარტო საკუთარი ოჯახის მოვლა-პატრონობით არ კმაყუ-
ფილდებოდა, ის ჩვენი საზოგადოების აქტიური მოღვაწეები იყო;
მას ხშირად ირჩევდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის კომიტე-
ტში; იყო ამ კომიტეტის მდივანი; იყო არჩეული სათვისტომოს
გამგეობის წევრად; წერდა ხშირად ჩვენი პარტიის პრესაში, ხო-
ლო უკანასკნელ წლებში ის თითქმის რეგულიარულად თანამშრო-
მლობდა „თავისუფლების ტრიბუნაში“ და ხანგამოშვებით – „ჩვენი
დროშა“ -ში. სამოცდაათიანი წლის დასაწყისში მან ორი წიგნიც
გამოსცა : „ქართული ემიგრაცია და ადამიანები“ და „მცირე რამ
შოთა რუსთაველზე.“ გრიშას კალამი ხელიდან არ გაუგდია, სან-
ამ ავადმყოფობამ მარჯვენა ხელი მთლად არ გაუჩერა.

გრიშა და მისი მეუღლე ანა არივე დიდი გამრჯვე და ოჯახის
დიდი მოამაგე იყვენ; მათი ორი შვილისთვის : როსტომისა და ელ-
ენესათვის არაფერი დაუკლიათ, კარგად გამოზარდეს, დააოჯახეს
და ბენდიერები იყვნენ შვილიშვილებში, მაგრამ მუდმივი ბენდიე-
რება ვის ლირსებია: ჯერ ანამ იავადმყოფა ხანგრძლივად და მი-
იცვალა. გრიშაც მალე ჩავარდა ლოგინად მძიმე ავადმყოფი, შვი-
ლებს მოვლა არ დაუკლიათ, მაგრამ სიკვდილის წინააღმდეგ რას
გააწყობდნენ! ეს არის ნორმალური: მშობლები უნდა დახხოცნონ,
შვილებმა უნდა იცოცხლონ და განავრძნონ მშობლების დაუმთავ-
რებელი საქმე. ეს იქნება ჩემი სურვილიც, რომ როსტომისა და
ელიკოს გაეგრძელებიოთ მათი მშობლების შეწყვეტილი ბრძოლა,

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ჩემს უმცროს ამხანაგ გრიშას კი ღმერთმა სასუფეველი დაუმ-

კვიდროს და საუკუნო იყოს მისი ამქვეწიური ხსენება.


გიორგი დადიანის გამოსათხოვანი
საქართველოს პიროვნეული
სისამართლისა

შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩენიდან წასვლით თავაღი გიორგი დადიანი მწუხარებას აყნებს ვინმეს, იმდენად შეეძლო მას ყოფილიყო ჭელა ჩენთაგანის მეგობარი. ამ ზაფხულის ბოლოს მე ვინახულე გიორგი დადიანი საავადმყოფოში მაშინ, როცა ის მძიმე ავადმყაფი იყო. ის დამხვდა მის დასთან ერთად ლოგინზე მჯდომი და შემდეგი სიტყვებით შემეგრება: ჩემი ძვირფასო პრეზიდენტო, შენ ჩემი გმართებს ერთი ბოთლი შამპანიური... რადგან მე ჯერ კიდევ არ ჩავძალებულვარ და ამით მე შენ გაშორებ ჩემი დასაფლავების კლასიკურ სიტყვას, რომელშიც აღბათ იტყოდი რაღაც ამის მსგავსს: „გიორგი დადიანი, შვილი საქართველოს სახელმწიფო გვარისა და ა. შ....“ მაშინ მე მას სიცილით შევთავაზე, რომ თვით შეედგინა თავისი ნეკროლოგი და პირობას ვაძლევდი, რომ მე მას უცდლელად წავიკითხავდი, თუნდაც ერთი მძიმის შეუცვლელად. არავითარ შემთხვევაში! მიპასუხა მან, შენ თვითონ ძალიან კარგად გააკეთებ, შენი იუმორის ნიჭი ჩემსას სჯობიაო. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი იუმორი ამჟამად პანშია, იმისი იმარჯვებს და ვგრძნობ, როგორ ეღიმება მას თავისებურად, როცა მისმენს თუ როგორ ვიბლანდები ჩემს წინადაღებებში.

დიდი ვაჟკაცობა უნდა საკუთარ სიკულის რომ დასცინ! ეს ერთგარი თავდაცვის საშუალებაა, მაგრამ იგი მოიხსეს დიდი მანძილით უკან დახვას, დიდ სულიერ სიმშვიდეს და არაჩვეულაბრივ სიმწიფეს გონიერისას. გიორგი დადიანი მართლაც არ იყო ჩვეულებრივი, და აქ იძულებული ვარ ის გავაცინ... რადგან როგორ მოვახერხო არ ვთქვა, რომ ის იყო იშვიათი ოჯახიდან. დადიანის გვარი ერთი დიდი სახელგანთქმული გვარია საქართველოში, ქართველებისთვის და განსაკუთრებით მეგრელებისთვის მას ეროვნული მნიშვნელობა აქვს და იგი განუშორებელია ჩენი ქვეწის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისაგან.

და ეს დიდებული გვარი გიორგი დადიანმა ღირსეულად და კეთილშობილურად ატარა თვით ემიგრანტობის უაღრესად ძნელ პირო-





ბებში. ატავიზმი? დია! ამბობენ: სისხლი არ სტუისო! უშაგიანესი ფერებისას. გიორგის გააჩნდა მას პირადი ლირსტები: შესახედამა გამორჩეული, ლეგანტობა და, განსაკუთრებით, სითბო გადამდები, რომელიც იწვევდა დიდ მე- გობრობას. ის ყელას ხიბლავდა მისი არაჩვეულებრივი კეთილი ღიმილით, გულლია და ეროვნული შეხედით, რომლის მიღმაც უკუ- ველად შეამჩნევდით დიდ გონებრივ სიფხიზეს და სიყრჩაღეს. გიორგის მომხიბლველი ღიმილი მომთაფლველი კი არ იყო, ანდა ანგარიშიანი, არამედ ის იყო სიკეთით საგვე ვაჟკაცური და ის უფარდათ, ყელას უჟარდა, რადგანაც თვითონაც მას ყელა უჯ ვარდა.

აი კაცი გამორჩეული, რომელსაც ახლა ვაცილებთ საქარის კარ- თან მისიანების მახლობლად. აი დიდი ქართველი პატრიოტი, რო- მელსაც ვაბარებთ საფრანგეთის მიწას, რომელიც მას ასე უჟარ- და. მის მეუღლეს, მის დებს, მის ოჯახს, მის ახლობლებს აქ, ამერიკაში, საქართველოში ჩვენს მწუხარებასთან ერთად გვსურს გამოვუცხადოთ ჩვენი უანგარო მეგობრობა.

ხოლო გიორგიმ განისვენოს ტკბილად, ლევილის მიწა მისთვის იყოს თბილი და მსუბუქი და, მარადი იყოს მისი ხსოვნა.

თ ა მ ა ზ ნ ა ს ყ ი დ ა შ ვ ი ლ ი
(სიტყვა წარმოთქმული დაკრძალვისას)

ლ უ ბ ა ა ბ დ უ შ ე ლ თ ა ნ გ ა მ თ ხ ო ვ ე ბ ა

ჩვენ ისე ვართ ქართულ ემიგრაციაში, რომ ყაველვის, როდესაც ერთ-ერთ ჩვენ- თაგანს ვაბარებთ მიწას, ეს არის თითო- ეული ჩვენთაგანის პირადი გლოვა; ღლეს კი ეს კიდევ უფრო მეტია: ლუბა აბდუ- შელიშვილის დაკარგვით ჩვენ ყელა თავს ვგრძნობთ დაობლებულად.

დღეიდან ვეღარ ვიხილავთ მის დიდებ- ულ სილუეტს, ბეჭვის წამოსასხამით შხრე- ბზე, მუდამ კოხტად თავდახურულს, შემო- მავალს ჩვენს შეკრებულობებზე თუ ექვე- სიაში, ყელას თვალებით რომ ესალმებო-



და მუდამ ჯდებოდა დარბაზის სიღრმეში, თითქოსდა კუნძულები
ვყალღილ ფერანი თვალში.

შეიძლება ითქვას, რომ ლუბა იყო ავტორიტარული; საერთოდ,
მან იცოდა რაც მას უნდოდა და საქმე მიჰყვდა მუდამ ენერგი-
ულად, აზრიანად, მტკიცედ და გაბედულად; თვით მისი სიცო-
ცხლის უკანასკნელი მომენტი, შეიძლება ითქვას, მან თავის
უტეს ნებისყფას დაუმორჩილა: ჯერ იმოგზაურა სამშობლოში,
რათა უკანასკნელად ენახა და გმომშვიდობებოდა იქ ყელა მათ,
ვინც მას განსაკუთრებით უჭარდა, პირველ რიგში კი მშობლიურ
მთაველებს, შემდეგ, უკან დაბრუნებულმა მიღება გაუმართა ნათე-
სავებსა და ახლო მეგობრებს და მხოლოდ შემდეგ დაწვა საავად-
მყოფოში... რა ნებისყფა !

მე ვიმეორებ, რომ ის ავტორიტეტულობდა, მაგრამ ამას ყელა
სიამოვნებით იღებდა, რადგანაც ყელამ იცოდა, რომ იგი დანერ-
გილი იყო სიკეთეზე, სიყარულზე და გულმოწყვლეობაზე. მას სჩევ-
ოდა დატუქსვა, მაგრამ მან იცოდა აგრეთვე მოფერება, მოალერ-
სება, ხელგაშლილი მასანძლობა, და მე შემიძლია ამის მოწმობა :
ბავშვა, როგორც მე მაშინ ვიყვა, მეტად მტკიცნეული წუთები
გავიარე მისი კბილის სამკურნალო კაბინეტში, მაგრამ საბოლო-
ოდ ტკივილი კი არა, ის გემრიელი ნამცხვარი დამანახსოვრდა,
რომლითაც ის გამიმასპინძლდა.

მისი ცხოვრება იყო მუდმივი, დაუცხრომელი შრომა და გარჯა
ოჯახის, ნათესავების, მეგობრების, თანამემამულეების... და აგრე-
თვე სენ-კლუს თანამოქალაქეთა სამსახურში. ქალბატონი ლუბა იყ
ერთ-ერთი იმ ქართველ მანდილოსანთაგანი, რომლებმაც უხმაუროდ,
მაგრამ მტკიცედ მოახდინეს გავლენა, რომ ქართველებს ემიგრაცი-
აში ღირსეულად სჭერდათ თავი.

დღეს სამარეში ვაცილებთ ამ ჩევნ დიდ ქალბატონს, მისი ძვი-
რფასი მეუღლის გვერდით, რომელიც გახლდათ დიდი პატრიოტი
და, რომლის ბრძოლასაც ლუბა ინაწილებდა.

მის შვილებს, შვილიშვილებს და შვილიშვილიშვილებს, ყელა მა-
ხლობელთ აქ და საქართველოში ვუცხადებთ ჩევნს თანაგრძნობას
და უანგარო მეგობრობას. თქვენ კი, ძვირფასო ლუბა, განისვენ-
ეთ მშვიდად შალვას მახლობლად და თქვენი ხსოვნა იყს სამა-
რადისო.

თამაზ ნასყდაშვილი

(სიტყვა წარმოთქმული დაკრძალვისას. სენ - კლუ, 25.10.1985.)



მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ ს ა ზ - ბ ა ს:

ამი წლის აგვისტოს პირველ ნახევარში საფრანგეთში 73 წლის ასაკში გარდაიცვალა ერმალოზ ჭვილი. დაიკრძალა ლევილში.

ა. წ. 7 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 83 წლის ასაკში, საფრანგეთში გარდაიცვალა გრიგოლ (გრიშა) ჭერეთელი. დაიკრძალა სოფ. ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ა. წ. 8-9 სექტემბრის ღამით, იტალიაში, ქ. ფლორენციის მახლობლად, ვიღაც გარეშეარმა სიცოცხლე მოუსპო 25 წლის ჭავალიშვან-მიშელ კრავეიშვილს, მცხოვრებს საფრანგეთის ქ. ოდენკურში (დუბის დეპარტამენტი)

ა. წ. 10 სექტემბერს პარიზში გარდაიცვალა ქალბატონი მინადორა ხოშტარია-ბაგრატიონისა. დაიკრძალა მონპარნასის სასაფლაოზე.

ა. წ. 15 ოქტომბერს, 73 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა თავადი გოორგი დადიანი. დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

ა. წ. 23 ოქტომბერს პარიზში გარდაიცვალა ქალბატონი ლუბა აბ-დუშელი და დროებით დაიკრძალა ქ. სენ-კლუს სასაფლაოზე.

წელს ოქტომბრის ოცს ქ. სტოკჰოლმში გარდაიცვალა ქალბატონი აღათი გორდელაძის ასული.

ა. წ. 25 ოქტომბერს გარდაიცვალა მონაკოს სამთავროში მცხოვრები ხანდაზმული თავადი დიმიტრი ჯორჯაძე.

31 ოქტომბერს პარიზში უეპრად გარდაიცვალა სერგო (სერჟ) დონდუა. დაიკრძალება სოფ. ლევილის სასაფლაოზე.

და მათ კირისუფალთ ვუცხადებთ ღრმა მწუხარების სამიმარს.

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი თ :

1. მერაბ კოსტავას ბეღი. საქართველოდან მიღებული სარწმუნო ცნობით, საკონცენტრაციო ბანაკის აღმინისტრაციამ „წესრიგის

დარღვევის „ბრალდებით კიდევ ორი წლით გაუგრძელოს მათთვის ბის ვადა მერაბ კოსტავას. უკველია, რომ „წესრიგის ტარღვების ში“ ნაცულისხმევი იყო მ. კოსტავას მიერ ამდენჯერმე გამოცხადებული შიმშილის გაფიცვა. მერაბ კოსტავა ისე იყო დასუსტებული, რომ ხელით შემოიყანეს „სასამართლოზე.“

2. სიკვდილმისჯილთა ბედი. სექტემბრის პირველ რიცხვებში ამნესტი ინტერნაციონალი იტყობინება, რომ არათფიციალური სარწმუნო ცნობის მიხედვით, თვითმფრინავის გატაცების ცდისთვის სიკვდილ-მსჯილთ: გერმანე კობახიძეს, პაატა ივერიელს, კახა ივერიელს და თეიმურაზ ჩიხლაძეს სასჯელი შეეცვალათ 15 - 15 წლით მე-აცრ ბანაკში პატიმრობით. ოფიციალურად კი მათ შესახებ ჯერ-აც არაფერი გამოუცხადებიათ.

3. გოორგიევსკის ტრაქტატის მსხვერპლი ახალგაზრდობის ბედი. ჩეენმა მკითხველებმა იციან, რომ 1983 წლის გაზაფხულ-ზაფხულ-ზე დააპატიმრეს რიგი ახალგაზრდებისა, გოორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის ზეიმის საჭინააღმდეგო ფურულების დარიგების თუ ქუჩებში საპროტესტო მანიფესტაციების გამო. მათ ოთხიდან სამ წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს და სასჯელს საქართველოში იხდილნენ. უკანასკნელი ცნობებით უმრავლესობა განთავისუფლებულია და მათ შორის არიან: თამარ ჩხეიძე, ზურაბ ცინცაძე, მარინა ბალდავაძე და ნანა კაჯაბაძე. ზურაბ ცინცაძეს ჯანმრთელობა ძლიერ შერყული ჰქონებია იმ წამების გამო, რომელიც მისთვის მიუქნებიათ გამოძიების დროს.

გ უ შ ა გ ი

ა ხ ა ლ წ ი გ ნ ე ბ ზ ე გ ა მ თ ძ ა ხ ი ლ ი

გენერალ გ. ი. კვინიტაძე: „მოი ვოსპომინანიია ვ გოლი ნეზავისიმოსტი გრუზიი- 1917 – 1921“

წელს პარიზში „იმკა-პრეს“-ის გამოცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა გენ. გოორგი კვინიტაძის მოგონებები, რომლებიც, როგორც სათაურშივეა მითითებული, 1917 - 21 წლებს მოიცავენ. ეს წლებია ჩვენი სამშობლოს აღდგომისა და დაცემის წლები, რომლის დროსაც აწ განსვენებული გენერალი გ. კვინიტაძე ერთ-ერთი მთავარი სამხედრო პირი იყო იქ, თუ გავიხსენებთ, რომ ის ოთხ დიდ

ლაშქრობას მთავარსარდლობდა, რაც იმ დროის საქართველოს მოუნდა და მათ შორის უკანასკნელსაც საბჭოთა რუსეთთან, რომელთვის ლიც სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა. ამის გარდა, გენერალი გ. კვინიტაძე იყო დამარცხებელი და უფროსი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთადერთი ქართული სამხედრო სკოლის. ამიტომ გასაგებია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოწმობას, მისი მოგონებების ღლის სინათლეზე გამოსვლას, არა იმდენად ჩვენი ემიგრაციისათვის, არამედ უმთავრესად ჩვენი სამშობლოს მომავალი პირუთვნელი ისტორიისათვის. რა თქმა უნდა, აჯანმდებრდა რომ ეს წიგნი უფრო ადრე გამოქვეყნებულიყო, სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები იყენ ჩვენი მთავრობის წევრები თუ სხვა დამოუკიდებელი საქართველოს პასუხისმგებელი პოლიტიკური და სამხედრო პირები, რომ მათ შეძლებოდათ ამ მეტად მნიშვნელოვან წიგნზე გამოხმაურება, რითაც ჭეშმარიტება ბევრს მოიგებდა; მაგრამ სწორედ ამ შემთხვევისთვისაა ნათქვამი: სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

როგორც ჩვენ ვიცით, ამ წიგნის გამოცემას უნდა ვუმაღლოდეთ აწ განსვენებული გენერლის ქალიშვილებს. ეს ქალბატონები მაღლებრივი იმსახურებენ იმითაც, რომ მათი სახელმისამართი მამის ხელნაწერი ხელში არ ჩაუგდეს საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს და მით უზრუნველყეს მისი ოთარტიურობა.

ვინც ნაწილობრივად მაინც იცნობს ჩვენი დამოუკიდებლობისა და ემიგრაციის ისტორიას, მან იცის, რომ გენ. კვინიტაძეს სერიოზული უთანხმოება ჰქონდა დამოუკიდებელ საქ. მთავრობასთან, და საერთოდ მმართველ სოც. დემოკრატიულ პარტიის ლიდერებთან. ამიტომ ჩვენთვის გასაკვირი არ არის, რომ მისი მოგონებები პოლემიკური ხასიათისაა სწორედ მათ მიმართ. ამიტომ მკითხველი, და განსაკუთრებით ისტორიის სპეციალისტი ვალდებული არ არის გენერლის ფელა დასკვნა ურეზერვოდ გაიზიაროს, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფელა ვალდებული ვართ, მის მიერ მოყანილ ფაქტებსა და მოსაზრებებს დიდი ანგარიში გავუწიოთ და ისინი სხვების, ხშირად მოწინააღმდეგების, ფაქტებსა და მოსაზრებებს დაგვირვებით შევუდაროთ და შევუფარდოთ.

დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო და სამხედრო პოლიტიკა-სა და მდგომარეობაზე ავტორიტეტული მოგონებები ბევრი არ გავაჩინია, ხოლო მათ შორის, რაც არის, გენერალ კვინიტაძის ეს წიგნი ფელაზე ვრცელი და სრულია; მასში დაწვრილებითაა აღწერილი ფელა სამხედრო ლონისძიება, გადახდილი სამხედრო ლაშქ-

რობები; გაანალიზებულია მაშინდელი ოფიციალური სამხედრო დოკუმენტები და დახასიათებული არიან მაშინდელ და ხედრო უწყებასთან დაკავშირებული გავლენიანი პოლიტიკური და სამხედრო პირები. ასეთი სრული განხილვის შედეგად მკითხველი კარგად ერკვევა ჩვენი დამოუკიდებლობის ხანის სამხედრო და პოლიტიკურ ვითარებაში, თუნდაც იგი მთლიანად არ იზიარებდეს ავტორის აზრებს.

ეს მოგონებანი დაწერილია დიდი ამაღლებული პატრიოტული განცდებით; თუნდაც ამიტომ ლირს, რომ ის გულდასმით წაიკითხოს ჩვენმა ახალგაზრდობამ და იქიდან ისწავლოს თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს. წიგნი დაწერილია საუცხოო რუსული ენით. ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი მას ამას უსაფედურებს, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს მისი ახალგაზრდობის დროინდელ რუსეთის თვითმშემცირებელურ ხელისუფლების აღზრდის პოლიტიკას, განსაკუთრებით კი მომავალი ოფიცირებისას, რომლებიც სრულ იზოლაციაში იმყოფებოდენ მშობლიურ გარემოსა და ენისაგან. მიუხედავად ამისა ქართული სისხლი ძლიერი აღმოჩნდა, მომავალ მხედართმთავარში ვერ ჩაკლეს მხურვალე მამულიშვილის გული და, როცა რევოლუციამ დაამსხვრია თვითმშემცირებელობის ტახტი, გენერალი გორგი კვინიტაძე, იმ დროს 43 წლისა ქვეყნაზე და ოჯახზე ზრუნველით დატევირთული, ხელში იღებს მშობლიურ დედა-ენას და, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბედნიერება გვქონდა მას გაცენბოდით პირადად, იგი მეტჯელებდა იშვიათად სუფთა და მდიდარი ქართული სალიტერატურო ენით. მიუხედავად ამისა ის აზროვნებდა რუსულად და არ უნდა გვიკვირდეს, რომ მისი აზრები ამ ენაზე გადაიტანა ქაღალდზე.

გენ. კვინიტაძე დაუზოგავად აკრიტიკებს ჭელას, ვისაც კისრად ედეა ქვეყნის თავდაცვა. ის მკაცრად სჯის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა მოუმზადებლობას და გამოუცდელობას ამ საქმეში, მაგრამ იგი კიდევ უფრო მკაცრია იმ მაღლი სამხედრო პირების მიმართ, რომლებმაც სამხედრო ხელოვნება და კანონ-წესები კარგად უწყოდენ, მაგრამ უდარდელობის, მაამებლობის თუ ხასიათის სისუსტის გამო წინ არ აღუდგენ ხელისუფალთა დამღუპველ ქვეშ ნის თავდაცვის პოლიტიკას.

დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო დამარცხებაზე და მის მიზეზებზე მკითხველი იპოვის მეტად მდიდარ მასალას. ამ წიგნის საფუძველზე აღბათ არაერთი მონოგრაფია, ნარკვევი და კრიტიკული სტატია დაიწერება. ამ ჩვენს წარდგინებით წერილში, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილსაც კი ვერ აღვძრავთ, გარნა ერთი მნიშვნელ



ლოვანი კითხვა მაინც უნდა წამოვჭრათ : დამარცხება მართლის უფლებული იყა აუცილებელი? რასაკვირველია, რომ იგულისხმება ჩვენი ქუთხის ნის სამხედრო დამარცხება 1921 წლის ობერვალ-მარტში. ეს საკითხი ჯელას გვაღელვებს და არ შევცდებით თუ ვიწყით, რომ უმრავლესობა ამ კითხვაზე ასე პასუხობს: პატარა საქართველოს დიდი რუსეთის გამკლავება არ შეეძლო, ქართული ლაშქარი უკეთესადაც რომ გამკლავებოდა ბოლოს მაინც დამარცხდოდა. ეჭვი არაა, რომ ასევე ფიქრობდა იმ დროსაც არაერთი ქართველი ჯარისკაცი და მოქალაქე და ამ ფსიქოლოგიას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ქართველი ხალხის ბრძოლისუნარიანობაზე. ჩვენ ეს კითხვა დავსვით „თავისუფლების ტრიბუნა“ №28-ში (1980 წ. მარტი) და სათანადო არგუმენტებით დავსკვენით, რომ არა, დამარცხება არ იყა აუცილებელი—თქვა. ახლა, ამ თავის მოგონებებში გენ. კვინიტაძე, მართალია განსხვავებული არგუმენტით, მაგრამ სრულიად იმავე დასკვნას აკეთებს. კერძოდ, ის ბრძანებს, რომ 1921 წელში საბჭოთა რუსეთი ის „ველიკაია როსიია“ აღარ იყა, როგორსაც ჩვენ მიჩვეული ვიყავით რევოლუციამდე და ჩვენ რომ სათანადოდ მომზადებული ვრაფილიყვათ, წარმატებით შეგვეძლო თავის დაცვაო. ამ წიგნის ეს საინტერესო მონაკვეთი გვინდა შევთავაზოთ ჩვენ მკითხველებს, მაგრამ, ვინაიდან აქ საკმარისი ადგილი აღარ გვაქვს, უნდა გადავდათ შემდეგი ნომრისათვის.

გიორგი ქართველი

ბრძოლის ველზე დაღუპულ მებრძოლ ქართველთა სახსოვრად. აგებული ძეგლის შესახებ ზოგიერთი დეტალები.

(ამ წერილის შინაარსის პასუხისმგებელია მხოლოდ მისი ავტორი. თუ ვინმე თავს ჩათვლის ცილაწამებულად, ვალდებულებას ვდებულობთ, რომ მისი პასუხიც დავტექლოთ. რედაქცია)

ომის დამთავრების შემდეგ მუდამ ვფიქრობდი, რომ ჩვენი ახლო მეგობრები და საერთოდ ქართველები, რომლებიც ბრძოლის ველზე დაიღუპნენ, ლირი იჭრნენ დაიგიშვნას არ მისცემოდნენ, რადგან ისინი ამ ომში პატრიოტული გრძნობებით, სამშობლოს ისტორიული მტრის შინააღმდეგ ბრძოლით იყა გამოწვეული და არა პირადი შატერიალური ინტერესით. თავიანთი მოქმედებით

ისინი ადასტურებდნენ მსოფლიოს წინაშე მათ მიერ ემჭრულუშინ გატარებულ წლებს და, იმავე დროს, დამოუკიდებელი ჰქონია მსოფლიოს მთავრობის და ცელა იმ პირების, რომლებიც მის ირგვლივ იყრიბებოდნენ, გადმოხიზვნის აზრს უცხოეთში: ეწარმოებიათ უცხოეთიდან საქმიანობა სამშობლის სუვერენობის კვლავ აღსადეგნად.

როდესაც ამ იმედის ცოტა შესაძლებლობა შეიქმნა, ცელა ქართველმა—ახალგაზრდამ თუ მოხუცმა— მოინდომა ამ საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ უარის თქმაც არ შეიძლებოდა, რადგან ამას ის შეურაცხყოდ დებულობდა. რაღაც წარმოუდგენელი ატმოსფერო დადგა იმ ფად ცემაზე. რაღაც ეს შეკრებილობა მოხდა მ. კ. სკამზე შედგა და გრაციალი ხმიალლა და გარკვევით: ჩაფიქრდით, ძალიან ძნელი საქმეა; არ დაივიწყოთ, უბრალო ჯარისკაცის ცხოვრება მოგელით. ამ გაფრთხილების სრულებით არ იმრემდე დამსწრებზე და კიდევ უფრო დაუინებით მოითხოვდენ მონაწილეობის მიღებას. ამნაირად, ორი-მესამედი დამსწრეთა ჩაება დიდი ხნის საოცნებო საქმეში. ეს მოხდა გერმანიის მიერ რუსეთთან ომის გამოცხადების პირველ დღეებში.

საფრანგეთი, ჩვენი მეორე სამშობლო, რომელიც დაპყობილი იყო მტრის მიერ ერთი წლის წინად და ნახეს თუ რა საშინელება იყო იკუპანტების ზედამხედვლობის ქვეშ ცხოვრება, ადგილად გაიგეს ჩვენი პოზიცია, რომელიც სრულიად არ უშლიდა ხელს ჩვენს შორის კარგ განწყობილებას. მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ლიბერაციის შემდეგ, ეს იმით აისხნება, რომ მოხდა არეულ დარეულობა და პირადი ანგარიშების გასწორება. ძნელი გახდა მათვების კარგის და ცუდის გარჩევა და ადგილი ჰქონდა ბევრ გაუგებრიობასაც. მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იცოდენ, რომ არცერთი შეგნებული ქართველი ისეთ რამეს არ ჩაიდენდა, რაც საფრანგეთის საწინააღმდეგო იქნებოდა, მაინც მოხდა ზოგიერთი ქართველის დაპატიმრება, რადგან ეს საჭიროდ დაინახა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. უნდა აღნიშნო ხაზგასმით: არცერთი ქართველი არ დასჯილა იმიტომ რომ, მან მიიღო მონაწილეობა რუსეთის ფრონტზე. არამც თუ არ დასჯილა, მისი საქმე სასამართლომდეც არ მისულა. მათ ადვილად გაიგეს, რომ იმ უძალ რუსეთის წინააღმდეგ არ ასებობდა სხვა ძალა, გარდა გერმანელებისა. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქართველი მეთაურები, რომლებსაც ჰქონდათ კავშირი გერმანელ მხედრებთან, იზიარებდენ მაშინდელ გერმანულ რეჟიმს. არა, პირიქით, ისინი წი-



ნააღმდეგი იჯნენ და ზოგიერთი მათგანი პირადად მონაწილეობრივად შეთქმულებაში ჰინააღმდეგი. მათი ოცნება იყო მოკლილი და მხოლოდ რუსთის დამარცხება და ამ უზარმაზარი იმპერიის დარღვევა. ეს იყო და არის დღესაც ჩვენი იყნებაც. ამითვე აიხსნება, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს დივიზიები ჰქონდა დათ აღმოსავლეთის ფრანგიზე. ისნიც დაინტერესებული იჯნენ ამ იმპერიის დანგრევა-დაქუცმაცებით.

მე ამით იმის თქმა მინდა, რომ ძეგლი, რომელიც უნდა დაიდგას იმ ჩვენი მეგობრების საპატივცემულოთ (რისთვისაც მიწა, ნაძვის ხეები და თვით ძეგლიც შენაცულია), - ეს პირადი მათი პატივისცემაა და ჩვენი მოვალეობაა და არა ამ საქმის ისტორიული გამართლებაა. ამას საქართველოს დიდი ისტორიკოსები შეაფასებენ და გამოსთვალებრივ თავიანთ აზრს.

როგორც დასაწესში ავლინიშნე, ეს სურვილი მე დიდი ხანია მქონდა, მეგობრებსაც გავუზიარე, კველას მოსწონდა მაგრამ ინიციატივის ამღები ვერავინ ვიპოვნე, მე კი ძალიან დაკავებული ვიაჭვი პირადი საქმეებით. დრო კი გადიოდა...

ერთ დღეს 1971 წ. ეს აზრი გავუზიარე პატივცემულ ლევან ზურაბიშვილს. მან ძალიან ურადღებით მომისმინა და მითხრა: ეს მეტად კეთილშობილური განზრაცხვაა და ამისთვის საჭიროა სერიოზული მოფიქრებათ. ის იმ დროს უკვე იყო ქართული საფილატომოს თავმჯდომარე გავიდა დრო. როცა ვევდებოდით ერთმანეთს მეუბნებოდა: „არ დამვიწყებია ჩვენი საუბარიო.“ ერთ დღეს დამინიშნა შევეღრა, ვისაუბრეთ, მითხრა: შენ კარგად იყი, რომ მე ამ საქმეში არ მიმიღია არავითარი მონაწილეობა, შენი არ გუმენტები კველასთვის მისაღებია, მეც მოვალედ ვთვლი თავს ამ საქმეში მონაწილეობა მივიღო, დაყვნებას არ აქვს აზრი, მალე 30 წელიწადი შესრულდებათ. დამისახელა კაცი, რომელსაც ეს საქმე უნდა მივანდოთ. მას აქვს „ბო-ზარი“ დამთავრებული. მე მას უკვე მოველაპარაკე და ის თანახმაა შეასრულოს არტისტული მხარე. მის გასამრჯელობელ შეინარჩუნა უარს ამბობს და, რასაკვირველია, სხვა ხარჯები ჩვენ უნდა დავფაროთო.

რამდენიმე კვირის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს სამთავრენი, ვიმსჯელეთ და მან გვითხრა: ამჟამად ძალიან დაკავებული ვარ, ახლო მომავლში პროექტს შევაღებ და გაგაცნობთ. ლევანმა უთხრა გარკვევით, რომ ეს ძეგლი უნდა იყოს პატარა და უპრეტენზიონ, რაზედაც მან მიუგო: „როგორც ეს ქართველებს შეაფერებათ.“

ამის შემდეგ გავიდა თვეები და წლებიც. ლევანი და მეც ვეკი-

თხებოდით : როგორ არის პროექტის საქმე? სულ მაღლა და დაბა ვერ მოვახდებოდა, გვპასუხობდა. ამ ცდაში ლევარი აკად განხდა. როდესაც მე ის ვინახულე სიკვდილის უკანასკნელ დღეებში, მან მითხრა: დარწმუნებული იყვაი ის მის სიტყვას შეასრულებსო. ჩვენდა სამწუხაროდ ლევარი გარდაიცვალა 1975 წ. თებერვალში. მართლაც ის კაცი შეერცგენილი დარჩა და მითხრა: ის, რაც დაგპირდით შევასრულებ ზოველ შიშეზგარეშე და თქვენც ნუ დააყვებთ, გადადგით პრაქტიკული ნაბიჯებით. მართლაც, შევადგრინეთ ძეგლის საინიციატივო კომიტეტი : გიორგი ვაჩნაძე, გივი გაბლიანი, მიხეილ ქავთარაძე, ვოიტავი ნოზაძე, ვიქტორ ხომერიკი, ვიორგი ფაფაიანი და მე. გ. ვაჩნაძემ სპონტანურად თავის თავზე აიღო ხაზინადრობა და დაიწყო ფულის შეგროვებაც. სამწუხაროდ ეს ენერგიული, საჭარელი და ჭელასგან პატივულებული ადამიანიც ავად გახდა და გარდაიცვალა. ის შეერცგელთ რევაზ გოგიტიძეთი, რომელსაც ჰქონდა მინდობილობა გივი გაბლიანისაგან, რადგან ის ამერიკაში ცხოვრობდა. ჭელა ეს პირები იყვნენ ამ საქმის აქტიური მონაწილენი, გარდა გიორგი ფაფაიანისა, რომელიც მოელი არ სებით თანაუგრძნობდა ამ საქმეს, მაგრამ ოჯახური შდგომარეობის გამო მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდა.. არავინ ამ კომიტეტში არ შედიოდა იმიტომ, რომ ის იყო ქართულ სათვისტო-მოს გამგეობაში.

შევიძინეთ მიწა ძეგლისთვის, ქართველთა სასაფლაოზე. როგორც იქნა პროექტიც გადმოგვცა ავტორმა. ჭელას მოეწონა. დადგა საკითხი წარწერის და დათარიღების. 1941 - 45 წწ. ისტორიული თარიღებია და სინამდვილეს შეეფერებოდა. ვ. ხომერიკმა მოისურვა 1939 - 45-ს აღნიშვნა. 1939 ეს ის წელია, როდესაც ჰიტლერმა და სტალინმა პოლონეთს დაეცენ მხეცურად, გაანადგურეს რმა და სტალინმა დაეცენ მხეცურად, გაანადგურეს და შემდეგ გაინაწილეს. ამიტომ ჭელა დანარჩენებმა გარჩიეთ 41 - 45 წწ. ეს თარიღები აძლევდნ ძეგლს მის ნამდვილ დანიშნულებას და არა ანონიმურ სახეს. ამას თან დაერთო ავტორის ულებას და არა ანონიმურ სახეს. ამას თან დაერთო ავტორის ულებას გაფრთხილება და სურვილი. უხერხული მდგომარეობა შეიქნა! რასაც კიდევ ზედ დაემატა მისი მეტისმეტი აჩქარება. ეს ასე გაჭიანურებულ საქმეს მოუნდომა უცბად დამთავრება. მე მას უთხხარი: რა საჭიროა ასე აჩქარება? მით უფრო რო, ჯერ კიდევ არ დაგვინიშნავს ძეგლის გახსნის თარიღი, არ ვიცით წელს აგვისტოში თუ მომავალი წლის თებერვალში მოხდება-თქვა. ეს იყო 1981 წ. აპრილი. არ გაუწია ანგარიში ამ ჩემ ნათქვამს, ხელოსანს ძეგლი დაუყოვნებლივ ჩამოატანია ბრეტ-

ბრძოლის ველზე დაღუპულთა ძეგლის შესახებ

77



ნეთიდან. მე ვიფიქრე, რომ ძეგლს ხელოსანი თავის სახურამსრულობის ში მიიტანდა, რადგან ვიცოდი ზოგიერთი შესწორება იყო საჭირო და იქ გავაჩერებდი სასურველ ღრომდე. სამწუხაროდ ძეგლი პირდაპირ სასაფლაოზე მიიტანეს და შესწორებები ადგილზე გააკეთებინა. ის მეტისმეტად ნერვიული იყო და მასთან ლაპარაკი არც კი შეიძლებოდა. მე მეტად მორიდებული კაცი ვარ. რა უნდა მექნა, კაცმა, რომელმაც აუარებელი დრო დაკარგა ამ საქმისთვის? ოჯახი ბრძონებული წასვლა დასკირდა და რამდენჯერმე კომიტეტის სხდომებზეც ესწრებოდა და სხვა. ნაძვის ხეები და ჭავილებიც კი მაყდინა. ისე გამოდიოდა, რომ ბრძანებელი ის იყო. მე იძულებული გავხდი მისი საწინააღმდეგო პოზიცია ამელო და ხელოსანს დავაგალე, რომ, როცა ის შესწორებებს გააკეთებდა და ნაძვის ხეებსა და ჭავილებს დარგავდა, ძეგლი დაეფარა ტილოთი, რაც მან შეასრულა.

რამდენიმე დღის შემდეგ ძეგლის ავტორმა მითხრა ყველაფერი მზად არისონ და სურდა თავის თვალით ენახა. წავიჰანე მანქანით. მისევის თანავე, რა ნახა ძეგლი დაფარული იყო არ მოეწონა, მოგლიჯა ტილო და მიაგდო გვერდზე. დადგა გაბრწყნებული თვალებით და ღიმილით, ტკბებოდა მისი შრომის ანსაჭლის ცქერით. შემდეგ ის ტილო აიღო, დაკეცა და გადააგდო მოშორებით. ისევ განაგრძო ცქერა ამ ძეგლისა... მართლაც ძალიან ლამაზი იყო და ჩემთვის გასაგები გახდა მისი განცდები, როგორც არტისტის.

რა უნდა მექნა, ფიზიკურ შეურაცხოფას ხომ ვერ მიგაენებდი კაცს, რომელმაც ეს საქმე უსაბუღლოდ გააკეთა? ზრდილობისათვის მაღლაბაც გადავუხადე და თან დაცუმატე: „რაც მოხდებამოხდებათქმა.“ დავბრუნდით პარიზში თთქმის ხმის გაუცემლად, და ასე დავშორდით ერთმანეთს.

ორი კვირის შემდეგ მოხდა 26 მაისობის დღესასწაული ლევილში, სადაც, სხვათა შორის, ძეგლის შესახებაც იყო წარმოთქმული. ამას მოყვა კამათი და აურჩაური, რამაც დიდი ზიანი მიაქნა ძეგლის საქმეს. მე პირადად არავითარ ბრალს არ ვდებ იქაურ მცხოვრებ ფრანგებს და არც ფრანგ-მანდილოსნებს ქართველებზე ჯვარდაწერილებს, არამედ იმ ქართველებს, რომლებმაც ცუდი, ე.ი. არასწორი ახსნა-ვენმარტება გაუკეთეს ამ ძეგლის აგების მიზანს და მის ნამდვილ მნიშვნელობას.

მე წინათვალისწილი ამ უნიკალურ არა ადვილად არ ჩატარდებოდა. მუნიციპალიტეტში არავითარი თხოვნა არ გაგვიგეთებია ამიტომ მე განზრახვა მქონდა იქ მისულიყვა. მე ეს გაუზიარე პროექტის შემდგენელს და ხელოსანსაც. კატეგორიული

უარი მითხრეს ორივემ. ძეგლის ჩამოტანის წინ კიდევ უფრო მის ავტორს ჩემი სურვილი. მან გალიზიანებული კილომტრი მიჩრებულა: რა გაგვიჭირე საქმე, ჩენ უკეთ ვიცით ესო. მართლაც ოეორიულად მათ უნდა ცოდნოდათ, რადგანაც ასეთი აღმინისტრაციული საკითხები მათ კომპეტენციაში შედის. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივიღა, პასუხისმგებელი მე და მთელი კომიტეტის წევრები გამოვდექით და დიდი საჭედურები მოგვახალეს, როდესაც სოფელ ლევილის მერიაში დაგვიბარეს. ამაზე მე ვუპასუხე, თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს ისეთი დანაშაული არ არის, რომლის გამოსწორება არ შეიძლებოდეს. გაცხარებული კამათის შემდეგ მათ მოგვთხვეს ძეგლის შესწორება. ეს შეხვედრაზე აღმართად აქვს აღწერილი მ. ქავთარაძეს „გუშაგი“ №4 ში და აქ აღარ გავიმეორებ. შეხვედრა შეთანხმებით და ურთიერთპატივის ცემის ატმოსფეროში დამთავრდა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩენი სათვისტომოს თავმჯდომარე ლებულობს მერის ბარათს, სადაც აღნიშნული იყო: მიუხედავად ჩენი შეთანხმებისა ძეგლი უნდა იქნას აღებული, შესწორების შემდეგ უნდა განცხადება შემოიტანოთ და თუ მუნიციპალიტეტმა მიიღო, შემდეგ უნდა მიმართოთ პრეფექტურას, რადგან საჭიროა მათი დასტურიო.

შევიკრიბეთ კომიტეტის წევრები, გიმსჯელეთ. სათვისტომოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი მოთხოვნა უნდა დფაკმაყაფილოთ. მუნიციპალიტეტთან კონფლიქტში შესვლა არ იყო სასურველი. დავთანხმდით. ხელოსანმა ძეგლი ითო და თავის სახელსნოში მიიტანა, სადაც ის იმჟაფება დღესაც.. სათვისტომოს თავმჯდომარემ, როცა მერის წერილს გვაცნობდა, დაუმატა: „მე ეს წინდაწინ ვიცოდი რომ ასე დჭითავრდებოდათ.“ ამ განცხადებით მან დაადასტურა, რომ თვით ის პირადათ მუდამ ამ საქმის წინააღმდევი იყო. ჭელა სხლომებზე ეს აშკარად სჩანდა-საერთოდ, მაშინდელი მთელი სოც. დემოკ. პარტიის ბიუროს შემადგენლობა წინააღმდევი იყო. თვით ამ ბიუროს წევრმა თავი ვალდებულად გაიხადა და ზოგელგარი ზომა იხმარა მის ჩასაშლელად, მიუხედავად იმისა, რომ ის თვით იყო აქტიური მონაწილე ამ საქმის, რომელსაც შეეწირა მათი პარტიული ამჩანფებიც.

კომიტეტის შემდეგ კრებაზე სათვისტომოს თავ-რემ მარტო მოიდობა ამ საქმის ხელმძღვანელობა. კრებამ ეს მიუღებლად ჩათვალა. ამის შემდეგ ის კომიტეტის კრებებს აღარ ესწრებოდა. 1982 წ. 28 აპრილს საჭედურის წერილიც მივწერეთ, რომლის პასუხს დღესაც ვუცდით.

საინიციატივო კომიტეტის სახელით მაღლობას ვუხდი ჭელას, ვინც

ბრძოლის ველზე დაღუპულთა ძეგლის შესახებ

გაიღო თავისი წვლილი ამ საქმეში, განსაკუთრებით—ამერიკული მცხოვრებ ქართველებს, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხა გაიღს და პირადად ბ. პეტრე ხევდელიძეს. რაც შეეხება საფრანგეთის ქართ. სათვისტომოს მაშინდელ თავმჯდომარეს, მისი საქციელი დამადასტურებელია თვით მისი პიროვნების. დემოკრატიული გაგრით აზრთა სხვადასხვაობა, ეს უბრალო ელემენტარული შოვლებია, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან თანხმობა განაცხადა საინიციატივო კომიტეტის წევრობაზე და მერე მისი უმრავლესობის ნებას პატივი არ სცა, ეს სამარცხვინოა. ჩემთვის პირადად კი, ეს ამბავი მეტისმეტად დამაღლებელია, მაგრამ თავს ვინუგეშებ იმით, რომ ეს ძეგლი დაიდგმება განკუთვნილ ადგილზე. მისი ბედი დღვენდელ სათვისტომოს თავმჯდომარის ხელშია.

ა კ ა კ ი შ ა ვ გ უ ლ ი ძ ე

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა (ფრანგ. ფრანკებში)

ილ ემუხვარი	100-	გიორგი გორგიშველი	1 000-
ვარლამ ანთელავა	200-	იროდიონ ბეგიაშვილი	3000
მიხეილ თარაშვილი	300-	კარგი მეგობარი	200-
ირაკლი ოთხმეზური	149-	მართა სტურუასი	50-
სანდრო ფანჩულიძე	200-	ლიდა ნასყადაშვილი	100-
სოფიო გოგიშვილი	156-	გიორგი ნაკაშიძე	890-
აკაკი ბარკალაია	300-	დავით ბეგიაშვილი	729-
ნიკოლა ანთაძე	100-	რუბენ გვეტაძე	100-
მირიან მელუა	100-	მიშა გოგორიშვილი	300-
პეტრე ხევდელიძე — აგვისტოს მსხვერპლთა მოსახსენებლად			1 000-
პეტრე ხევდელიძე — გიორგი დადიანის სულის მოსახსენებლად			500-
პეტრე ხევდელიძე—ლუბა აბდუშელის სულის მოსახსენებლად			500-
პეტრე ხევდელიძე—გრიშა წერეთლის სულის მოსახსენებლად			500-
პელაგიას და თანას სულის მოსახსენებლად			300-
			8 074,00

ჯ ა მ ი

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა ნ ი იასონ იორდანიშვილის ცხედრის გადმოსასვენებლად : კარლო შატბერა-100, არჩილ კეკელია-40, ნიკოლოზ სუხუბაია-25, კონსტანტინ ერისთავი-25, ლეო კაკულია-40, ვახტანგ საჭარელიძე-100; სულ-330 ლოლარი = 2 594,55 ფრანქს, შოთა ბერეჟიანი 100 ფრ., ეთერი და გიორგი წერეთელი 1 000 ფრ. სულ ჯამი = 3.694, 55 ფრ.

შ ი ნ ა რ ს ი

ი რ ი ც ე ლ ი
ს ი გ უ ლ ი კ რ ი ს ი ს ი

- .2 გორბაჩოვის ვიზიტი საფრანგეთში მოწინავე
 .5 გორბაჩოვის ყურთათვის უსიამოვნო აკორდები
 (.უკ შირაკის სიტუა; ფრანსუა ლეობარის მიმართვა)
 .7 ზოგიერთი მოსაზრებანი საბჭ. ხელმძღვანელობაში
 მომხდარი ცვლილებების ირგვლივ - გურამ გელოვანი
 .18 ცვლილებები საბჭ. საქართველოს მმართველობაში
 .19 აგვისტოს აჯანყება და დღევენდელობა - გუშაგი
 .27 1924 წლის აგვისტოს დღეები - ირაკლი ოთხმეზური
 .32 პოეზიის განყოფილება:
 სამი სონეტი - გიორგი ტოგონიძე
 .34 სამების ლოცვა - გივი შაორელი
 ნოდარ დუმბაძის გარდა. წლისთავზე.
 არ დაბრუნდება - ლადო ბაბიშვილი
 .36 ჯერ ჭელაფერი არ დამიკარგავს - ისაკ მეგრელიშვილი
 .38 მისი ლურჯაის დაკრული ტორი - თანამემამულე
 .40 ლიტრიტიკა:
 დანიელ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“ - თედო რაჭელიშვილი
 .47 ერის წყლუხვი საუნჯე - რობა აბნერაშვილი
 .55 „მარადისობის კანონი“ და მ. ქავთარაძე - გ. წერეთელი
 .60 მ. გრ. ფერაძის გარდ. 40 წლისთავი - დეკანზი ილია მელია
 .63 ლევილის ქართული ბიბლიოთეკა - (გამოცხადება)
 ნეკროლოგები:
 .64 ჩვენი გრიშა წერეთელი - ვალიკო ჩუბინიძე
 .66 გიორგი დადოანის გამოსათხოვარი - თამაზ ნასყიდაშვილი
 .67 ლუბა აბდუშელთან გამოთხოვება - თამაზ ნასყიდაშვილი
 .69 სამგლოვიარო განცხადებები
 უკანასკნელი ცნობები - გუშაგი
 .70 გენ. გიორგი კვინიტაძის მოგონებანი - გიორგი ქართველი
 .73 ბრძოლის ველზე დაღუპულთა ძეგლის შესახებ - აკაკი შავგულიძე
 .79 შემოწირულებათა სია



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE